



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო რეფერირებადი შრომები

**SCIENTIFIC REVIEWED PROCEEDINGS
OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

№ 139



**ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური
პრობლემები**

ემდგნება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების
1700 წლისთავს

**PRESSING PROBLEMS IN HYDROMETEOROLOGY AND
ECOLOGY**

Dedicated to the 1700th anniversary of Christianity being declared the state religion in Georgia

თბილისი-Tbilisi
2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო რეფერირებადი შრომები
ტომი N139

ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური
პრობლემები

ეძღვნება საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს

SCIENTIFIC REVIEWED PROCEEDINGS
OF THE INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
VOL. № 139

PRESSING PROBLEMS IN HYDROMETEOROLOGY AND ECOLOGY

Dedicated to the 1700th anniversary of Christianity being declared the state religion in Georgia

НАУЧНЫЕ РЕФЕРИРУЕМЫЕ ТРУДЫ
ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

**АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ И ЭКОЛОГИИ
ТОМ №139**

Посвящается 1700-летию провозглашения христианства государственной религией в Грузии

©	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА	2026
---	--	------

გამოცემა 1953 წლიდან

Published since 1953

დამფუძნებლები:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

FOUNDERS:

Georgian Technical University
 Institute of Hydrometeorology
 Georgian National Academy of Sciences
 Georgian Academy of Agricultural Sciences

სარედაქციო კოლეგია	EDITORIAL BOARD
ნ.ბუაჩიძე (მთ. რედაქტორი)	N.Buachidze (Editor-in-Chief)
მთ. რედაქტორის მოადგილეები	DEPUTY EDITORS-IN-CHIEF
ე.ელიზბარაშვილი	E.Elizbarashvili
მ.მელაძე	M.Meladze
ს.გორგიჯანიძე	S.Gorgijanidze
ლ.ინჭვირველი	L.Intskirveli
მ.ტატიშვილი	M.Tatishvili
მდივნები	SECRETARIES
ნ.კაპანაძე	N.Kapanadze
ნ.არუთინიანი	N.Arutiniani
წევრები	MEMBERS
გ.ალექსიძე	G.Aleksidze
გ.ჯაფარიძე	G.Japaridze
აბდ-ალა გად (საუდის არაბეთი)	Abd-Alla Gad (Saudi Arabia)
ც.ბასილაშვილი	Ts.Basilashvili
ნ.ბეგლარაშვილი	N.Beglarashvili
ვ.ტრაპაიძე	V.Trapaidze
გ.გუნია	G.Gunia
ხ.ეგამბერდიევი (უზბეკეთი)	Kh.Egamberdiev (Uzbekistan)
ბ.ხოლმატჯანოვი (უზბეკეთი)	B.Kholmatjanov (Uzbekistan)
ნ.ძეზისაშვილი	N.Dzebisashvili
კ.ლაშაური (კანადა)	K.Lashauri (Canada)
შუნლინ ლიან (აშშ)	Shunlin Liang (USA)
რ.მაჰმუდოვი (აზერბაიჯანი)	R.Mahmudov (Azerbaijan)
გ.მელაძე	G.Meladze
მ.მელაძე	M.Meladze
ი.მეგრელიძე	I.Megrelidze
ა.პარანიანა (რუსეთი)	A.Paranina (Russia)
ი.სამხარაძე	I.Samkharadze
ა.სურმავა	A.Surmava
მ.ტაბატაძე	M.Tabatadze
მ.ფიფია	M.Pipia
სადჰან კუმარ გოშ (ინდოეთი)	Sadhan Kumar Ghosh (India)
ლ.შავლიაშვილი	L.Shavliashvili
ლ.შენგელია	L.Shengelia
სარედაქციო საბჭო	EDITORIAL COUNCIL
მ.ფიფია	M.Pipia
ე.ელიზბარაშვილი	E.Elizbarashvili
მ.მელაძე	M.Meladze
ს.გორგიჯანიძე	S.Gorgijanidze
ლ.ინჭვირველი	L.Intskirveli
მ.ტატიშვილი	M.Tatishvili
ტექნიკური რედაქტორი	Technical Editor
ნ.ზოტიკიშვილი	N.Zotikishvili

ელექტრონული ვერსია
 Electronic version

<https://ecohydmnet.ge/transaction>.
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/82330>

წინამდებარე კრებულში შესულია ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 73-ე მაისის სამეცნიერო სესიაზე მოხსენილი მოხსენებები, მიძღვნილი ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი. შესაბამისი სტატიები მოცემულია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებათა მიხედვით: მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია, ჰიდროლოგია, კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი გარემოს დაბინძურება.

კრებული განკუთვნილია გეოფიზიკურ, გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

In this issue texts of papers presented at the 73-rd May Scientific Session of the Institute of Hydrometeorology are offered, dedicated to the pressing problems of Hydrometeorology and Ecology. Relevant papers are given according to the following scientific directions: Meteorology, Climatology, Agrometeorology, Hydrology, Climate Change, and Environmental Pollution.

The volume is intended for experts working in different branches of geophysical, geographical and ecological sciences, magistrates and doctorates.

В настоящий сборник включены тексты докладов, заслушанных на 73-ей Майской Научной Сессии Института Гидрометеорологии, посвященной актуальным проблемам гидрометеорологии и экологии. Соответствующие статьи даны по следующим научным направлениям: метеорология, климатология, агрометеорология, гидрология, изменение климата, загрязнение природной среды.

Сборник предназначен для ученых и специалистов, работающих в различных областях геофизических, географических и экологических наук, магистрантов и докторантов.

სარჩევი - Contents - Содержание	
რწმენისა და გონიერების სინერგია – მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი	7
მდინარეთა წყლიანობის ცვლილების შეფასება დასავლეთ საქართველოში. ბასილაშვილი ც.ზ. Assessment of Changes in River Runoff in Western Georgia. Basilashvili Ts.Z. Оценка изменения водности рек Западной Грузии. Басилашвили Ц.З.	8
მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ჰავის პირობებში. ბასილაშვილი ც.ზ., ჯანელიძე მ.გ., ბასილაშვილი ხ.გ. Current and Projected Changes in River Runoff under the Dry Climatic Conditions of Eastern Georgia. Basilashvili Ts. Z., Janelidze M. G., Basilashvili Kh. G. Текущее и ожидаемое изменение водности рек в условиях сухого климата Восточной Грузии. Басилашвили Ц.З. Джanelidze М.Г., Басилашвили Х.Г.	18
მდინარეთა თერმული რეჟიმის ფორმირების თვისებები მდინარე ენგურის მაგალითზე. ს.გორგიჯანიძე, გ.ფიფია, გ.ჯინჩარაძე, თ.ჩიტაძე, ნ.კობახიძე, გ.გრიგოლია, გ.გაჩეჩილაძე Features of the formation of the thermal regime of rivers on the example of the Enguri River. S.Gorgijanidze, G.Pipia, G.Jincharadze, T.Chitadze, N.Kobakhidze, G.Grigolia, G. Gachechiladze Особенности формирования термического режима рек на примере реки Энгури. С. Горгиджанидзе, Г.Пипия, Г.Джинчарадзе, Т.Читадзе, Н.Кобахидзе, Г.Григолия, Г. Гачечиладзе	29
მდინარე იორის აუზის მართვის სტრატეგიული დაგეგმვის საკითხისათვის. გულაშვილი, ზ., ტრაპაიძე, ვ., ფიფია, გ., ჯინჩარაძე, გ., ჩიტაძე, თ., კობახიძე On the issue of strategic planning for the management of the Iori River basin. Gulashvili, Z., Trapaidze, V., Pipia, G., Jincharadze, G., Chitadze, N. Kobakhidze По вопросу стратегического планирования управления бассейном реки Иори. Гулашвили, З., Трапайдзе, В., Пипия, Г., Джинчарадзе, Г., Читадзе, Т., Кобахидзе, Н.	37
ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების როლი კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში და მათი აღდგენის მნიშვნელობა. მდივანი სოფიო The Role of Wetlands and Marshes in the Context of Global Warming and the Importance of Their Restoration. Mdivani Sophio Роль водно-болотных угодий и болот в условиях глобального потепления и важность их восстановления. Мдивани Софио	43
აბასთუმნის შემოვლითი გზის გარემოს მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასება. ელიზბარაშვილი ე., ელიზბარაშვილი მ., დიასამიძე ც., ელიზბარაშვილი შ., სულხანიშვილი ნ. Assessment of the impact of the Abastumani bypass road on the microclimate of the environment. Elizbarashvili E., Elizbarashvili M., Diasamidze Ts., Elizbarashvili ., Sulxhanishvili N. Оценка воздействия Абастуманьской объездной дороги на микроклимат окружающей среды. Элизбарашвили Е., Элизбарашвили М., Диасамидзе Ц., Элизбарашвили, Сулханишвили Н.	47
ექსტრემალური ტემპერატურების თანამედროვე ცვლილების ტენდენციები სამცხე-ჯავახეთში. ელიზბარაშვილი ე., ელიზბარაშვილი მ., დიასამიძე ც., ელიზბარაშვილი შ., ჭელიძე ნ. Current Trends of Extreme Temperature Changes in Samtskhe-Javakheti. Elizbarashvili, E., Elizbarashvili, M., Diasamidze, T., Elizbarashvili, Sh., Chelidze, N. Современные тенденции изменения экстремальных температур в Самцхе-Джавахеги. Элизбарашвили Е., Элизбарашвили М., Диасамидзе Т., Элизбарашвили Ш., Челидзе Н.	52

<p>მტკვრის წყალსაცეცების კასკადის ექსპლუატაციის მოსალოდნელი გავლენა მიკროკლიმატურ ცვლილებებზე.ელიზბარაშვილი ე., ელიზბარაშვილი მ., დიასამიძე ც., ელიზბარაშვილი შ. Expected Impact of the Operation of the Mtkvari Reservoir Cascade on Microclimatic Changes. Elizbarashvili, E., Elizbarashvili, M., Diasamidze, T., Elizbarashvili, Sh. Ожидаемое влияние эксплуатации каскада водохранилищ Мтквари на микроклиматические изменения. Элизбарашвили Е., Элизбарашвили М., Диасамидзе Т., Элизбарашвили Ш.</p>	58
<p>წალექების განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე 2016-2022 წლების მონაცემების მიხედვით . მიხეილ ფიფია, ნაზიბროლა ბეგლარაშვილი, ნინო ჯამრიშვილი, ნინო შავიშვილი Precipitation distribution in Georgia according to data for 2016-2022 . Mikheil Pipia, Nazibrola Beglarashvili, Nino Jamrlishvili, Nino Shavishvili Распределение осадков в Грузии по данным за 2016-2022 годы . Михаил Пипия, Назиброла Бегларашвили, Нино Джамришвили, Нино Шавишвили</p>	67
<p>ციტრუსოვანი კულტურების აგრომეტეოროლოგიური მახასიათებლები და ფენოლოგიური პროგნოზები კლიმატის თანამედროვე პირობებში .მაია მელაძე, გიორგი მელაძე Agrometeorological characteristics and phenological forecasts of citrus under modern climate conditions. Maia Meladze, Giorgi Meladze Агrometeorологические характеристики и фенологические прогнозы цитрусовых культур в современных климатических условиях .Майя Меладзе, Гиоргий Меладзе</p>	72
<p>კლიმატის ცვლილების ფონზე საქართველოს ზამთრის მთის კურორტებზე თოვლის საფარის ცვლილების კანონზომიერებები .ლიანა ქართველიშვილი, ლიანა მეგრელიძე Regularities of snow cover changes in winter mountain resorts of Georgia against the background of climate change . Liana Kartvelishvili, Lia Megreliдзе Закономерности изменений снежного покрова на зимних горных курортах Грузии на фоне изменения климата . Лиана Картвелишвили, Лиа Мегрелидзе</p>	80
<p>კლიმატური ფაქტორები და დეკორატიული მცენარეების ეკოლოგიური ადაპტაცია .ქამადაძე დალი, ჯაბნიძე ნანა Climatic Factors and Ecological Adaptation of Ornamental Plants.Kamadadze Dali, Jabnidze Nana Климатические факторы и экологическая адаптация декоративных растений. Камададзе Дали, Джабнидзе Нана</p>	82
<p>აჭარის მაღალმთიანეთში გავრცელებული <i>Lilium ponticum</i> K. Koch-ის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები . დ. ბერიძე, ა. ბაკურიძე, მ. მეტრეველი, მ. ჯოხაძე Biologically active compounds of <i>Lilium ponticum</i> K. Koch distributed in the highlands of Adjara. D. Beridze, A. Bakuridze, M. Metreveli, M. Jokhadze Биологически активные соединения <i>Lilium ponticum</i> K. Koch, распространённого в высокогорьях Аджарии . Д. Беридзе, А. Бакуридзе, М. Метревели, М. Джохадзе</p>	88
<p>კლიმატის თანამედროვე ცვლილების ზეგავლენით აფხაზეთის მყინვარების ფირნის ხაზის სიმაღლის ცვლილება ბოლო 60 წლის განმავლობაში.ლარისა შენგელია, გენადი თვაური, მარიამ შენგელია Changes in the height of the firm line of Abkhazian glaciers over the last 60 years under the influence of modern climate change . Larisa Shengelia, Genadi Tvauri, Mariam Shengelia Изменения высоты фирновой линии абхазских ледников за последние 60 лет под влиянием современных климатических изменений . Лариса Шенгелия, Генади Тваური, Мариам Шенгелия</p>	95
<p>ატმოსფერული არამდგრადობის ინდექსებისა და ვერტიკალური პროფილების ანალიზი ძლიერი კონვექციური მოვლენების დროს. ინგა სამხარაძე, მარიკა ტატიშვილი, ნანული ზოტიკიშვილი Анализ индексов атмосферной неустойчивости и вертикальных профилей во время сильных конвективных явлений .Инга Самхарадзе, Марика Татишвили, Нанули Зотикишвили Analysis of Atmospheric Instability Indices and Vertical Profiles during Strong Convective Events. Inga Samkharadze, Marika Tatishvili, Nanuli Zotikishvili.</p>	101

შავი ზღვის გარემოსდაცვითი ინოვაციური მონიტორინგის სისტემა. კორძახია მარინა Black Sea Environmental Innovative Monitoring System. Kordzakhia Marina Инновационная система экологического мониторинга Чёрного моря. Марина Кордзахия	106
მდინარე იორის აუზის ჰიდროლოგიური რეჟიმი და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის საჭიროება. კაპანაძე ნაილი, მკურნალიძე ირინე Hydrological Regime of the Iori River Basin and the Need for Integrated Water Resources Management. .Kapanadze N., Mkumalidze I. Гидрологический режим бассейна реки Иори и необходимость интегрированного управления водными ресурсами. .Капанадзе Н.И, Мкурналидзе И.П.	112
კონვექციური შტორმების პროგნოზირების თანამედროვე მეთოდები და მეზომასტაბური ფაქტორების როლი. მკურნალიძე ირინე, კაპანაძე ნაილი, მელაძე მათა. Modern Methods for Forecasting Convective Storms and the Role of Mesoscale Factors. Kapanadze N., Mkumalidze I., Meladze M. Современные методы прогнозирования конвективных штормов и роль мезомасштабных факторов. Мкурналидзе И.П., Капанадзе Н.И., Меладзе М.Г.	118
ქ. ბათუმის ატმოსფეროს მიკრო ნაწილაკებით დაბინძურების კვლევა 2025 წლის ოპერატიული დაკვირვების მიხედვით .ა. სურმავა, ფ. სბრანა, ვ. კუხალაშვილი, ლ. ინჯირველი, ნ. გიგაური Study of c. Batumi Atmosphere Pollution with Microparticles According to 2025 Operating Observation. Aleksandre A. Surmava, Francesco Sbrana, Vepkhia G. Kukhalashvili, Natia G. Gigauri, Liana N. Intskirveli Исследование загрязнения атмосферы г. Батуми микрочастицами на основе данных оперативного наблюдения 2025 года. Сурмава А.А., Франческо Сбрана, Кухалашвили В.Г., Гигаури Н.Г., Инцкирвели Л.Н.	125
სტიქიური გეოლოგიური პროცესების ინვენტორული რუკის შედგენის პრინციპები ჭიათურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე. რიკაძე ზ., შავლიაშვილი ლ., კუჭავა გ., შუბლაძე ე., გავარდაშვილი გ., მოდებაძე ს. Principles of compiling an inventory map of geological processes using the example of Chiatura Municipality. Rikadze Z., Shavliashvili L., Kuchava G., Shubladze E., Gavardashvili G., Modebadze S. Принципы составления инвентаризационной карты стихийных геологических процессов на примере муниципалитета Чиатура. Рикадзе З., Шавлиашвили Л., Кучава Г., Шубладзе Е., Гавардашвили Г., Модებაдзе С.	137
როდონის ცვლილების ზოგიერთი პრობლემების შესახებ. გრებენჩუკი გ. On Some Issues in Radon Measurement. Grebenchuk H. О некоторых проблемах изменения родона. Гребенчук Г.	143
გარემოსდაცვითი განათლების განვითარების ახალი სტრატეგიული გზების დამუშავება. გუნია გარი, სვანიძე ზიზი. Developing new strategic ways to develop environmental education. Gunia Garry, Svanidze Zizi Разработка новых стратегических путей развития экологического образования. Гуния Гарри, Сванидзе Зизи	147
ჩვენი იუბილარები	152

რწმენისა და გონიერების სინერჯია – მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ისტორიული 1700 წლის იუბილე არ არის მხოლოდ წარსულის გახსენება, ეს არის ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალის გადაფასების საუკეთესო შესაძლებლობა. ქართული კულტურისა და ისტორიისთვის რწმენა და ცოდნა ყოველთვის იყო ურთიერთშემავსებელი. დღეს, როდესაც ქვეყანა ამ მნიშვნელოვან თარიღს აღნიშნავს, დროა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ძალებისხმევა მივმართოთ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (STEM) განვითარებისკენ.

ისტორიულად, ქართული მონასტრები წარმოადგენდა განათლების, ფილოსოფიისა და მეცნიერების კერებს. გელათისა და იყალთოს აკადემიებში ხდებოდა თეოლოგიური აზრისა და მაშინდელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სინთეზი. დღეს კი, XXI საუკუნის გლობალურ კონკურენციაში, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ ზუსტი მეცნიერებებია.

საიუბილეო თარიღის ფარგლებში დაგეგმილი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებები, შესანიშნავი ბაზაა იმისათვის, რომ:

- **გაძლიერდეს საბუნებისმეტყველო კვლევები:** ხელი შევუწყოთ ქართველი მეცნიერების ინტეგრაციას საერთაშორისო პროექტებში.
- **დაფასდეს ინტელექტი:** მეტი ინვესტიცია ჩაიდოს ახალგაზრდა თაობის განათლებაში, ზუსტ მეცნიერებებში ლაბორატორიების მოწყობასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში.
- **აღდგეს ტრადიცია:** მოხდეს ისტორიული მემკვიდრეობის პოპულარიზება, როგორც საგანმანათლებლო რესურსის.

ქრისტიანული მორალი და რაციონალური აზროვნება ერთობლივად ქმნის საფუძველს ქვეყნის განვითარებისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისთვის. მეცნიერება არის სამყაროს შეცნობის ინსტრუმენტი, რაც ადამიანს სულიერად უფრო ამდიდრებს.

ეს საიუბილეო წელიწადი უნდა იქცეს ინიციატივად — რწმენისა და განათლების გაერთიანებისკენ, რათა საქართველო გახდეს რეგიონული ცენტრი ტექნოლოგიებისა და ზუსტი მეცნიერებების მიმართულებით. გონებრივი პოტენციალის განვითარება არის საუკეთესო გზა ჩვენი ქვეყნის მომავლისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-8-17

უკ. 551.482.215.3

მდინარეთა წყლიანობის ცვლილების შეფასება დასავლეთ საქართველოში ბასილაშვილი ც.ზ.

საქართველოს ტექნიკურ/ი უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
jarjino@mail.ru

რეზიუმე

მდინარეთა 21 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე წყლის ხარჯებზე დაკვირვებათა 1919 - 2023 წლების მონაცემებით განსაზღვრულია მათი საშუალო მრავალწლიური და ცალკეული ათწლეულების მნიშვნელობები, აგრეთვე თანმიმდევრულად ათწლეულების საშუალო ხარჯებს შორის სხვაობები. ამ სხვაობების ნიშნადობა ცალკეულ ათწლეულებში, ერთის გარდა, უმეტესად უარყოფითია, რაც ნიშნავს მდინარეთა წყლიანობის კლებას. მხოლოდ ერთ (1981 - 1990) ათწლეულში ყველა მდინარეზე ფიქსირდება წყლიანობის მატება, რაც მყინვარების დნობითა და უხვნალექიანობით იყო განპირობებული.

კლიმატური პროგნოზების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 1971 - 2000 წლებთან შედარებით გაიზარდება 2041 - 2070 წლებში 1,6 - 2,9 °C და 2071 - 2100 წლებში 2,1 - 3,7 °C-ის ფარგლებში. ატმოსფერული ნალექები 8 - 10 %-ით გაიზარდება მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებთან. მის აღმოსავლეთით კი, სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექები შემცირდება 4 - 15 %-ის ფარგლებში.

ასეთი პროგნოზების შესაბამისად მოსალოდნელია მყინვარებისა და მდინარეთა წყლიანობის შემცირება, განსაკუთრებით ზაფხულში. ზღვისპირა ზონაში კი, მომატებული აორთქლების კონდენსირება თავსხმა წვიმების სახით, გამოიწვევს საშიში მოვლენების რისკების გაზრდას.

მდინარეთა წყლიანობის მოსალოდნელი ცვლილების ეს შეფასება საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ჰიდროტექნიკური ობიექტების პროექტირებისა და წყლის რესურსების დაზოგვისა და შევსების მიზნით ღონისძიებათა დაგეგმარების დროს. ზღვისპირა ზონებში კი, მდინარეებზე ნეგატიური მოვლენების შედეგების შერბილების მიზნით, უნდა დაიგეგმოს სათანადო პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

საკვანძო სიტყვები: ატმოსფერული ნალექები, მრავალწლიური მონაცემები, მყინვარები, წყლის ხარჯები.

შესავალი

წყალი უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსია, რომელიც აუცილებელია ადამიანთა, ცხოველთა სამყაროსა და მცენარეული საფარის არსებობისა და აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რადგან მეურნეობის არცერთი დარგის წარმოება შეუძლებელია წყლის გარეშე.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს, რაშიც იგულისხმება წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, პირველ რიგში მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასმელ მტკნარ წყალზე.

საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა ჰქმნის სახელმწიფო ფონდს. ამ ფონდს მიეკუთვნებიან: მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები, არხებისა და ტბორების წყლები, მიწისქვეშა წყლები, წყაროები, მყინვარები, მუდმივი თოვლის საფარი და ჭაობები. საყურადღებოა, რომ მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას, რადგან ეს ობიექტებიც წყლის სახელმწიფო ფონდის ნაწილია. საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება, აგრეთვე მისი დაცვა, არ უნდა დაუშვას მისი დაზიანება, დანაგვიანება და დაშრება [1].

განსხვავებით წყლის სხვა ობიექტებისაგან, მდინარეებში მუდმივად მიედინება ყველასთვის ადვილად ხელმისაწვდომი მუდმივ განახლებადი მტკნარი წყალი. სწორედ ამიტომ, დიდი თუ პატარა დასახლება ყველგან, ძირითადად, მდინარეთა გასწვრივ სანაპიროებთან არიან გაშენებული. მდინარეთა წყალი გამოიყენება მოსახლეობისა და საწარმოთა წყალმომარაგებისთვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარწყავად, ელექტროენერჯის მისაღებად და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰიდროენერგეტიკული რესურსების მიხედვით 1 კვ.კმ ფართობზე, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია. განსაკუთრებით დიდი ენერჯით გამოირჩევიან მდინარეები: ენგური, რიონი, ცხენისწყალი, კოდორი, ხრამი, მტკვარი და სხვა. ამჟამად საქართველოში მუშაობს 60-მდე ჰესი 10 მლრდ კვტ სთ გამომუშავებით. საერთოდ კი, შეიძლება იმუშაოს 300-მდე საშუალო და მცირე ჰესმა 40 მლრდ კვტ სთ გამომუშავებით [2].

ამრიგად, მდინარეთა წყლის რესურსების ასეთი მაღალი მნიშვნელობის გამო, აუცილებელია მათი წყლიანობის აღრიცხვა და შესწავლა, რაც წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ჰიდროტექნიკური ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების გარანტიაა.

ძირითადი ნაწილი

კლიმატის მიმდინარე გლობალური დათბობის შედეგად ხდება მდინარეთა წყლის ჩამონადენის ტრანსფორმაცია. იცვლება მათი შიდაწლიური განაწილება, რადგან ზამთარში ზოგჯერ თოვლის მაგივრად, დადებითი ტემპერატურების გამო, მოდის წვიმა და იზრდება მდინარეთა წყლის ჩამონადენი. ასეთი ცვლილება აუმჯობესებს მათი წყლის გამოყენების პირობებს, მაგრამ მეორეს მხრივ, მდინარეთა მაღალი წყლიანობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის გარემოსათვის, რადგან ზაფხულში მაღალი ტემპერატურის პირობებში იზრდება აორთქლება, რომელთა კონდენსირება ზოგჯერ ხდება თავსხმა წვიმების სახით, რაც იწვევს მდინარეთა მაღალ წყალმოვარდნებს, ღვარცოფებსა და მეწყერებს, რის შედეგადაც იზრდება ნეგატიური შედეგების რისკები.

ვინაიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მდინარეთა წყლის ჩამონადენის ფორმირების პირობები მკვეთრად განსხვავებულია, ამიტომ მათი წყლიანობის ცვლილებაც მეტად კონტრასტულია ერთმანეთისაგან. ამის გამო მათი შესწავლა ხდება ცალკეულად. ამჯერად განვიხილავთ დასავლეთ საქართველოს მდინარეებს, რომლებიც რამდენადმე უხვწყლიანია აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებთან შედარებით.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

დასავლეთ საქართველოს მდინარეები სათავეს იღებენ ჩრდილოეთით დიდი და სამხრეთით მცირე კავკასიონის მაღალი ქედებიდან და ჩაედინებიან შავ ზღვაში. აქ არსებულ მდინარეთა საერთო რაოდენობა 18109 შეადგენს, რაც საქართველოს ყველა მდინარის 69,5 %-ია. მათი უმრავლესობა მცირე მდინარეებია (ცხრილი 1), რომელთა საერთო სიგრძე 35042 კმ-ია, რაც საქართველოს მდინარეთა საერთო სიგრძის (60 000 კმ) 58 %-ს შეადგენს [3].

ცხრილი 1. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა რაოდენობა და სიგრძე (კმ) მათი კატეგორიების მიხედვით

კატეგორია	ძალიან მცირე		მცირე		საშუალო			სულ
	< 10	10-25	26-50	51-100	101-200	201-300	301-500	
რაოდენობა	17794	242	48	16	6	1	2	18109
სიგრძე, კმ	27166	3780	1703	1020	799	221	353	35042

მდინარეთა ქსელის საშუალო სიხშირე 1,07 კმ/კმ² ტერიტორიულად არათანაბრადაა განაწილებული. ის დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, შავი ზღვიდან დაშორებისა და ნალექების შემცირების გამო მცირდება. დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, სადაც წლიური ნალექების ჯამი 2000 - 4000 მმ-ია, მდინარეთა ქსელის სიხშირე 2 - 2,6 კმ/კმ²-ია, აღმოსავლეთის ფერდობებზე კი, სადაც ნალექები 1000 - 2000 მმ-ია, მდინარეთა ქსელის სიხშირე მცირდება. მაღალმთიან ზონაში (2400 - 2600 მ), სადაც წლიური ტემპერატურა - 2 °C-მდეა, ქსელის სიხშირე 0,3 - 0,4 კმ/კმ² -მდე მცირდება. უფრო მაღლა, სადაც წლიური ტემპერატურა - 5 °C-მდე ეცემა, მდინარეები აღარ არსებობენ. მდინარეთა ქსელის ზედა ზღვარი საშუალოდ 3300 მ-ია. მდ. რიონისა და კოდორის აუზების კარსტულ ზონაში ადგილი აქვს მდინარეთა გაუჩინარებასა და შემდეგ კვლავ ზედაპირზე გამოსვლას.

დასავლეთ საქართველოს მდინარეები ხასიათდებიან უხვწყლიანობით, დიდი ვარდნით, ჩქარი დინებით და პოტენციური ენერჯის დიდი მარაგით. მდინარეთა წყლის რესურსების მოცულობა შეადგენს 48 კმ³-ს, რაც 3 - 5 - ჯერ აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის მოცულობას. ყველაზე წყალუხვია მდ. რიონი, რომლის საშუალო წლიური ჩამონადენი 12,7 კმ³-ია, ჭოროხის - 8,7 კმ³, ენგურის - 6,0 კმ³, კოდორის - 3,4 კმ³ [3]. შავი ზღვისპირა მდინარეებზე (გუმისთა, ოქუმი, სუფსა, ნატანები, ბახვისწყალი)

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს წელიწადის მკვეთრი ცვალებადობა, რაც გამოწვეულია აქ მოსული ხშირი თავსხმა წვიმებით.

ბოლო ათწლეულებში მდინარეთა წელიწადიდან დიდი გავლენა მოახდინა კლიმატის თანამედროვე გლობალურმა დათბობამ და აგრეთვე ადამიანთა სამეურნეო საქმიანობამ, რომელიც არღვევს წლის ობიექტების ბუნებრივ მდგომარეობას. ამ მხრივ აღსანიშნავია მდინარეთა აუზებში არსებული ტყის საფარზე ზემოქმედება, რადგან ტყის ჭრების შედეგად, ტყის საფარის შემცირებით მნიშვნელოვნად იცვლება წლის ჩამონადენის ფორმირების პირობები. ტყის გავლენა მდინარეთა წელიწადიდან გამოიხატება მისი დარეგულირების უნარით [4, 5], რადგან ტყის ყომრალი ნიადაგების მაღალი ინფილტრაციის უნარის შედეგად ხდება წლის ჩამონადენის დიდი ნაწილის გადასვლა ზედაპირულიდან მიწისქვეშაში, რის გამოც მცირდება მდინარეთა უხვწყლიანი პერიოდის ჩამონადენი და იზრდება მცირეწყლიანი პერიოდის ჩამონადენი. [6] ნაშრომში მოცემულია დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში არსებული, როგორც ტყიანობა, ასევე ჰიდროგრაფიული და ჰიდრომეტრიული მახასიათებლები. მაღალი ტყიანობით გამოირჩევიან მდინარეთა აუზები: ჩაქვისწყალი - ხალა (95 %), ხანისწყალი - ბაღდათი (91 %), ხობი - ლეგახარე (85 %).

კლიმატის მიმდინარე გლობალური დათბობა განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებს მდინარეთა მაღალმთიან სათავეებში არსებულ მყინვარებზე, რაც მეტად უარყოფითად აისახება გარემოზე და იწვევს მდინარეთა წელიწადის ცვლილებას. გასული XX საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი მყინვარების [7] კატალოგის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ექვსი მდინარის აუზში აღრიცხული იყო 466 კმ² ფართობის მყინვარები. 1990 წლის მონაცემები აღებულია [8] ნაშრომიდან. [9] ნაშრომში შესწავლილია ამ მყინვარების განაწილება მაღალი გარჩევადობის თანამგზავრულ დისტანციური ზონდირების შედეგები სამ სადამკვირვებლო ვადაზე: 2010, 2015 და 2020 წლების მონაცემებით. ცხრილი 2-დან ირკვევა, რომ კლიმატის მიმდინარე დათბობის შედეგად მყინვარები დნებიან და 2020 წლისთვის მათი ფართობი შემცირდა 191 კმ²-ით ანუ 41 %-ით. ყველაზე მეტად (37 %-ით) შემცირდა მყინვარების ფართობი მდ. ენგურის აუზში.

ცხრილი 2. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში არსებული მყინვარების ფართობები (კვ. კმ)

მდინარე	ზიფი	კლასური	კოდორი	ენგური	ხობი	რიონი	სულ
1970 წ.	8,0	1,2	64,3	321	0,2	70,7	466
1990 წ.	7,2		63,5	285	0,2	75,1	431
2010 წ.	4,7	0,9	50,0	229	0,2	57,2	384
2015 წ.	3,1	0,7	41,7	227	0,1	45,8	319
2020 წ.	1,7	0,6	33,3	197	0,1	41,2	275

მყინვარების ასეთი უკან დახევა და დეგრადაცია უარყოფითად აისახება მდინარეთა წელიწადიდან და კლიმატის დათბობის შემდგომი განვითარების პირობებში მოსალოდნელია მყინვარების სრული დადნობა და მათი გაქრობა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მდინარეთა წლის ჩამონადენს ზაფხულის სეზონში. ამრიგად, ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, დასავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში შეიცვალა მდინარეთა წლის ჩამონადენის ფორმირების პირობები და შესაბამისად მათი წელიწადიდან. ამ ცვლილების ანალიზის მიზნით შესწავლილ იქნა მდინარეთა სადამკვირვებლო ჰიდროკვთებზე სტაციონალურ დაკვირვებათა მონაცემები, რომლებიც 1982 წლამდე გამოქვეყნებულია [10 - 13] ცნობარებში. მას შემდეგ მდინარეთა წელიწადიდან დაკვირვებათა მონაცემები აღარ გამოქვეყნებულა და მათი მოპოვება ამ ბოლო წლებამდე იყო მეტად ძვირადღირებული მატერიალურად ხელმოკლე მეცნიერთათვის, რის გამოც ვეღარ ხდებოდა სათანადო კვლევების ჩატარება.

სადღეისოდ, სამთავრობო დონეზე მიღებულ კანონში წლის შესახებ [1] დაფიქსირებულია, რომ „ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ სახელმწიფო ორგანოებისგან მიიღონ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია წლის მდგომარეობის შესახებ“. ამ კანონის პრაქტიკული აღსრულების შედეგად შესაძლებელი გახდა სათანადო ადმინისტრაციული მოთხოვნის საფუძველზე გარემოს ეროვნული

სააგენტოდან [14] მიგველო მდინარეებზე არსებულ დაკვირვებათა მონაცემები წყლის ხარჯებზე 1991 - 2023 წლებისა დღეისათვის მოქმედ 10 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე. საყურადღებოა, რომ [13] ცნობარში გამოქვეყნებული იყო მაშინ დასავლეთ საქართველოში მოქმედი 99 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე 1981 წლამდე არსებული დაკვირვებათა მონაცემები.

საკვლევ ობიექტთა გაზრდის მიზნით, 10 მოქმედის გარდა, შეირჩა აგრეთვე 11 ადრე მოქმედი გრძელრივიანი სადამკვირვებლო ჰიდროლოგიური საგუშაგო. დაკვირვებათა გამოტოვებული შემთხვევების აღდგენის მიზნით, პარალელურ დაკვირვებათა მონაცემების ურთიერთდაკავშირებით გამოვლენილ იქნა ანალოგი მდინარეები. მათი ყოველწლიური საშუალო წლიური ხარჯების გრაფიკული კავშირების ინტერპოლაციით აღდგენილ იქნა გამოტოვებულ დაკვირვებათა მონაცემები. შედეგად 21 საგუშაგოზე არსებული 40 - 70 წლიანი რიგების დამუშავებით მიღებულ იქნა მათი 56 - 86 წლიანი რიგები მდინარეთა წლიური ხარჯებისა.

შედეგები

მდინარეთა წყლის ყოველწლიური საშუალო ხარჯების სათანადო კომპიუტერული პროგრამის [15] გამოყენებით სტატისტიკური ანალიზის შედეგად გაანგარიშებულ იქნა მდინარეთა წყლის ხარჯების საშუალო მრავალწლიური მახასიათებლები [16]. განხილულ მდინარეთა წყლიანობის ნორმები და აგრეთვე მათი საშუალო მნიშვნელობები ცალკეულ ათწლეულებში მოცემულია ცხრილ 3-ში. მდინარეთა წყლის ხარჯების საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები არის მათი წყლიანობის ნორმები, რომლებითაც ხდება მდინარის წყლიანობის ზოგადი დახასიათება. რაც უფრო გრძელია დაკვირვებათა რიგები, მით მეტია მათი ნორმის მდგრადობა, რომელიც წარმოადგენს ძირითად მახასიათებელს ყველა სახის წყალსამეურნეო გაანგარიშებებისათვის.

ცხრილი 3. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის ხარჯები (მ³/წმ) საშუალო მრავალწლიური და ათწლეულების მიხედვით

მდინარე	პუნქტი	ნორმა (მ ³ /წმ)	1921- 1930	1931- 1940	1941- 1950	1951- 1960	1961- 1970	1971- 1980	1981- 1990	1991- 2000	2011- 2020
ბზიფი	ჯირხვა	97,6	-	96,9	103	96,4	95,6	93,2	108	-	-
კოდორი	ლათა	92,2	-	89,6	83,4	91,8	83,4	101	104	-	-
ენგური	ხაიში	122	121	111	108	119	109	118	142	131	-
რიონი	ალპანა	104	105	102	103	94,7	99,5	97,9	107	140	-
რიონი	ნამოხვა	147	149	133	144	128	143	149	164	159	-
რიონი	ჭალად.	429	410	413	388	418	408	403	475	495	-
ყვირილა	საჩხერე	16,7	-	16,9	170	16,1	16,9	18,4	18,5	142	16,0
ყვირილა	ზესტაფ.	60,0	-	65,3	62,3	58,0	58,5	54,9	66,4	68,8	53,1
ძირულა	წევა	23,1	-	28,3	28,0	26,5	20,8	27,3	26,4	21,4	23,2
ხანისწყ.	ბაღდათ	15,7	-	-	15,2	17,5	14,7	14,1	18,0	14,0	-
ცხენისწყ	ლუჯი	23,8	-	22,6	23,5	22,8	20,8	24,8	27,7	23,6	-
ცხენისწყ	რცხმელ	67,0	-	67,3	69,0	63,0	60,9	65,8	75,0	68,6	-

ცხენისწყ	ხიდი	56,9	-	87,1	76,3	72,1	38,4	38,8	48,3	39,9	-
ტეხური	ნაქალაქ.	33,7	-	36,1	27,6	30,1	33,5	36,4	38,3	36,6	-
სუფსა	ჩოხატ.	13,7	-	-	15,0	12,9	12,6	13,8	14,2	13,5	-
სუფსა	ხიდმაღ.	48,7	-	-	44,0	47,5	45,3	46,7	56,0	48,0	-
ნატანები	ნატანებ	25,0	-	27,2	21,7	25,8	23,7	23,4	28,6	-	-
კინტრიშ	კობი	13,1	-	14,5	13,2	11,4	11,5	13,8	14,5	-	-
ჭოროხი	ერგე	274	-	304	290	259	253	269	274	-	-
აჭარისწყ	ხულო	8,06	-	-	8,2	8,4	8,5	-	9,6	-	-
აჭარისწყ	ქედა	46,3	-	-	44,4	46,4	44,3	42,6	53,9	-	-

ცხრილ 3-ის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ცალკეული ათწლეულების საშუალო ხარჯები ქრონოლოგიურდ იცვლებოდა, ხან იზრდებოდა, ხან კლებულობდა. ამ ცვალებადობის მაჩვენებელია წყლის ხარჯების სხვაობები თანმიმდევრულად ყოველ შემდეგ ათწლეულს შორის. ცხრილ 4-ში მოცემულია ამ სხვაობების მნიშვნელობები 1920 წლიდან 2000 წლის ჩათვლით. ამ პერიოდში, ცალკეული შემთხვევების გარდა, ყველა ათწლეულში დასავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლიანობა ძირითადად კლებულობდა. 1971 წლიდან გაიზარდა იმ მდინარეთა რაოდენობა, სადაც მატულობდა მათი წყლიანობა. 1981 - 1990 ათწლეულში კი წყლიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა მდინარეზე.

ცხრილი 4. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ცალკეულ ათწლეულებში წყლის ხარჯებს შორის სხვაობები

მდინარე	პუნქტი	1931-40	1941-50	1951-60	1961-70	1971-80	1981-90	1991-2000
		1921-30	1931-40	1941-50	1951-60	1961-70	1971-80	1981-1990
ბზიფი	ჯირხვა	-	6,1	-6,6	-0,8	-2,4	14,8	-
კოდორი	ლათა	-	-6,2	8,4	-8,4	17,6	3,0	-
ენგური	ხაიში	-10,0	-3,0	11,0	-10,0	9,0	24,0	-11,0
რიონი	ალპანა	-3,0	1,0	-8,3	4,8	-1,6	9,1	3,0
რიონი	ნამოხვანი	-16,0	-9,0	-16,0	15,0	6,0	15,0	-5,0
რიონი	ჭალადიდი	3,0	-25,0	30,0	-10,0	-5,0	72,0	20,0
ყვირილა	საჩხერე	-	0,10	-0,9	0,8	1,5	0,1	-4,3
ყვირილა	ზესტაფონი	-	-3,6	-4,3	0,5	-3,6	11,5	2,4
ძირულა	წევა	-	0,3	-1,5	-5,7	6,5	-0,9	-5,0


ხანისწყ.	ბაღდათი	-	-	2,3	-2,8	-0,6	3,9	-4,0
ცხენისწყ.	ლუჯი	-	1,0	-0,7	-2,0	3,0	2,9	-4,1
ცხენისწყ.	რცხმელური	-	1,7	-6,0	-2,1	4,9	9,2	-6,4
ცხენისწყ.	ხიდი	-	-10,8	-4,2	-33,7	0,4	9,5	-8,4
ტეხური	ნაქალაქევი	-	-8,5	2,5	3,4	3,0	2,3	-2,1
სუფსა	ჩოხატაური	-	-	-3,0	-0,3	1,2	0,4	-0,7
სუფსა	ხიდმაღალა	-	-	3,5	-2,2	1,4	9,3	-8,0
ნატანები	ნატანები	-	-5,5	4,1	-2,1	-0,3	5,2	-
კინტრიში	კოხი	-	-1,3	-1,8	0,1	2,3	0,7	-
ჭოროხი	ერგე	-	-14	-35	0,6	1,6	0,5	-
აჭარისწყ.	ხულო	-	-	0,2	0,1	-	-	-
აჭარისწყ.	ქედა	-	-	2,0	-2,1	-1,7	11,3	-

ამრიგად, 3 და 4 ცხრილების მონაცემთა ანალიზით ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად ცალკეულ მდინარეთა წყლის ჩამონადენის ფორმირების პირობების დიდი სხვადასხვაობისა, მდინარეთა წელიწადობის ცვლილება ათწლეულების მიხედვით, ატარებს ერთ საერთო ხასიათს: იმ მდინარეთა წელიწადობის ცვლილება, რომელთა საზრდოობაში მონაწილეობს მყინვარული წყლები, 1981 წლამდე არ გამოირჩეოდა დიდი რყევადობით, 1981 - 1990 ათწლეულში კი მოხდა მდინარეთა წელიწადობის მკვეთრი მატება, რაც ძირითადად მყინვარების აქტიურ დნობასთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დანარჩენ არამყინვარული საზრდოობის მდინარეებზეც აღინიშნა მაღალი წელიწადობა დიდი ნალექიანობის გამო.

2000 წლიდან 2020 წლამდე დასავლეთ საქართველოში მდინარეთა წელიწადობაზე არასაკმარისი დაკვირვებების გამო, ვერ მოხერხდა მდინარეთა წელიწადობის ცვლილების შესწავლა და მათი შედარება ცხრილ 2-ში მოცემულ მყინვარების ცვლილებასთან 2010, 2015 და 2020 წლებში.

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ჰიდროობიექტების მომსახურე მდინარეებზე (მდ. ენგურზე და მდ. რიონზე) წელიწადობის ცვლილება ცალკეული ათწლეულების მიხედვით, სადაც გამოხატულია მათი წელიწადობის მკვეთრი ცვლილება 1981 - 1990 ათწლეულში.

იმისთვის, რომ გავარკვიოთ მდინარეთა წელიწადობის მოსალოდნელი ცვლილება, აუცილებელია მათი მთავარი განმსაზღვრელი კლიმატური ფაქტორების (ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების) სავარაუდო მნიშვნელობები. ამიტომ განხილულ იქნა [17] ნაშრომი, სადაც კლიმატის გლობალური სცენარის RCP4.5-ის გამოყენებით ქართველი სპეციალისტების მიერ შედგენილია პროგნოზები, რომლის მიხედვით დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 1971 - 2000 წლებთან შედარებით, 2041 - 2070 წლებში 1,8 - 3,0 °C-ით გაიზრდება, 2071 - 2100 წლებში კი ის 0,4 - 1,7 °C-ის ფარგლებში მოიმატებს და ტემპერატურის ნამატი 1971 - 2000 წლებთან შედარებით 0,1 - 3,7 °C-ის ფარგლებში იქნება.



ნახ. 1. მდინარეთა წყლიანობათა (m^3/s) სხვაობები ცალკეულ ათწლეულებს შორის თანმიმდევრულად 1921 წლიდან 2001 წლამდე: 1 - მდ. რიონი - ს. ჭალადიდი, 2 - მდ. ენგური - ს. ხაიში

ატმოსფერული ნალექები ორივე საპროგნოზო პერიოდში შემცირდება. ყველაზე მეტი წლიური ნალექების ჯამი (2300 მმ და მეტი) იქნება აჭარის სანაპირო ზოლში. შავი ზღვის აღმოსავლეთით სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების წლიური რაოდენობა იკლებს. 2041 - 2070 წლებში წლიური ნალექები ყველაზე მეტად იკლებს იმერეთში (ქ. საჩხერეში 18 %-ით), სხვა რეგიონებში კი 3 - 15 %-ის ფარგლებში. წლიური ნალექების 8 - 10 %-იანი ზრდა იქნება მხოლოდ ქ. ფოთში და ზუგდიდში. 1971 - 2000 წლებში ყველაზე მეტი ნალექები იყო ბათუმში (2481 მმ), სადაც 2041 - 2070 წლებში იქნება 2363 მმ, 2071 - 2100 წლებში კი იქნება 2322 მმ.

მდინარეთა წყლის ჩამონადენის ამ ძირითადი მაფორმირებელი კლიმატური ფაქტორების (ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების) ასეთი პროგნოზების პირობებში, მოსალოდნელია ტემპერატურის მომატების შედეგად, დასავლეთ საქართველოს მდინარეთა სათავეებში არსებული მყინვარების დნობა, მაგრამ მათი ფართობი უკვე ისეა შემცირებული, რომ მათი დნობა ვერ გამოიწვევს მდინარეთა წყლიანობის მნიშვნელოვან მატებას. ზღვისპირა ტერიტორიაზე კი აორთქლების მომატების შედეგად გაიზრდება მათი კონდენსირება და შესაბამისად სანაპირო ზონის მნიშვნელოვანი დატენიანება. ამას კიდევ დაემატება მსოფლიო ოკეანის დონის აწევა, რაც გამოიწვევს აქ საშიში პროცესების განვითარებას და სანაპირო ზონის დეგრადაციას.

აქედან გამომდინარე ზაფხულის პერიოდში მდინარეთა წყლის შემცირება ნეგატიურად იმოქმედებს მათ ენერგეტიკაში გამოყენების შესაძლებლობაზე. ამ მხრივ, ყველაზე საყურადღებოა მდ. ენგური, სადაც ფუნქციონირებს საქართველოს ყველაზე დიდი სიმძლავრის ენგურჰესი. ასეთივე საშიშროება იქნება მდ. რიონზე, სადაც მოქმედებს და კვლავ იგეგმება ახალი ჰესის მშენებლობა.

არამყინვარული საზრდოობის მდინარეებზეც, პროგნოზების მიხედვით, ნალექების შემცირებისა და აორთქლების მომატების შესაბამისად მოსალოდნელია მდინარეთა წყლიანობის შემცირება, განსაკუთრებით მდ. ყვირილაზე.

დასკვნა

დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე 1919 - 2023 წლებში არსებულ დაკვირვებათა მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით მიღებულია მათი წყლის საშუალო მრავალწლიური ხარჯების ნორმები, ცალკეული ათწლეულების საშუალო მნიშვნელობები და მათი სხვაობები თანმიმდევრულად ყოველ შემდეგ ათწლეულს შორის. მათი ანალიზით დადგინდა, რომ მიუხედავად თითოეული მდინარის წყლის ჩამონადენის ფორმირების პირობების დიდი სხვადასხვაობისა, მათი წყლიანობის ცვლილება ატარებს ქრონოლოგიურად ერთ საერთო ხასიათს: 1920 წლიდან 1971 წლამდე მდინარეთა წყლის ხარჯები

მცირდება, 1971 - 1980 ათწლეულში, ცალკეული შემთხვევების გარდა მდინარეთა წყლიანობამ მოიმატა, შემდეგ 1981 - 1990 ათწლეულში კი, ყველა მდინარეზე აღირცხა წყლიანობის მატება, რაც შემდეგ ორ (1991 - 2010) ათწლეულში, მათი კლებით შეიცვალა. დაკვირვებათა უკმარისობის გამო ვერ მოხერხდა ბოლო ორი (2000 წლიდან 2021 წლამდე) ათწლეულის განმავლობაში მდინარეთა წყლიანობის ცვლილების ანალიზი.

კლიმატური პროგნოზების მიხედვით, ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ორ საპროგნოზო (2041 - 2070 წწ და 2071 - 2100 წწ) პერიოდში, 1971 - 2000 წლებთან შედარებით, მოსალოდნელია საშუალო წლიური ტემპერატურის 2,1 - 3,7 °C-ით მომატება და ატმოსფერული ნალექების 3 - 15 %-ით შემცირება. ნალექები ყველაზე მეტად შემცირდება იმერეთში. ნალექების მატება 8 - 10 %-ით იქნება მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო ზოლში (ფოთი, ზუგდიდი).

მდინარეთა წყლიანობის განმსაზღვრელი და წყლის ჩამონადენის მაგორმირებელი ფაქტორების ასეთი პროგნოზების შესაბამისად გაგრძელდება ზაფხულის პერიოდში მდინარეთა სათავეებში არსებული მყინვარების დნობა. მაგრამ მათი დიდი ნაწილი უკვე დამდნარია და ამიტომ დარჩენილი მყინვარების დნობამ შეიძლება მდინარეთა წყლიანობის მნიშვნელოვანი მატება ვერ გამოიწვიოს. მდინარეთა წყლიანობის შემცირების მთავარი მიზეზი იქნება მდინარეთა აუზებში მოსალოდნელი მცირე ნალექიანობა, რაც მკვეთრად აისახება განსაკუთრებით მდ. ყვირილაზე.

მაღალი ნალექიანობის გამო, საყურადღებოა მდინარეთა წყლიანობის მნიშვნელოვანი მომატების ვარაუდი შავი ზღვისპირა მდინარეებზე და დიდ მდინარეთა შესართავებთან, სადაც მოსალოდნელია საშიში მოვლენების განვითარება, რასაც ხელს შეუწყობს აგრეთვე ოკეანისა და შესაბამისად შავი ზღვის დონის მომატება. მდინარეთა წყლიანობის ასეთი ცვლილება ნეგატიურად აისახება მათი გამოყენების შესაძლებლობაზე, როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა ადრეულ წლებში. ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებით ზაფხულობით მაღალი ტემპერატურების დროს, როდესაც მდინარეთა აუზებში გაიზრდება აორთქლება და შემცირდება მდინარეთა წყლიანობა. ასეთი ვითარება მეტად უარყოფითად იმოქმედებს ჰიდროენერგეტიკის გამომუშავებაზე.

შავი ზღვისპირეთში მომატებული აორთქლებული მასები ინტენსიურად კონდენსირდება თავსხმა წვიმების სახით, რაც გამოიწვევს მდინარეთა ხეობებში წყალმოვარდნებს, ღვარცოფებსა და მეწყერებს, რასაც მოჰყვება სანაპირო ზონის დეგრადაცია, დიდი ნგრევა და ზარალი.

ყველა ზემო აღნიშნულის გათვალისწინება აუცილებელია განსაკუთრებით მდინარეთა წყლის ენერჯის გამოყენების თვალსაზრისით. წყლის რესურსების დაზოგვის, რაციონალურად გამოყენებისა და მათი შევსების მიზნით, საჭიროა დროულად მოხდეს სათანადო ღონისძიებების დაგეგმარება და პროექტირება. ზღვისპირა ზონებში კი, განსაკუთრებით მდინარეთა შესართავებთან, ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, საჭირო იქნება სათანადო პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

ლიტერატურა-REFERENCES

1. Georgian Laws of the Water, № 936, 20/07/2018
2. Svanidze G.G., Gagua V.P., Sukhishvili E.V. Renewable Energy Resources of Georgia. GIMIZ, Leningrad, 1987, 175 p.
3. Water resources of Transcaucasia, GIMIZ, Leningrad, 1988, 264 p.
4. Basilashvili Ts. Forest cover – Main Protect from of Various in Mountainous Areas. International Scientific Conference “Natural Disasters in the 21 Century”. Tbilisi State University, 2021, pp. 189-193.
5. Basilashvili Ts.Z., Janelidze M.G., Basilashvili Kh.G. Forest Cover – The Primary Guardian Against Climate Change and Biosphere Security. Journal of the Georgian Society. Vol. 28 (1), Institute of Geophysics of the TSU. e-ISSN: 2667-9973, p-ISSN: 1512 -1127, pp. 64-74,
6. Basilashvili Ts. Updated Maximum Flood Discharges for Hydrological Calculations of the Rivers in Western Georgia. International Scientific Conference “Complex Geophysical Monitoring in Georgia: History, Modern Problems, Promoting Sustainable Development of the Country”, Tbilisi, Georgia, 2024, pp. 64-68.
7. Catalog of Glaciers of USSR, Vol. 9, Issue 3, Part 1, GIMIZ. Leningrad, 1975, 86 p.
8. Elizbarashvili E. Climate of Georgia. GTU, IHM, Tbilisi, 2017, 360 p.
9. Shengelia L., Kordzakhia G., Tvauri G., Guliasvili G., Beridze S. The Study of the Degradation of the Glacial Basin of Western Georgia against the background of ongoing climate change using satellite remote sensing data. Transactions IHM, GTU, Vol. 135, 2024. pp. 64-68. doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-64-68
10. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1967, 460 p

11. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1977, 358 p
12. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1978, 300 p
13. State Water Cadaster, Vol. VI, Georgian SSR, GIMIZ, Leningrad, 1987, 416 p
14. Department of Hydrometeorology of National Environmental Agency. Tbilisi, 2024.
15. Basilashvili Ts. Statistical Analysis of Variables and Selection of Predictors for Prognostic Relationships. Annotated Index of Algorithms and Programs. World Data Center. Obninsk, 1971, 43 p.
16. Basilashvili Ts. Revised Characteristics of River Runoff in Western Georgia. Science and Technologies № 1 (750), 2026, Tbilisi, Publishing House "Technical University". DOI: <http://doi.org/10.36073/0130-7061>
17. Kartvelishvili L., Tatishvili M., Amiranashvili A., Megrelidze L., Kutaladze N. Weather, Climate and their Change Regularities for the Conditions of Georgia. "Universal", Tbilisi, 2023, 405 p

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-8-17

UDC: 551.482.215.3

Assessment of Changes in River Runoff in Western Georgia./Basilashvili Ts.Z./Transactions IHM, GTU. 2026. vol. 139. pp. 8-17. Georg., Summ. Georg., Eng. Rus.

Using observational records of river discharge from 21 hydrological gauging stations covering the period 1919 – 2023, long-term mean values and decadal averages of river runoff were calculated, along with interdecadal differences between successive mean discharges. The sign of these differences is predominantly negative across most decades - apart from a single exception - indicating an overall declining trend in river runoff throughout Western Georgia. A consistent increase in runoff across all rivers was observed only during the 1981–1990 decade, which is attributable to enhanced glacier melting combined with anomalously high precipitation.

According to climate projections, mean air temperature in Western Georgia is expected to rise by 1.6 – 2.9 °C during 2041 – 2070 and by 2.1 – 3.7 °C during 2071 – 2100 relative to the 1971 – 2000 baseline period. Atmospheric precipitation is projected to increase by 8 – 10% exclusively in the Black Sea coastal zone. Eastward from the coast, however, precipitation is expected to decrease with increasing elevation, within a range of 4 – 15%, with the most pronounced reduction - up to 18% - projected for the city of Sachkhere.

In accordance with these projections, a further reduction in glacier extent and river runoff is anticipated, particularly during the summer season, when water availability is most critical. In coastal regions, increased evaporation followed by atmospheric condensation in the form of intense rainfall events is likely to elevate the frequency and severity of hazardous hydrometeorological phenomena.

These assessments of changes in river runoff should be explicitly incorporated into the design of hydraulic engineering infrastructure and into the strategic planning of measures aimed at water resource conservation and replenishment. In coastal zones, the implementation of targeted preventive and adaptive measures is essential to mitigate the impacts of adverse river-related processes and associated risks.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-8-17

უკ. 551.482.215.3

მდინარეთა წყლიანობის ცვლილების შეფასება დასავლეთ საქართველოში/ ბასილაშვილი ც.ზ. /სტუ-ის ჰმ-ის შრომათა კრებული 2026, ტ. 139, გვ. 8-17. ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მდინარეთა 21 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე წყლის ხარჯებზე დაკვირვებათა 1919 - 2023 წლების მონაცემებით განსაზღვრულია მათი საშუალო მრავალწლიური და ცალკეული ათწლეულების მნიშვნელობები, აგრეთვე თანმიმდევრულად ათწლეულების საშუალო ხარჯებს შორის სხვაობები. ამ სხვაობების ნიშნადობა ცალკეულ ათწლეულებში, ერთის გარდა, უმეტესად უარყოფითია, რაც ნიშნავს მდინარეთა წყლიანობის კლებას. მხოლოდ ერთ (1981 - 1990) ათწლეულში ყველა მდინარეზე ფიქსირდება წყლიანობის მატება, რაც მყინვარების დნობითა და უხვნალექიანობით იყო განპირობებული.

კლიმატური პროგნოზების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 1971 - 2000 წლებთან შედარებით გაიზრდება 2041 - 2070 წლებში 1,6 - 2,9 °C და 2071 - 2100 წლებში 2,1 - 3,7 °C-ის ფარგლებში. ატმოსფერული ნალექები 8 - 10 %-ით გაიზრდება მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებთან. მის აღმოსავლეთით კი, სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექები შემცირდება 4 - 15 %-ის ფარგლებში. მაქსიმალური კლება (18 %) იქნება ქ. საჩხერეში.

ასეთი პროგნოზების შესაბამისად მოსალოდნელია მყინვარებისა და მდინარეთა წყლიანობის შემცირება, განსაკუთრებით ზაფხულში. ზღვისპირა ზონაში, მომატებული აორთქლების კონდენსირება თავსხმა წვიმების სახით, გამოიწვევს საშიში მოვლენების რისკების გაზრდას.

მდინარეთა წყლიანობის ასეთი შეფასება საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ჰიდროტექნიკური ობიექტების პროექტირებისა და წყლის რესურსების დაზოგვისა და შევსების მიზნით ღონისძიებათა დაგეგმარების დროს. ზღვისპირა ზონებში კი, მდინარეებზე ნეგატიური მოვლენების შედეგების შერბილების მიზნით, უნდა დაიგეგმოს სათანადო პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-8-17

УДК: 551.482.215.3

Оценка изменения водности рек Западной Грузии/Басилашвили Ц.З./Сб. Трудов ИГМ ГТУ, 2026. Том 139, с. 8-17, Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

На 21 гидрологических постах рек, по существующим наблюдениям за расходами воды в течении 1919 - 2023 годов, установлены их средние значения за многолетний период, за каждое десятилетие и их разности в последовательном порядке. Отметки этих разностей, в основном отрицательные, что указывает на уменьшение водности рек. Только в одном (1981 - 1990) десятилетии, на всех реках зафиксировано увеличение их водности, что было вызвано таянием ледников и обильными осадками.

По климатическим прогнозам, в Западной Грузии температура воздуха по сравнению 1971 - 2000 годов, повысится в 2041 - 2070 годах на 1,6 - 2,9 °С, а в 2071 - 2100 годах, в пределах 2,1 - 3,7 °С. Атмосферные осадки увеличатся на 8 - 10 % только в прибрежных зонах Чёрного моря. А по восточному направлению с повышением высоты местности осадки уменьшатся в пределах 4 - 15 %. Максимальное уменьшение (18 %) будет в г. Сачхере.

Соответственно с такими прогнозами ожидается уменьшение ледников и водности рек, особенно летом. В прибрежных зонах конденсация повышенной испарения в виде проливных дождей, вызовет учащение рисков опасных явлений.

Такая оценка ожидаемого изменения водности рек, следует учесть при проектировании гидротехнических объектов и в целях планирования мероприятий для сбережения и пополнения водных ресурсов. А в прибрежных зонах следует планировать проведение соответствующих превенциальных мероприятий для смягчения следствии ожидаемых негативных явлений.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-18-28

უაკ. 551.482.215.3

მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ჰავის პირობებში

* ბასილაშვილი ც.ზ., ** ჯანელიძე მ.გ., ** ბასილაშვილი ხ.გ.

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

** კავკასიის უნივერსიტეტი

jarjino@mail.ru

რეზიუმე

მდინარეთა წყლის ხარჯებზე არსებული 1924-2023 წლების დაკვირვებათა მონაცემებით, 22 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე განისაზღვრა ცალკეულ ათწლეულებში საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები და მათი სხვაობები. გაირკვა მდინარეთა წყლიანობის ცვლილების მიმდინარე ტენდენციები და მათი რაოდენობრივი შეფასება, რომელთაც აქვთ პრაქტიკული დანიშნულება წყალსამეურნეო გაანგარიშებებისათვის.

არსებული კლიმატური პროგნოზების მიხედვით მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მომატება და ატმოსფერული ნალექების შემცირება. ამის გამო მომავალში სავარაუდოა, რომ გაიზრდება აორთქლება, გვალვიანობა, ნიადაგების გამოშრობა და მათი ეროზია, მიწისქვეშა წყლების დონის დაწვევა, წყაროების დაშრობა და შედეგად მდინარეთა წყლიანობის შემცირება. სარწყავი წყლის რესურსების შემცირება გამოიწვევს მოუსავლიანობას, გაიზრდება ხანძარსაშიშროებები, ნიადაგების დეგრადაცია და გაუდაბნოების პროცესის განვითარება, რაც მეტად უარყოფითად იმოქმედებს გარემოზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამის გამო აუცილებელია დაიწყოს წყლის რესურსების დაზოგვისა და მათი შევსებისათვის საჭირო პრევენციული სამუშაოების განხორციელება. მითითებულია მთავარი ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

საკვანძო სიტყვები: გაუდაბნობა, გვალვიანობა, სარწყავი წყლის რესურსები, წყლის ხარჯები.

შესავალი

მდინარეთა წყალი ბუნებრივი ეკოსისტემების უმნიშვნელოვანესი რესურსია, რომელიც განაპირობებს ქვეყნისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ამიტომ წყლის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია.

სადღესოდ მზის აქტივობისა და ძირითადად, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად კლიმატის ინტენსიური დათბობის გამო, სასიცოცხლო მნიშვნელობის წყლის რესურსებს მოელის აღუდგენელი დანაკლისი, რაც შეიძლება გახდეს ეკონომიკის განვითარების მთავარი შემზღვეველი ფაქტორი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე ადგილი აქვს მტკნარი წყლის მნიშვნელოვან შემცირებას. სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის ავსტრალია, თურქმენეთი, მოლდოვა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და სხვა. გაეროს მონაცემებით 2000 - იანი წლებიდან მილიონობით ადამიანი იყო მტკნარი წყლის დეფიციტის პირობებში. 2010 წლის მონაცემებით, კლიმატის გლობალური დათბობის შედეგად, ყოველწლიურად იღუპება 300 ათასი ადამიანი. 2020 წლისთვის ეს რიცხვი 500 ათასამდე გაიზრდება [1]. XXI საუკუნე გამოცხადებულია მტკნარი წყლისა და ხორბლის დეფიციტის საუკუნედ. 2030 წელს წყლის დეფიციტი 40%-მდე იქნება. 2032 წელს კი, მოსალოდნელი გვალვიანობის გამო, 70 % ცხოველთა სახეობები იქნება განადგურების ზღვარზე და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იქნება საფრთხის ქვეშ. XXI საუკუნის შუახანებში წყლის უკმარისობით იქნება 4 მლრდ ადამიანი [2]. მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის ცნობით კლიმატის დათბობის შედეგად დედამიწაზე ექსტრემალური ამინდის პირობები გამოიწვევს მსხვერპლს, რადგან მოუსავლიანობა წარმოშობს შიმშილს [3].

საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსები გამოიყენება პირველ რიგში მოსახლეობისა და სამეურნეო საწარმოების წყალმომარაგებისთვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარწყავად, ელექტოენერჯის მისაღებად, აგრეთვე მეთევზეობის, რეკრეაციის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის. მდინარეთა წყლის რესურსების ასეთი მნიშვნელოვანი დანიშნულებისა და ინტენსიური გამოყენების პირობებში, მათი წყლიანობის ცვლილების პროცესის შესწავლა ჰიდროლოგიის რთულ და საინტერესო სამეცნიერო ამოცანას წარმოადგენს. ამისათვის საჭიროა მდინარეთა წყლიანობის სწორად განსაზღვრა, რომლის მიხედვით შეიძლება მათი რაციონალურად გამოყენების დაგეგმარება, რაც უზრუნველყოფს ჰიდროტექნიკური ობიექტებისა და ნაგებობების მდგრადი ფუნქციონირების გარანტიას. გარდა ამისა, მდინარეებზე ხიდების, ჯებირებისა და მათ სანაპიროებთან ყველა სახის ნაგებობის (გზებისა და

შენიშვნების პროექტირებისა და ექსპლუატაციისათვის, ასევე საჭიროა განისაზღვროს მდინარეთა წყლიანობა. ამის გამო აუცილებელია მდინარეებზე ხდებოდეს მათი აღრიცხვა და შესწავლა მრავალწლიურ ჭრილში.

ძირითადი ნაწილი

მდინარეთა წყლიანობა განისაზღვრება მათი საშუალო წლიური ხარჯით ($m^3/წმ$) მრავალწლიურ პერიოდში, რასაც მდინარის წყლის ჩამონადენის ნორმას უწოდებენ. მაგრამ ის არ არის მუდმივი და მისი ცვალებადობა არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. ამიტომ ის პერიოდულად უნდა დაზუსტდეს დაკვირვებათა ახალ-ახალი მონაცემების გათვალისწინებით. რაც უფრო გრძელია დაკვირვებათა რიგები, მით მეტია მათი წყლიანობის ნორმის მდგრადობა, რომელიც წარმოადგენს ყველა სახის წყალსამეურნეო განგარიშებების ძირითად მახასიათებელს.

საქართველოს მცირე ტერიტორიაზე არის 100-მდე სახეობის ლანდშაფტები. აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით უფრო მგრძობიარეა კლიმატურ რეჟიმების მიმართ, რაც ტემპერატურის ზრდითა და ატმოსფერული ნალექების შემცირებით აღინიშნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ნაყოფიერ მიწებზე მცენარეთა მოსავლიანობის განმაპირობებელი ფაქტორების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ აქ გადაძვრება მნიშვნელობას იძენს არა მარტო ნალექების საერთო (წლიური) რაოდენობა, არამედ მათი შიდაწლიური განაწილება. აქ ვეგეტაციის პერიოდში მცენარეთა წყალმოთხოვნილების ფაზებს არ ემთხვევა ნალექების მოსვლის ინტერვალები, განსაკუთრებით აქტიური ვეგეტაციის (ივნისი-აგვისტო) პერიოდში, როდესაც მცენარეთა წყალმოთხოვნილება უმაღლესია. ამ მდგომარეობას ამჟღავნებს ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად აქ 2-3 თვის განმავლობაში, ძირითადად ზაფხულში აღირიცხება გვალვები, რის გამოც მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ასეთი ვითარება ხშირია განსაკუთრებით კახეთის რეგიონში მდ. იორისა და ალაზნის ქვემო წელში.

ხანგრძლივი გვალვის დროს იზრდება ხანძრების რისკებიც, რასაც მოჰყვება მცენარეული საფარის განადგურება და ნიადაგის ეროზია. გარდა ამისა, გვალვას დიდი ზიანის მიყენება შეუძლია აგრეთვე ადამიანთა ჯანმრთელობაზე, რადგან ის იწვევს სისხლის არტერიული მიმოქცევის მოშლას.

გვალვიანობის გახშირება იწვევს გაუდაბნობის პროცესის განვითარებას, რაც არის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მეტად საშიში პრობლემა. გაუდაბნობას განაპირობებს უნალექობა, მაღალი ტემპერატურა და ნიადაგში ტენის დეფიციტი. მსოფლიოში ასეთია 110 ქვეყანა, სადაც 800 მლნ ადამიანი ცხოვრობს. გაუდაბნობის ალბათობით საქართველოში გამოირჩევა ივრის ზეგანი და ქვემო ქართლი [4].

ამრიგად, კლიმატის მიმდინარე ცვლილება გვალვის ინტენსივობის გაზრდის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. მისი ზემოქმედებით იზრდება გვალვის სიხშირე, ინტენსივობა, ხანგრძლივობა და მის შედეგად გარდაუვალია ისეთი ნეგატიური შედეგები, როგორცაა მიწის დეგრადაცია და გაუდაბნობა. კლიმატის დათბობის გლობალური პროცესის გაგრძელების შემთხვევაში გაუდაბნობის პროცესი შესაძლოა შეეხოს აღმოსავლეთ საქართველოს ვაკისა და მთისწინების არიდულ ლანდშაფტებს. პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში პროცესმა შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. აღსანიშნავია, რომ ლანდშაფტების გაუდაბნობა ბევრად არის დამოკიდებული ანთროპოგენურ ფაქტორებზე.

საქართველოსთვის გვალვის პრობლემა უძველესია. გვალვების ნეგატიური შედეგების გასანიტრალეზად უპირველესი და რადიკალური ღონისძიებაა ნალექების ნაკლებობის შევსება ხელოვნურად მორწყვის საშუალებით. ამიტომ საქართველოში რეგულარულად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა, რაც კლიმატის ნეგატიური გავლენის შერბილებისკენ იყო მიმართული და მოსავლიანობის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგებს იძლეოდა. ამ მიზნით აქ უძველესი დროიდან გაჰყავდათ სარწყავი არხები. ამასთან დაკავშირებით ძველი წელთაღრიცხვის დიდი ბერძენი მეცნიერი და მოგზაური სტრაბონი, აღნიშნავდა რომ „საქართველოს მიწები უფრო მეტადაა მორწყული მდინარეთა წყლებით, ვიდრე ბაბილონისა და ეგვიპტისა“ [5].

არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილია თამარ მეფის დროინდელი XII საუკუნეში გაყვანილი სამგორის 20 კმ-იანი და ალაზნის 119 კმ-იანი სიგრძის არხები, რომლებითაც ირწყვებოდა 5000 - ზე მეტი ჰა მიწები ტირიფონის ველის, რუის-ურბნისის, მუხრანის, სამგორისა და კახეთის ტერიტორიები [6]. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატი 8-9 საუკუნის წინათაც სიმშრალითა და მაღალი თერმიული ველით ხასიათდებოდა. ასეთი კლიმატური პირობები იყო აგრეთვე II ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც პოლარული რაიონები განთავისუფლდნენ ყინულებისგან და ვიკინგებმა აღმოაჩინეს მწვანე გრენლანდია, აფრიკაში კი მაშინ ჩამოყალიბდა საჰარის უდაბნო.

XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აღნიშნავდა, რომ ალაზნის ველი ტყით იყო დაფარული, რაც დადებით როლს ასრულებდა გვალვიანობის შესუსტებასა და შერბილებაში. ალაზნის ქვემო წელში ვახუშტის აღწერით „ზაფხული არის

ცხელი, ხაშმიანი და გაუსადლისი“. ამჟამად მდ. იორის აუზის ქვემო წელში გვალვიან თვეთა რიცხვი ზოგჯერ 3-4 თვეა [4].


აღმოსავლეთ საქართველოში ხშირი გვალვა არა მარტო სოციალური და ეკონომიკური, არამედ ეკოლოგიური პრობლემაა, რადგან საფრთხეს უქმნის კავკასიონის მყინვარებს, იწვევს რა მათ აბლაცის მაღალი ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების დეფიციტის პირობებში. სამრეწველო ინდუსტრიალიზაციის შედეგად ნეგატიურმა ანთროპოგენურმა ფაქტორებმა გაზარდა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ხარისხი და მყინვარებზე მტვრის დაგროვებამ დააჩქარეს მყინვარების აბლაცია, რითაც დაირღვა მთელ კავკასიაზე ეკოლოგიური წონასწორობა.

როგორც ცხრილ 1-სა და ნახ. 1-ის მონაცემებიდან ირკვევა, აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში არსებული მყინვარების ფართობები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში მდ. თერგის სათავეებში მყინვარების ფართობი 86,9 კვ.კმ იყო, 2020 წელს ის 36,9 კვ.კმ -მდე შემცირდა. ე.ი. გასული 130 წლის განმავლობაში დაიკლო 57,5 %-ით. მდ. დიდი ლიახვის სათავეებში არსებული 5,1 კვ.კმ ფართობის მყინვარი 2020 წელს 1,2 კვ.კმ გახდა. მისი 3,1 კვ.კმ -ით შემცირება მისი ფართობის 76,4 %-ს შეადგენს. მდ. თეთრი არაგვის სათავეში 2,2 კვ.კმ მყინვარი კი, 0,3 კვ.კმ გახდა, ე.ი. შემცირდა 1,9 კვ.კმ -ით რაც მისი ფართობის 86 %-ია.

მდინარეთა აუზებში მყინვარების ფართობების შემცირების ასეთი (57% - 86%) განსხვავება განპირობებულია ძირითადად მყინვარების მდებარეობის სიმაღლითი სხვადასხვაობით. მდ. ლიახვისა და არაგვის აუზებში მყინვარების ფართობების მნიშვნელოვანი შემცირება მიუთითებს იმაზე, რომ მომავალში ჰაერის ტემპერატურის მომატების პირობებში მყინვარები სავარაუდოდ გაქრებიან, რაც უარყოფითად აისახება მდინარეთა წყლიანობაზე და შესაბამისად სარწყავი წყლის რესურსებზე.

ცხრილი 1. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა სათავეებში არსებული მყინვარების ფართობები (კვ.კმ)

წლები	1890	1946	1960	1965	1970	1990	2010	2015	2020
წყარო	[7]	[4]	[4]	[7]	[8]	[4]	[9]	[9]	[9]
დიდი ლიახვი	5,1	9,0	4,8	6,6	5,5	4,0	2,8	1,8	1,2
არაგვი	2,2			1,5	1,2	0,8	0,4	0,4	0,3
თერგი	86,9	78,0	69,0	68,0	63,9	58,5	51,4	42,4	36,9
ასა	8,8			3,8	1,7		1,4	1,0	0,5
არღუნ	6,5			2,1	1,3		0,8	0,3	0
პირიქითა ალაზანი	11,3			9,0	8,8		5,5	3,0	0,9
ჯამი	120,8			91,0	82,4		62,3	48,9	39,8



ნახ. 1. მდინარეთა აუზებში არსებული მყინვარების ფართობების (კვ.კმ) მრავალწლიური სვლა
 1 - მდ. თერგი, 2 - დიდი ლიახვი

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიედინება 7951 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 24704 კმ-ია. მათგან 7198 მდინარე 23516 კმ სიგრძით წარმოადგენს საქართველოს დედა მდინარე - მტკვრის შენაკადებს. დანარჩენი 757 მდინარე 1193 კმ სიგრძით კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე მიედინება კასპიის ზღვისკენ.

მდინარეების გარდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნურად გაყვანილია სარწყავი არხების ხშირი ქსელი, რომელთა სიხშირე მეტია მდინარეთა ქსელის ბუნებრივ (0,68 კმ/კმ²) სიხშირეზე. მაგალითად ქვემო ქართლის ზეგანზე სარწყავი არხების საერთო სიგრძე 16500კმ - ია, რაც სამჯერ აღემატება ამ რეგიონის მდინარეთა საერთო სიგრძეს [5]. მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სარწყავი სისტემები თვითდინებით ზედაპირული მორწყვის წესით მოქმედებს 83200 კმ სიგრძის სარწყავი არხები, საიდანაც 15350კმ ღია არხებია, რომელთაგან 11920 კმ-ს მოუპირკეთებელი მიწის კალაპოტი აქვს, რაც ხასიათდება წყლის დიდი დანაკარგებით. ამას გარდა, აქ 1992 წლიდან (სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ) განადგურდა აქ არსებული როგორც სამეურნეო საწარმოები, ასევე საირიგაციო სისტემები, სატუმბო დანადგარები, გაიჩეხა ტყეები და ქარსაცავი ტყის ზოლები, რის გამოც გაძლიერდა ეროზია და ნიადაგების დეგრადაცია. თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე აღარ ფუნქციონირებდა დაზიანებული სარწყავი არხები. სადღეისოდ უკვე ჩატარდა და კვლავ ტარდება აღდგენითი სამუშაოები სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსების საერთო რაოდენობა შეადგენს 13,45 კუბ.კმ -ს, საიდანაც 11,25 კუბ.კმ მოცულობა ფორმირდება ადგილობრივად, დანარჩენი 2,20 კუბ.კმ ტრანზიტულია [7]. მდინარეთა წყლის რესურსების ეს შეფასება წარმოადგენს მის მრავალწლიურ საშუალო სიდიდეს, რომელიც ტერიტორიაზე არსებული კლიმატური პირობების ცვლილების მიხედვით, წლიდან წლამდე იცვლება.

იმის გამო, რომ საქართველოს მთის მდინარეთა წყლის ჩამონადენის ფორმირების პირობები ცალკეულ მდინარეთა აუზებში მეტად განსხვავებულია, ამიტომ მათი ცვლილების რეჟიმიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს.

დღეისათვის არ არსებობს ერთიანი მეთოდი, რომელიც სრულყოფილად აღწერს მდინარეთა წყლის ჩამონადენის მრავალწლიური ცვლილების პროცესს, ამიტომ გამოყენებულ იქნა რამდენიმე ერთმანეთის შემავსებელი და დამაზუსტებელი შეფასების ხერხი. გაანგარიშებულ იქნა ცალკეულ ათწლეულებში არსებული წყლის ხარჯების საშუალო მნიშვნელობები, რომელთა მიხედვით გაირკვა მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე ცვლილების ტენდენციები. განისაზღვრა აგრეთვე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით სხვაობები წყლის ხარჯებისა ყოველ მომდევნო ათასწლეულებს შორის. ამ სხვაობებით შეფასდა რაოდენობრივად მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე ცვლილება მთელი გასული საუკუნის განმავლობაში.

მომავალში მდინარეთა მოსალოდნელი შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა კლიმატის გლობალური საპროგნოზო მოდელის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების ცვლილების პროგნოზები, რომელთა მიხედვით განისაზღვრა მდინარეთა წყლიანობის ცვლილების სავარაუდო ტენდენციები.

კვლევის მიზნით გამოყენებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის ხარჯებზე 1982 წლამდე არსებულ დაკვირვებათა მონაცემები გამოქვეყნებული [10-13] ცნობარებში. მას შემდეგ დაკვირვებათა მონაცემები აღარ გამოქვეყნებულა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათი მოპოვება იყო მეტად ძვირადღირებული მატერიალურად ხელმოკლე მეცნიერთათვის, რის გამოც ვედარ ხდებოდა მათი სათანადო კვლევა. ამჯერად საქართველოში მიღებული, წყლის კანონის [14] აღსრულების შედეგად გარკვეული ადმინისტრაციული მოთხოვნის საფუძველზე გარემოს ეროვნული სააგენტოდან [15] მიღებულ იქნა 2024 წლამდე 10 ჰიდროლოგიურ საგუშაგოს წყლის ხარჯების მონაცემები. მათი ანალიზიდან გაირკვა, რომ 90-იანი წლებიდან მდინარეებზე აღარ ხდებოდა რეგულარული დაკვირვებები. მაგალითად მდ. მტკვარზე დედაქალაქ თბილისში 1993 წლის შემდეგ მხოლოდ 2021 წელს აღდგა დაკვირვებები. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთ საგუშაგოზე მდ. ალაზანზე სოფ. შაქრანთან არის უწყვეტი რიგი დაკვირვებებისა, რადგან იქ იღებს სათავეს ქვემო ალაზნის სარწყავი არხების სისტემა და ინტენსიურად ხდება წყალაღება სასოფლო სავარგულების სარწყავად.

საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეებზე 1982 წლამდე არსებული მონაცემების სათანადო ანალიზი მოცემულია [5, 7] მონოგრაფიებში. 1991 წლამდე არსებული მონაცემების ანალიზი კი მოცემულია [16-19] შრომებში. მას შემდეგ 33 წლის მანძილზე არსებული მონაცემების დამატებით აღარ ჩატარებულა მათი ანალიზი.

შედეგები

განვლილი პერიოდის განმავლობაში მდინარეთა აუზებში კლიმატის მიმდინარე დათბობისა და ანთროპოგენური დატვირთვის შედეგად შეიცვალა მათი წყლიანობის ფორმირების პირობები და შესაბამისად შეიცვალა მდინარეთა წყლის ჩამონადენი. ამ ცვლილების შესწავლის მიზნით 10 მოქმედი ჰიდროლოგიური საგუშაგოს გარდა, საკვლევი ობიექტების გაფართოების მიზნით, შეირჩა კიდევ ადრე მოქმედი გრძელრიგის დაკვირვების მქონე საგუშაგოების მონაცემები. საკვლევ მდინარეთა აუზების ჰიდროგრაფიული და ჰიდრომეტრიული მახასიათებლები მოცემულია [20] ნაშრომში.

დაკვირვებათა გამოტოვებულ შემთხვევებში მდინარეთა წყლის ხარჯებზე პარალელურ დაკვირვებათა მონაცემების მჭიდრო ურთიერთკავშირების შემთხვევაში გამოვლინდა ანალოგი მდინარეები. აღსანიშნავია, რომ მდინარეთა აუზებში წყლიანობის ფორმირების პირობების მკვეთრი სხვადასხვაობის გამო, ზოგიერთი მდინარესთვის ვერ მოხერხდა ანალოგი მდინარის გამოვლენა და წყლის ხარჯების მონაცემთა აღდგენა. ანალოგ მდინარეთა პარალელურ დაკვირვებათა მონაცემების კორელაციური ანალიზითა და გრაფიკული ინტერპოლაციით მოხდა დაკვირვებათა გამოტოვებულ შემთხვევებში მდინარეთა წყლიანობის აღდგენა. შედეგად მიღებულ იქნა 22 საგუშაგოზე 1921-2023 წლებში წყლის ხარჯების 55-97 წლიანი რიგები. სათანადო კომპიუტერული პროგრამის [21] მიხედვით, ამ მონაცემების სტატისტიკური დამუშავებით, მიღებულია წყლის საშუალო მრავალწლიური ხარჯების ნორმები და მათი ძირითადი პარამეტრები მოცემულია [19] ნაშრომში, რომლებიც არიან მთავარი მახასიათებლები ყველა სახის წყალსამეურნეო გაანგარიშებებისათვის.

ცხრილი 2. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლის საშუალო ხარჯები (მ³/წმ) ათწლეულების მიხედვით

მდინარე	პუნქტი	1931-1940	1941-1950	1951-1960	1961-1970	1971-1980	1981-1990	1991-2000	2001-2010	2011-2020
მტკვარი	ხერთვისი	38,6	32,8	32,2	30,4	32,1	32,3	33,8	34,2	36,0
მტკვარი	მინაძე	54,5	52,0	55,4	60,6	56,9	59,5	62,2	60,3	65,1
მტკვარი	ბორჯომი	93	82,3	81,4	80,4	83,8	96,7	94,5	88,3	81,5
მტკვარი	ძეგვი	190	160	162	158	175	160	184	190	171
მტკვარი	თბილისი	234	198	204	184	208	195	228	233	208
ფარავანი	ხერთვისი	19,7	17,1	18,8	18,8	17,9	19,2	18,4	19,4	12,8

ფოცხოვი	სხვილისი	23,1	20,1	22,3	19,5	20,6	26,1	21,4	22,6	19,9
ბორჯომულა	ბორჯომი	2,67	2,36	2,27	2,41	2,68	3,01	2,47	2,6	2,4
დ. ლიახვი	კეხვი	26,9	27,0	25,3	26,0	27,8	30,3	17,3	20,7	-
პ. ლიახვი	ვანათი	9,06	10,0	9,95	8,88	9,0	10,3	3,82	5,9	-
ქსანი	კორინთა	6,49	9,03	11,8	10,0	7,3	9,13	3,34	6,44	-
არაგვი	ჟინვალა	51,7	43,5	43,5	44,1	47,8	44,5	40,1	-	-
თ. არაგვი	ფასანაური	14,2	11,5	12,0	11,7	12,2	12,4	11,2	-	-
შ. არაგვი	შესართავი	8,34	7,49	8,0	7,19	7,7	8,18	-	-	-
ფშ. არაგვი	მღაროსკარი	21,2	18,4	18,3	16,4	20,5	21,3	-	-	-
იორი	ლელოვანი	15,3	12,0	10,4	10,6	12,7	10,9	13,2	20,9	13,1
ალაზანი	ბირკიანი	17,6	14,5	13,1	14,9	15,4	12,0	13,9	19,1	10,5
ალაზანი	შაქრიანი	52,3	44,5	44,9	41,0	41,5	44,9	41,9	57,1	33,5
ინწობა	საბუე	-	-	-	1,46	1,63	1,23	1,76	2,36	0,97
ქცია ხრამი	ედიკილისა	9,27	8,47	8,62	7,98	8,29	8,33	10,3	9,34	6,45
ქცია ხრამი	წით.ხიდი	62,1	54,6	52,5	47,8	47,4	52,2	59,8	62,1	32,0
მაშავერა	დმანისი	7,26	5,04	4,95	5,56	5,39	5,86	4,02	7,37	3,29


ცხრილ 2-ში მოცემულია მდინარეთა საკვლევ 22 საგუშაგოზე წყლის ხარჯების საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები ცალკეულ ათწლეულებში. ისინი ასახავენ დროთა განმავლობაში მდინარეთა წყლიანობის ცვლილების ტენდენციებს. როგორც ირკვევა ცალკეულ ათწლეულებში წყლის ხარჯები ხან იზრდებოდა, ხან მცირდებოდა, რაც ქრონოლოგიურად ასე შეიძლება აღიწეროს: პირველ (1921 - 1930 წწ) ათწლეულში მდინარეთა წყლის ხარჯებზე დაკვირვებები მიმდინარეობდა მხოლოდ მდ. მტკვარზე ქ. ბორჯომთან და ქ. თბილისთან. მაშინ იქ აღრიცხული წყლის ხარჯები ნაკლები იყო მათ საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობებზე.

მეორე (1931 - 1940 წწ) ათწლეულში კი მდ. მტკვრის წყლის ხარჯები ცალკეულ საგუშაგოებზე გაიზარდა 13 - 32 მ³/წმ-ით. შემდეგ ათწლეულებში მდინარეთა წყლიანობის ცვლილება სხვადასხვა ხასიათს ატარებდა. მათგან გამორჩეული იყო 1971 - 1990 წლები, როდესაც წყლიანობა ძირითადად იზრდებოდა. მაშინ კლიმატის დათბობის მოქმედებით აქტიურად დადნა მყინვარებისა და თოვლნარების ნაწილი. ასეთივე წყლიანობის მატება აღინიშნა 2001 - 2010 წწ ათწლეულში, რაც ნალექიანობის მატებითა და აგრეთვე მყინვარებისა და თოვლნარების აქტიური დნობით იყო განპირობებული.

ამის საწინააღმდეგოდ ბოლო 2011 - 2020 წწ ათწლეულში მდ. მტკვრის ზემო წელის საგუშაგოების (ხერთვისი და მინამე) გარდა, ყველა საგუშაგოზე აღირიცხა მდინარეთა წყლიანობის მკვეთრი შემცირება, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ მაღალი ტემპერატურების შედეგად გაიზარდა აორთქლება, ნიადაგების გამოშრობა, შემცირდა მიწისქვეშა წყლები და შესაბამისად მდინარეთა წყლიანობაც. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ ამ ბოლო ათწლეულში არ იყო წყლიანობის აღრიცხვა მდინარეებზე: ლიახვზე, ქსანზე და არაგვზე, სადაც მაღალი ტემპერატურების გამო აქტიურად მიმდინარეობდა დარჩენილი მყინვარებისა და თოვლნარების დნობა და ამის შესაბამისად მდინარეთა წყლიანობის გაზრდა.

ცხრილ 3 - ში მოცემულია ცალკეული ათწლეულების წყლის ხარჯებს შორის სხვაობები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამ სხვაობების რიცხვითი მნიშვნელობებით აღიწერება მდინარეთა წყლიანობის ცვლილების რაოდენობრივი შეფასება, რაც მეტად მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით წყალსამეურნეო გაანგარიშებებში.

მდინარეთა წყლიანობის ცვლილების მიმდინარეობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ნახ. 2-ზე გამოსახული ცალკეული ათწლეულების წყლის ხარჯებს შორის სხვაობების ქრონოლოგიური სვლა მდ. მტკვრისა ქ. თბილისთან და მდ. ალაზნისა ს. შაქრიანთან.



ნახ. 2. მდინარეთა წყლიანობის (მ³/ს) სხვაობები ცალკეულ ათწლეულებს შორის თანმიმდევრულად 1921 წლიდან 2021 წლამდე: 1 - მდ. მტკვარი - ქ. თბილისი, 2 - მდ. ალაზანი - ს. შაქრიანი

მომავალში მდინარეთა წყლიანობის მოსალოდნელი ოდენობის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა წყლის მთავარი მაფორმირებელი კლიმატური ფაქტორების ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების პროგნოზები, შედგენილი კლიმატის გლობალური საპროგნოზო RCP 4.5 მოდელის მიხედვით [22], სადაც შეფასდა ორ 30 წლიან პერიოდში (2041 – 2070 და 2071 – 2100 წწ) ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების სამომავლო მნიშვნელობები საქართველოს ცალკეული მეტეოროლოგიური სადგურებისთვის.

დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 1971 – 2000 წლებთან შედარებით ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 2041 – 2070 წლებში 1,8 - 3,0 °C - მდე გაიზრდება, 2071 – 2011 წლებში კი 2,1 – 3,7 °C - მდე. ყველაზე ნაკლებად ტემპერატურა იმატებს ადიგენში, ყველაზე მეტად კი საგარეჯოში.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 2041 - 2070 წწ პერიოდში შემცირდება 9% - ით, ყველაზე მეტად (12,8 %) ნალექები შემცირდება ფასანაურში, ნაკლებად (3,3%) შემცირდება საგარეჯოში. 2071 - 2100 წლებში ნალექების წლიური ჯამი წინა პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ (1 - 6%) იცვლება. ნალექები ყველაზე მეტად (31 %) შეიცვლება ახალქალაქში, მთიანეთში კი უცვლელი რჩება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის თანამედროვე გლობალური დათბობის პირობებში, მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება და ატმოსფერული ნალექების შემცირება. მდინარეთა წყლის ჩამონადენის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების ასეთი ცვლილების შესაბამისად შეიცვლება მათი წყლიანობაც. ჰაერის ტემპერატურის გაზრდა გამოიწვევს მყინვარების დნობას, მაგრამ მათი ფართობები მდინარეთა სათავეებში უკვე ისეა შემცირებული რომ მათი დნობა ვერ გამოიწვევს მდინარეთა წყლიანობის მნიშვნელოვან მომატებას.

**ცხრილი 3. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა ცალკეულ ათწლეულებში
 არსებულ წყლის ხარჯებს შორის სხვაობები**

მდინარე	პუნქტი	1941-	1951-	1961-	1971-	1981-	1991-	2001-	2011-
		1950	1960	1970	1980	1990	2000	2010	2020
		1931-	1941-	1951-	1961-	1971-	1981-	1991-	2001-
		1940	1960	1960	1970	1980	1990	2000	2010
მტკვარი	ხერთვისი	-5,8	-0,6	-1,8	1,7	0,2	1,5	0,4	1,8
მტკვარი	მინამე	-2,5	3,4	5,2	-3,7	2,6	2,7	-1,9	4,9
მტკვარი	ბორჯომი	-10,7	-0,9	-1	3,4	12,9	-2,2	-6,2	-6,8
მტკვარი	ძეგვი	-30	2,0	-4	17	-15	24	6,0	-19
მტკვარი	თბილისი	-26	6,0	-20	24	-13	33	5,0	-24
ფარავანი	ხერთვისი	-2,6	1,7	0	-0,9	1,3	-0,8	1,0	-6,6
ფოცხოვი	სხვილისი	-3,0	2,2	-2,8	1,1	5,5	-4,7	1,2	-2,7
ბორჯომულა	ბორჯომი	-0,31	-0,29	0,14	0,27	0,33	-0,54	0,13	-0,2
დ. ლიახვი	კეხვი	0,1	-1,7	0,7	1,8	2,5	-13	3,4	-
პ. ლიახვი	ვანათი	0,04	-0,05	-1,07	0,13	1,29	-6,48	2,08	-
ქსანი	კორინთა	2,54	2,77	-1,8	-2,7	1,43	-5,79	3,1	-
არაგვი	ჟინვალისი	-8,2	0	0,6	3,7	-3,3	-4,4	-	-
თ. არაგვი	ფასანაური	-2,7	0,5	-0,3	0,5	0,2	-1,2	-	-
შ. არაგვი	შესართავი	-0,85	0,51	-0,81	0,51	0,42	-	-	-
ფშ. არაგვი	მალაროსკარი	-2,8	-0,1	-1,9	4,1	0,8	-	-	-
იორი	ლელოვანი	-3,3	-1,6	0,2	2,1	0,2	2,3	7,7	-7,8
ალაზანი	ბირკიანი	-3,1	-1,4	1,8	0,5	-3,4	1,9	5,2	-8,7
ალაზანი	შაქრიანი	-7,8	0,4	-3,9	0,5	3,4	-3	15,3	-23,6
ინწობა	საბუე	-	-	-	0,17	-0,4	0,53	0,6	-1,39
ქცია ხრამი	ედიკილისა	-0,8	0,15	-0,64	0,31	0,04	1,97	-0,96	-2,89
ქცია ხრამი	წით.ხიდი	-7,5	-2,1	-4,7	-0,4	4,8	7,6	2,3	-30,1
მაშვერა	დმანისი	-2,22	-0,09	-0,89	-0,17	0,45	-1,84	3,35	-4,08

ამასთან ერთად მდინარეთა აუზების ზედაპირზე აორთქლების მომატება და გვალვიანობა გამოიწვევს ნიადაგების გამოშრობასა და მიწისქვეშა წყლების დონის დაწევას, წყაროების დაშრობას და შედეგად მდინარეთა წყლის რესურსების შემცირებას. ასეთ შემთხვევაში სარწყავი წყლის უკმარისობა გამოიწვევს ქართლის ფართო ველებისა და კახეთის ნოყიერი ნიადაგების დეგრადაციას, შეფერხებს და შეამცირებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციას და მათ მოსავლიანობას. გაიზრდება აგრეთვე ხანძარსაშიშროება და ალტერნატიული ღონისძიებების მიუღებლობის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს გაუდაბნოების პროცესი.

ამის მაგალითია კახეთში არსებული შირაქის ვრცელი ველი, რომელსაც ადრე საქართველოს პურის ბელეს უწოდებდნენ, მაგრამ დღეს იქ აღარაფერი ითესება, რადგან კლიმატის დათბობისა და ქარსაფარი ზოლების განადგურებით, აგრეთვე ჭარბი პესტიციდების გამოყენებით გამოშრა ნიადაგები და შეიცვალა მათი შედეგნილობა. ამის შედეგად იქ თანდათან ვითარდება გაუდაბნოების პროცესი, რაც უკვე გამოხატულია ელდარის ველზე. გვალვიანობის შედეგად ქვემო ქართლსა და შიდა კახეთში უკვე დაზიანებულია 200 ათასი ჰა მიწა და 3 ათასი ჰა - ზე დაწყებულია გაუდაბნოების პროცესი.

დასკვნა

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა წყლიანობის ცვლილების შესწავლის მიზნით, გამოყენებულ იქნა სადღეისოდ მოქმედი 10 ჰიდროლოგიური საგუშაგოსა და აგრეთვე ადრე მოქმედი გრძელრიგიან დაკვირვებათა მქონე საგუშაგოების მონაცემები. 22 საგუშაგოზე განისაზღვრა მდინარეთა წყლის ხარჯების საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები ცალკეულ ათწლეულებში, რომელთა ურთიერთ შედარებით გამოვლინდა მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე ცვლილების არსებული ტენდენციები.

განგარიშებულია აგრეთვე ცალკეულ ათწლეულებში წყლის ხარჯებს შორის სხვაობები, რომლითაც განისაზღვრება წყლიანობის მიმდინარე ცვლილების რაოდენობრივი შეფასება და რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკულად წყალსამეურნეო განგარიშებებში.

მომავალში მდინარეთა წყლიანობის მოსალოდნელი ოდენობის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა მისი მაფორმირებელი მთავარი კლიმატური ფაქტორების ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების პროგნოზები შედგენილი კლიმატის საპროგნოზო სცენარის მიხედვით. როგორც გაირკვა კლიმატის მიმდინარე გლობალური დათბობის პირობებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის კვლავ მომატება და ატმოსფერული ნალექების შემცირება. ამის გამო გაიზრდება გვალვიანობა, აორთქლება, ნიადაგების გამოშრობა და მათი ეროზია, მოხდება მიწისქვეშა წყლების დონის დაწევა, წყაროების დაშრობა და შედეგად შემცირდება მდინარეთა წყლიანობა.

ასეთ პირობებში შეიქმნება სარწყავი წყლის რესურსების უკმარისობა, რაც გამოიწვევს ქართლის ფართო ველებისა და კახეთის ნოყიერი ნიადაგების დეგრადაციას, შეფერხდება და შემცირდება მცენარეთა ვეგეტაცია და მოსავლიანობა, გაიზრდება ხანძარსაშიშროებები და მოსალოდნელია განვითარდეს გაუდაბნოების პროცესი.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ასეთი ვითარება მეტად უარყოფითად იმოქმედებს გარემოს მდგომარეობაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე და რაც მთავარია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამის გამო აუცილებელია უკვე დაიწყოს წყლის რესურსების დაზოგვისა და მათი შევსებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება და მათი დროული განხორციელება.

წყლის რესურსების შენარჩუნებისა და მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით დანაკარგების გარეშე, აუცილებელია წყალგამოყენების სისტემების სრული რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და საწარმოებში მრავალმხრივი ტექნოლოგიებისა და წყლის მეორადი გამოყენების სისტემების დანერგვა. მცენარეთა მოსავლიანობის მისაღებად კი საჭიროა ეტაპობრივად ჩატარდეს გარკვეული ღონისძიებები, რომელთა შორის აღსანიშნავია სარწყავი არხების გაწმენდა და მოპირკეთება, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების მოწესრიგება, წვეთოვანი და დაწვიმებითი მორწყვის განვითარება, გვალვაგამძლე მცენარეთა ჯიშების გავრცელება, არასავეგეტაციო პერიოდში გამოუყენებელი წყლის რესურსების დაგროვების მიზნით სათანადო წყალსატევების მოწყობა და სხვა.

ლიტერატურა-REFERENCES

1. UNEP's Global Environmental Outlook, 2003, 540 p.
2. Water for People, Water for Life. UN Report on the State of the World's Water Resources. 2003
3. Smith K.R. at al. chapter II: Human health; impacts; adaptation and co. benefits. Archived 8.07.2014
4. Elizbarashvili E. Climate of Georgia. GTU, IHM, Tbilisi, 2017, 360 p.
5. Khmaladze Georgi. The Water Resources of Georgia. Tbilisi, 2009, 43 p.
6. Ukleba N. The Use of the Georgian Water Resources in National Economics. Publishing of University, Tbilisi, 1977, 394 p.
7. Water resources of Transcaucasia, GIMIZ, Leningrad, 1988, 264 p.
8. Catalog of Glaciers of USSR, Vol. 9, Issue 3, Part 1, GIMIZ. Leningrad, 1975, 95 p.
9. Kordzakhia G., Shengelia L., Tvauri G., Guliashvili G. Study of Eastern Georgia Glacier Basins Degradation as a Result of Ongoing Climates Change Using Satellite Remote Sensing. Science and Technologies. Scientific Reviewed Magazine. 2025, № 1 (747). Tbilisi, pp. 7-14. DOI: <https://doi.org/10-36073/0130-7061>
10. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1967, 460 p.
11. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1977, 358 p.
12. Fundamental Characteristics of Hydrology. Vol. 9, Issued 1, GIMIZ, Leningrad, 1978, 300 p.
13. State Water Cadaster, Vol. VI, Georgian SSR, GIMIZ, Leningrad, 1987, 416 p.
14. Georgian Laws of the Water, № 936, 20/07/2018
15. Department of Hydrometeorology of National Environmental Agency. Tbilisi, 2024
16. Basilashvili Ts., Salukvadze M., Tsoamaia V., Kherkheulidze G. Catastrophic of Flooding, Mudflow and Avalanches in Georgia and their Safety. Georgian Technical University. Tbilisi, 2012, p. 244
17. Basilashvili Ts. Changes of Georgian Mountainous Rivers Water Flows, Problems and Recommendations. American Journal of Environmental Protection, 4, № 3-1, Science Publishing Group (USA), 2015, pp. 38-43
18. Basilashvili Ts. Parameters of Peak Discharges on Mountain Rivers of Georgia, their Changes Tendencies and the Scope Development. Proceedings of International Conference Landscape Dimensions of Sustainable Development: Science – Planning – Governance. TSU, Tbilisi, 2017, 224-235
19. Basilashvili Ts.Z. Updated Parameters of Average Annual River Discharge in Eastern Georgia. Scientific Reviewed Proceedings of the Institute of Hydrometeorology of the GTU, V. 136, 2025. DOI: doi.org/10.36073/1512-0902-2025-136-16-22
20. Basilashvili Ts., Pipia M., Arutiniani N. Trends in multi-year changes in the highest flood-related discharges on the rivers of Eastern Georgia. Science and Technologies, Scientific Reviewed Magazine. № 1 (747), Tbilisi, 2025. DOI: <http://doi.org/10.36073/0130-7061>
21. Basilashvili Ts. Statistical Analysis of Variables and Selection of Predictors for Prognostic Relationships. Annotated Index of Algorithms and Programs. World Data Center. Obninsk, 1977, pp. 43
22. Basilashvili Ts. Changes in River Runoff in Eastern Georgia under Contemporary Climate Warming. Science and Technologies. Scientific
23. Kartvelishvili L., Tatishvili M., Amiranashvili A., Megrelidze L., Kutaladze N. Weather, Climate and their Change Regulates for the Conditions of Georgia. "Universal", Tbilisi, 2023, 405 p.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-18-28
UDC: 551.482.215.3

Current and Projected Changes in River Runoff under the Dry Climatic Conditions of Eastern Georgia/Basilashvili Ts. Z., Janelidze M. G., Basilashvili Kh. G./Transactions IHM, GTU. 2026. vol. 139. pp. 18-28. Georg., Summ. Georg., Eng. Rus.

Using river discharge observations from 22 hydrological gauging stations for the period 1924–2023, the study calculated long-term average values for individual decades and assessed the differences between them. The study identifies current trends in river runoff change and provides their quantitative evaluation. The findings are of practical significance for water-management calculations.

According to existing climate projections, a substantial increase in air temperature and a decrease in atmospheric precipitation are expected. Consequently, evaporation, drought frequency, soil desiccation and erosion, declining groundwater levels, spring depletion, and, ultimately, reduced river runoff are likely to intensify in the future. A decline in irrigation water resources may lead to reduced agricultural yields, increased fire risk, soil degradation, and the development of desertification processes. These changes could have a highly adverse impact on the environment, public well-being, and the country's economic development.

Therefore, it is essential to begin implementing preventive measures aimed at conserving and replenishing water resources. The article outlines the key measures to be undertaken.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-18-28

УДК: 551.482.215.3

მდინარეთა წყლიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილება აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ჰავის პირობებში/ბასილაშვილი ც.ზ., ჯანელიძე მ.გ., ბასილაშვილი ხ.გ./სტუდენტური კონფერენციის კრებული 2026, ტ. 139, გვ. 18-28. ქართ., რუს. ქართ., ინგლ., რუს.

მდინარეთა წყლის ხარჯებზე არსებული 1924-2023 წლების დაკვირვებათა მონაცემებით 22 ჰიდროლოგიურ საგუშაგოზე განისაზღვრა ცალკეულ ათწლეულებში საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები და მათი სხვაობები. გაირკვა მდინარეთა წყლიანობის ცვლილების მიმდინარე ტენდენციები და მათი რაოდენობრივი შეფასება, რომელთაც აქვთ პრაქტიკული დანიშნულება წყალსამეურნეო განვითარებისათვის.

არსებული კლიმატური პროგნოზების მიხედვით მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი მომატება და ატმოსფერული ნალექების შემცირება. ამის გამო მომავალში სავარაუდოა, რომ გაიზრდება აორთქლება, გვალვიანობა, ნიადაგების გამოშრობა და მათი ეროზია, მიწისქვეშა წყლების დონის დაწევა, წყაროების დაშრობა და შედეგად მდინარეთა წყლიანობის შემცირება. სარწყავი წყლის რესურსების შემცირება გამოიწვევს მოუსავლიანობას, გაიზრდება ხანძარსაშიშროებები, ნიადაგების დეგრადაცია და გაუდაბნობის პროცესის განვითარება, რაც მეტად უარყოფითად იმოქმედებს გარემოზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამის გამო აუცილებელია დაიწყოს წყლის რესურსების დაზოგვისა და მათი შევსებისათვის საჭირო პრევენციული სამუშაოების განხორციელება. მითითებულია მთავარი ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-18-28

УДК: 551.482.215.3

Текущее и ожидаемое изменение водности рек в условиях сухого климата Восточной Грузии/Басиладшвили Ц.З. Джанелидзе М.Г., Басиладшвили Х.Г./Сб. Трудов ИГМ ГТУ, 2026. Том 139, с. 18-28, Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

По наблюденным данным расходов воды рек за период 1924-2023 годов на 22 гидрологических постах, определены их среднегодовые значения отдельных десятилетий и их разностей. Выявлены текущие тенденции изменения водности рек и их количественные оценки, которые имеют практическое назначение при водохозяйственных расчётах.

По существующим климатическим прогнозам, ожидается значительное увеличение температуры воздуха и уменьшение атмосферных осадков. Поэтому в будущем ожидается увеличение испарения, засух, высыхание и эрозии почвы, понижение уровней подземных вод, высыхание родников и уменьшение водности рек.

Уменьшение водных ресурсов для орошения вызовет неурожайность, увеличится пожароопасность, деградация почв и развитие опустынивания, что очень отрицательно подействует на окружающую среду, на благосостояние населения и на экономическое развитие страны. Поэтому, уже необходимо начать проведение превенциальных работ в целях сбережения и пополнения водных ресурсов. Указан перечень основных производимых мероприятий.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-29-36

უკ. 551.556.5

**მდინარეთა თერმული რეჟიმის ფორმირების თვისებები მდინარე ენგურის მაგალითზე
ს. გორგიჯანიძე, გ. ფიფია, გ.ჯინჭარაძე, თ. ჩიტაძე, ნ. კობახიძე, გ.გრიგოლია, გ. გაჩეჩილაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
sophiogorgijanidz@gmail.com

რეზიუმე

მდინარის თერმული რეჟიმის ფორმირებას და მისი თერმული რეჟიმის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია ამა თუ იმ წყლის თერმული რეჟიმი, მაშინ ყოველთვის ვიცით წინასწარ ამ წყლის უმაღლესი სიმკვრივის მდგომარეობა; ვიცით მისი 10°C ტემპერატურის დადგომის და ხანგრძლივობის პერიოდი - ტემპერატურა, რომლის შემთავს გვაქვს სიცოცხლის და ვეგეტაციისათვის ხელშემწყობი პირობები; გარდა ამისა ვიცით ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია წყლის ტემპერატურა გავიგოთ მაშინ, როდესაც ვიცით ჰაერის. ამ უკანასკნელ პერიოდში წყლის თერმულ რეჟიმს მიაქციეს დიდი ყურადღება, რადგანაც ატივანარებული მასალის დალექვა და მისი ვარდნის სიჩქარე დამოკიდებულია სიბლანტეზე და ეს უკანასკნელი კი პირდაპირ კავშირში იმყოფება ტემპერატურასთან. ამრიგად წყლის თერმული რეჟიმის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: თერმული, ხარჯი, ტემპერატურა, წყლის რეჟიმი.

შესავალი

მდინარეების თერმული რეჟიმის ფორმირება მიმდინარეობს მეტეოროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, ჰიდროლოგიური და მორფოლოგიური ფაქტორების ზეგავლენით. მდინარეებზე ყველა მოქმედი ფაქტორი შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: გარეგან და შინაგან ფაქტორებად. გარეგან ფაქტორს მიეკუთვნება: მზის ჯამური რადიაცია, ჰაერის ტემპერატურა და ატმოსფერული ნალექები წვიმის და თოვლის სახით. შინაგან ფაქტორებს მიეკუთვნება, ნაკადის ჰიდროდინამიკური ელემენტები (ტურბულენტობა, სიჩქარე და ა.შ.), მდინარეთა წყლიანობის ცვალებადობა დროის მიხედვით და ასევე მიწისქვეშა წყლების რეჟიმი.

აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით მდინარეების წყლის ტემპერატურა ხასიათდება: დღე-ღამური, სეზონური და წლიური მსვლელობით.

დღე-ღამის განმავლობაში წყლის ტემპერატურა მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს 14-16 საათზე. დიდ მდინარეებზე 18 საათისთვის. მინიმალური ტემპერატურა მდინარეებზე აღინიშნება მზის ამოსვლამდე მოცემული ადგილისათვის 2-3 საათით ადრე. წყლის ტემპერატურა დღე-ღამურ მსვლელობაზე დიდ გავლენას ახდენს ღრუბლიანობა. მისი ზეგავლენით წყლის ტემპერატურის ამპლიტუდა მცირდება და მინიმალურია მთლიანი მოდრულულობის პერიოდში

კვლევის მიზანი

წყლის ტემპერატურის ცვალებადობა მდინარის სიგრძის მიხედვით

წყლის ტემპერატურის ცვალებადობა მდინარის სიგრძის მიხედვით ძირითადად დამოკიდებულია მდინარის საზრდოობის პირობებზე, მდინარის სიგრძეზე და გეოგრაფიულ ლანდშაფტის ზონალობაზე. წყლის ტემპერატურა მდინარეების, რომლებიც მიემართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თანდათან მცირდება, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გამდინარე მდინარეების კი, პირიქით, ინტენსიურად მატულობს.

ტყე-ველის ზონაში პატარა მდინარეებს გაცილებით მეტი ტემპერატურა აქვს, ვიდრე დიდ მდინარეებს.

მთის მდინარეთა წყლის ტემპერატურა ინტენსიურად მატულობს მთელი წლის განმავლობა მთიდან ვაკისკენ დინების მიხედვით. ზაფხულში ტემპერატურა მატულობს მდინარის მთელ სიგრძეზე, სათავიდან შესართავამდე. ზაფხულსა და შემოდგომაზე ზოგიერთ მდინარეებზე წყლის ტემპერატურა მთისწინებიდან გამოსვლის შემდეგ კლებულობს.

მდინარეთა წყლის ტემპერატურა გავლენას ახდენს მთავარი მდინარის ტემპერატურაზე. გარდა ამისა ის მდინარეები, რომლებიც გამოედინებიან დიდი ტბებიდან, დიდ სიგრძეზე ინარჩუნებენ ტბის ტემპერატურას.

აღსანიშნავია სეზონების მიხედვით წყლის ტემპერატურის ცვალებადობა, რომელიც გამოირჩევა არა თანაბრობით. წლის განმავლობაში გამოყოფენ ოთხ პერიოდს ტემპერატურის მიხედვით. ესენია:

1. გაზაფხულის დათბობის პერიოდი

2. ზაფხულის მაღალი ტემპერატურების პერიოდი
3. შემოდგომის აცივების პერიოდი
4. ზამთრის დაბალი ტემპერატურის პერიოდი.

წყლის განმავლობაში მაქსიმალური ტემპერატურა მდინარეებზე აღინიშნება ივლისის ბოლოს, აგვისტოს პირველ დღეებში; რაც უფრო წყალუხვია მდინარე, მაქსიმალური ტემპერატურის დადგომის პერიოდი იგვიანებს.

მინიმალური ტემპერატურა აღინიშნება იანვრის ბოლოს, თებერვლის დასაწყისში.

აღსანიშნავია, რომ მდინარეების ცოცხალ კვეთში ტემპერატურა განსხვავებულია და ეს განსხვავება მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია ცოცხალი კვეთის ფართობი. დიდ მდინარეებზე ცოცხალი კვეთის ცალკეულ პერიოდში ტემპერატურათა სხვაობამ შეიძლება 4-8°C მიაღწიოს. მთის მდინარეებზე ტემპერატურათა სხვაობა უმნიშვნელოა და მათედ გრადუსებს შეადგენს. ხშირ შემთხვევაში იგი სრულიადაც არ არის.

მდინარეთა თერმული რეჟიმის განხილვის დროს მნიშვნელოვანია წყლის ტემპერატურის გარკვეულ გრადაციებზე გადასვლის ვადების დადგენა. ასეთ ტემპერატურებს წარმოადგენს 4⁰ და 10⁰C. 4⁰C იმიტომ, რომ წყალს ამ ტემპერატურის დროს აქვს უდიდესი სიმკვრივე და მისი დადგომის ვადების განსაზღვრა საინტერესოა, რადგან ამ დროს წყლის მასის მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს ჟანგბადის შეთვისება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდისთვის ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლის უზარალობის შესანარჩუნებლად. [Vladimirov, 1957, Ukleba 1967, G. Pipia, S. Gorgijanidze 2025].

10⁰C ტემპერატურა კი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ 10⁰C -ის ზევით აქტიურდება ცოცხალი ორგანიზმების განვითარების ინტენსივობა. 10⁰C ქვევით, კი ცოცხალი ორგანიზმების ზრდა-განვითარება სუსტდება და შეიძლება მთლიანად შეჩერდეს.

რაც შეეხება ზამთრის პერიოდს, როდესაც წყლის ზედაპირი 10-20 სმ ყინულითა და თოვლითა დაფარული, სითბოს ცვალებადობა ატმოსფეროსა და წყალს შორის აღარ ხდება, რადგან თოვლის ზედაპირი მზის სითბური ენერჯის თითქმის 70%-ს არეკლავს, ხოლო რადიაციის დანარჩენ ნაწილს შთანთქავს ან გაფანტავს თოვლის საფარის ზედა ფენა. წყდება აგრეთვე წყლის ზედაპირიდან აორთქლება და კონდენსაცია. სითბოცვლა წყალსა და ატმოსფეროს შორის ხორციელდება მხოლოდ თოვლისა და ყინულის საფარიდან სითბოგამტარობის საშუალებით. სითბოცვლა კალაპოტის ფსკერთან შედარებით მცირეა, ვიდრე სითბოცვლა წყლის ზედაპირსა და ატმოსფეროს შორის. ზაფხულის პერიოდში წყლიდან სითბოს კალაპოტის ფსკერი იღებს, ხოლო ზამთარში, პირიქით, წყალი სითბოს კალაპოტიდან იღებს.

როდესაც წყლის ზედაპირი თოვლისა და ყინულისგან თავისუფალია, განსაკუთრებით გაზაფხულის წყალდიდობისას წყლის ტემპერატურა დაბალია ჰაერის ტემპერატურაზე; ხოლო შემდეგ პირიქით, წყლის ტემპერატურა მაღალია ჰაერისაზე.

ჰაერის ტემპერატურა გადამწყვეტ როლს თამაშობს მდინარის ტემპერატურის სიდიდეზე და ჰაერის ტემპერატურა წარმოადგენს მდინარის ტემპერატურის სამზარეულოს, რომლის შესაბამისადაც იცვლება ამ უკანასკნელის მნიშვნელობა.

განვიხილოთ ჰაერისა და მდინარის ტემპერატურის ურთიერთ დამოკიდებულება კონკრეტულ მაგალითზე მდინარე ენგურზე სოფ. ხაიშთან, ჯვართან და დარჩელთან.



შესასწავლი არეალი

მდ. ენგური დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონიდან იღებს სათავეს, (სამეგრელო-ზემო სვანეთი), ისტორიულად სვანეთის ზემო წელში. სწორედ სვანეთის ქვაბულის ღერძულ ნაწილში გაედინება მდ. ენგურის ხეობა სადაც მისი სიგრძე 95 კმ-ია (მთლიანი სიგრძეა 213 კმ, აუზის ფართობი 4060კმ²) [ka.wikipedia], მდინარის შენაკადების ხეობები კავკასიონის მთავარი ქედის სამხრულ ფერდობზეა დაქსელილი. ესენია: ნენსკრა, ნაკრა, დოღრა, ხალდე, არშირა, ლასილი, ლაილჭალა, თხეიში და სხვ., ზოგი ემორჩილება საერთო კავკასიურ მიმართულებას: მესტია-ჭალა, მულხრა, პადიშჭალა, ხუმფრერი, ქასლეთი) თავად ენგურის ხეობას, სხვადასხვა მონაკვეთებზე, განსხვავებული მორფოლოგიური ფორმა აქვს [Maruashvili 1964, Physical Geography 2000, Khazaradze 1977]. შხარისა და ენგურის მყინვარების ბოლოდან ენგურის ხეობა სუბმერიდიანული მიმართულებისაა და 12-15 კმ მანძილზე ტროგულ ფორმას ინარჩუნებს (სოფ უშგულის ქვემოთ 2,5 კმ), აქედან ხეობა ჩრდილო-დასავლური მიმართულებისაა 15-16 კმ-ზე ეროზიული რელიეფით ხასიათდება, შემდეგ კი სოფ. კალის ქვემოთ, ხეობა კვლავ ფართოვდება და აქა-იქ შეინიშნება ეროზიული საფეხურები. ივარის თემიდან ლატალამდე, 25 კმ-ის მანძილზე, ხეობა


ასიმეტრიულია. ლატალთან (მდ. მულხურის შეერთება) ენგურის ხეობა ფართოვდება და აჩენს საკმაოდ დიდ მოვაკებას. აღნიშნული მონაკვეთის ჩამოყალიბებაში თვალსაჩინოა ძველი მყინვარების მონაწილეობაც. მდ. დოღრის შეერთებამდე ხეობა შევიწროებულია, შემდეგ კი მდ. ნაკრის შესართავამდე ისევ ფართოვდება. ამ მონაკვეთიდან ენგურის ხეობა იღებს სამხრეთ-დასავლურ მიმართულებას, რომელსაც ზემო სვანეთის ქვაბულიდან სოფ. ხაიშამდე ინარჩუნებს. ზემო სვანეთი მდიდარია მინერალური წყაროებით, რომელთა განსაკუთრებული სიუხვე შეინიშნება მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადები ხეობებში. მდ. ენგურის შენაკადებიდან ერთვის, რომელთაგან აღსანიშნავია მუხრის ხეობა; იგი ძირითადად განედური მიმართულებისაა და მასში თავს იყრის ტვიბერისა და წანერის მყინვარების დნობის წყალი (ჩამონადენი). მათი ხეობების ზემო ნაწილი გლაციალური ხასიათისაა. თუმცა ხეობის ფსკერი ამოვსებულია ტბიური, მყინვარული, დელუვიური და პროლუვიური ნალექებით. დაბა მესტიის მახლობლად ხეობა ვიწროვდება, სადაც იერთებს მარჯვენა შენაკადს - მესტიაჭალას მდ. მესტიაჭალა სათავეს იღებს ლეხზირისა და ჭალათის მყინვარებიდან. ხეობის ზედა ნაწილი ტროგულია, ქვემოთ თანდათან ფართოვდება და მისი სიგანე 1,5 კმ-ს აღწევს. მდ. ენგურს, 1140 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე, მარჯვნიდან დოღრის ხეობა ერთვის, რომელშიაც გაედინება ქვიშის, დოღრის და უშბის მყინვარებიდან ჩამონადენი წყლები. ხეობის სათავეში აღმართულია უშბის (4710 მ) მწვერვალი. დოღრის ხეობა ბოლომდე გამოკვეთილ ტროგულ ფორმას ინარჩუნებს, რომლის მარცხენა ფერდობზე, თითქმის ბოლომდე გაუყვება ძველი მყინვარის მიერ დატოვებული გასწვრივი საფეხურები. მდ. ნაკრის ხეობა მდ. ენგურს 890 მ ზ.დ. ერთვის და სუბმერიდიანული მიმართულებისაა. მისი უმეტესი ნაწილი გლაციალური ხასიათისაა და მხოლოდ შეერთების მონაკვეთზე, ვიწრო და ღრმა კალაპოტი აქვს ჩაჭრილი. მდ. ენგურს მარჯვენა მხრიდან, სოფ. ხაიშთან ერთვის უდიდესი შენაკადი - მდ. ნენსკრა (სიგრძე 42 კმ-მდე) [ka.wikipedia.]. მისი ხეობა ქვემოთ ფართოვდება, (აქ გაშენებულია ჭუბერის თემის სოფლები). [Vladimirov, 1957, Ukleba 1967, Kikilashili 1974] მდ. ენგურის ხეობას, ზემო ნაწილში კიდევ ორი შენაკადი - ადიშქალისა და ხალდექალის ხეობები ერთვის, რომლებიც ძირითადად გამომუშავებულია იურულ-ფლიშურ წყებებში, ორივე ხეობის სათავე დაკავშირებულია მყინვარებთან ადიში და ხალდე. ამასთან ორივე მათგანის რელიეფი გლაციალური ხასიათისაა; ზემო სვანეთის ქვაბულის მარცხენა მხარე (სვანეთის ქედის ჩრდილო ფერდობი) დანაწევრებულია მდ. ენგურის მარცხენა შენაკადებით და განსხვავებულია მარჯვენისაგან, როგორც გეოლოგიური აგებულებით, ასევე მორფოლოგიური იერსახითაც, აქ რელიეფი შედარებით მარტივია, ხეობები მცირე განზომილებებით ხასიათდება.

ძირითადი ნაწილი


როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ჰაერის ტემპერატურა გადამწყვეტ როლს თამაშობს მდინარის ტემპერატურის სიდიდეზე, რომელის შესაბამისადაც იცვლება ამ უკანასკნელის მნიშვნელობა. ძველი მონაცემების საფუძველზე, რომელიც დამუშავებულია და შესრულებულია გ. ფიფიას მიერ ცხადყოფს რომ სამივე სოფელთან ცვლილება ხდება, როგორც წყლის ტემპერატურის ასევე ჰაერის. გრადაცია სეზონურ ჭრილშია და მათი განხილვა არსებით როლს თამაშობს მდ. ენგურის აუზისათვის. (ნახ. 1,2,3). [Kikilashili 1974, Hydrometeorology Publishing 1970, 1976]. ხოლო მონაცემები, რომელიც გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ არის გადმოცემული ეხება მხოლოდ მდ. ენგურის სოფ. ხაიშთან მოცემულ წყლის ტემპერატურას, რადგან დანარჩენ სოფლებთან ამ ეტაპზე მონაცემების შეგროვება სატესტო რეჟიმშია. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მოცემულ გრაფიკებზე ნახ. 4 და 5. ნაჩვენებია წყლის ტემპერატურის ცვლილება 2024 წლისათვის (გარემოს ეროვნული სააგენტო). ამ წლის მონაცემები კი ამ ეტაპისთვის ყველაზე ახალია.



ნახ. 1. 2. 3. მდ. ენგურის წყლის და ჰაერის ტემპერატურის ცვლილება სოფ. ხაში, სოფ. ჯვარი და სოფ. დარჩელი (გრაფიკები აგებულია გ. ფიფიას მიერ)



ნახ. 1. მდ. ენგური-ხაშის წყლის ტემპერატურა C 2024 წ.



ნახ. 2. თვის საშუალო წყლის ტემპერატურა⁰C მდ. ენგური-ხაიში 2024 წ.

ცხრილი 1 . მდ. ენგური - სოფ. ხაიში წყლის ტემპერატურა⁰ C (2024 წ) (გარემოს ეროვნული სააგენტო)

2024 წ	მდ. ენგური-ს.ხაიში წყლის ტემპერატურა °C											
თვე/დღე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	2.7	2.6	3.4	6.0	11.4	13.2	15.8	15.8	16.7	9.2	6.1	1.4
2	2.6	3.5	5.3	6.3	8.5	12.5	15.9	15.4	16.5	11.3	5.6	1.9
3	2.4	3.2	3.9	6.6	8.8	14.9	16.1	16.5	16.7	11.8	5.9	1.7
4	2.5	3.3	4.5	6.1	8.6	14.5	17.1	16.3	18.9	10.9	5.2	1.5
5	2.6	2.5	4.9	5.7	8.1	14.4	17.9	18.5	17.8	11.0	2.2	1.8
6	2.4	2.2	5.1	6.2	7.7	15.7	17.8	18.5	15.3	11.7	2.7	2.4
7	2.5	2.4	4.6	5.5	7.5	16.2	16.9	18.5	14.8	12.5	3.2	1.7
8	2.5	4.6	3.0	5.7	7.4	14.7	16.5	17.5	15.7	12.0	2.6	2.9
9	2.3	3.9	4.0	6.8	6.1	14.6	16.0	18.0	16.0	12.7	4.0	2.8
10	2.4	3.9	4.3	6.5	9.2	13.9	16.6	18.1	16.2	10.7	5.3	2.3
11	2.4	4.0	4.4	6.3	9.5	14.5	18.8	16.3	17.2	12.0	3.7	3.1
12	2.3	4.4	3.3	7.8	9.1	15.0	20.2	16.6	18.1	12.1	4.3	4.1
13	2.4	4.5	4.9	6.7	8.1	14.0	17.3	17.3	16.7	10.9	3.9	1.6
14	2.4	5.4	5.8	6.1	6.9	14.0	18.3	16.6	15.6	12.0	3.6	0.6
15	2.2	5.5	5.8	6.2	7.8	15.5	19.1	17.2	14.3	11.6	4.6	0.5
16	2.6	5.5	5.1	6.9	8.3	15.0	17.5	17.4	13.2	12.4	5.5	1.2
17	2.5	5.0	5.4	6.9	7.4	17.0	18.8	17.2	13.5	10.4	2.4	1.6
18	2.4	4.9	5.7	7.4	6.9	15.5	18.5	17.1	14.8	8.0	2.9	0.5
19	2.4	4.8	6.0	9.5	7.4	17.0	16.0	17.2	14.4	8.6	5.9	1.6
20	2.3	4.2	4.7	9.4	8.9	16.5	16.3	18.6	13.4	7.5	5.6	1.1
21	2.6	3.9	5.7	8.5	9.0	15.6	17.2	19.3	14.3	6.0	6.6	1.1
22	2.7	4.2	5.2	9.0	8.9	15.6	18.1	19.4	14.6	5.9	5.3	1.8
23	2.6	4.4	4.9	8.2	11.2	16.4	17.3	20.6	15.5	6.5	5.0	3.7
24	2.7	3.9	5.6	8.2	10.4	17.3	17.0	17.9	13.6	5.9	5.2	3.9
25	2.8	3.8	4.6	8.8	9.1	16.7	16.6	16.4	14.3	7.7	3.5	3.9
26	2.9	3.1	3.5	9.5	10.1	15.1	16.7	17.3	14.8	7.0	0.8	3.0
27	2.9	2.7	4.3	10.4	12.0	13.4	14.8	18.0	13.1	6.3	0.6	2.6
28	3.1	2.6	4.9	10.6	12.9	14.3	14.8	16.5	12.9	4.7	1.6	4.9
29	3.1	3.5	6.2	10.2	13.8	14.4	16.0	16.3	14.1	4.4	1.4	5.0
30	3.2		7.1	11.4	13.7	16.3	16.7	16.9	10.0	5.2	0.8	5.2
31	1.8		5.8		13.1		16.3	17.7		5.8		5.6
თვის საშუალო	2.6	3.9	4.9	7.6	9.3	15.1	17.1	17.4	15.1	9.2	3.9	2.5
თვის უდიდესი	3.7	6.8	8.2	13.2	15.6	20.6	23.2	23.2	21.0	15.2	8.6	6.4
თვის უმცირესი	0.6	0.5	2.0	4.0	6.0	11.0	13.2	13.2	9.6	3.0	0.2	0.2

მონაცემებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ჰაერის ტემპერატურების უმაღლეს წერტილებს შეესაბამება წყლის ტემპერატურის მაქსიმუმები და პირიქით - ჰაერის ტემპერატურის უმცირეს მნიშვნელობებს - წყლის ტემპერატურის მინიმალური მნიშვნელობები. ეს დამოკიდებულება განვიხილეთ თითოეული სადგურისათვის ცალ-ცალკე ძველი მონაცემების საფუძველზე.

მეთოდები

სოფ. ხაიშთან იანვრის და დეკემბრის თვეში გვაქვს ჰაერის უარყოფითი მნიშვნელობა და ამავე პერიოდში გვაქვს წყლის მინიმალური ტემპერატურაც, იგი 2⁰-ზე დაბლა ჩამოდის. ჰაერის ტემპერატურის მაქსიმუმი გვაქვს ივლისის თვეში (17⁰-ზე მაღლა ადის ვერცხლისწყალი) ამავე პერიოდში გვაქვს წყლის ტემპერატურის მაქსიმუმიც (10⁰C). სექტემბრიდან იწყება, როგორც ჰაერის ასევე წყლის ტემპერატურის დაწევა და დეკემბრის თვეში ჩამოდის მინიმუმამდე.

ჰაერის ტემპერატურის რყევის ამპლიტუდა სოფ. ხაიშთან 21-ის ტოლია, ხოლო წყლის 8-ის. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ წყლის ტემპერატურა, ჰაერის ტემპერატურასთან შედარებით-ყოველთვის ნაკლებ რყევადობას განიცდის.

რაც შეეხება ჰაერისა და წყლის ტემპერატურის ურთიერთ დამოკიდებულებას სოფ. ჯვართან და სოფ. დარჩელთან იგივე ითქმის, რაც ზემოთ ავღნიშნეთ; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ზამთრის პერიოდში არა გვაქვს ჰაერის უარყოფითი ტემპერატურები და სოფ. ხაიშთან შედარებით წყლის ტემპერატურებიც ამ პერიოდისთვის მაღალია. ჯვართან 4⁰-ზე მეტია, ხოლო დარჩელში 6⁰-ს უახლოვდება. ტემპერატურის რყევის ამპლიტუდა ჯვართან ჰაერისათვის ტოლია 21-ის, ხოლო წყლის 7-ია.

სოფ. დარჩელთან ტემპერატურების რყევის ამპლიტუდა შესაბამისად ჰაერისა და წყლისთვის ტოლია 18 11-ის. სამივე განსახილველ სადგურზე ერთსა და იმავე პერიოდში გვაქვს:

გაზაფხულის დათბობის პერიოდი, რომელიც მარტიდან იწყება;

ზაფხულის მაღალი ტემპერატურის პერიოდი ემთხვევა ივლისს-აგვისტოს თვეებს;

შემოდგომის აცივების პერიოდი იწყება სექტემბრის თვიდან;

და ზამთრის დაბალი ტემპერატურის პერიოდი ემთხვევა იანვარ-თებერვლის თვეს.

ჰაერისა და წყლის ტემპერატურებს კარგად ახასიათებს დამოკიდებულების შემდეგი გრაფიკი, რომელიც მიიღება მაშინ, თუ კოორდინატთა სისტემის აფცისაზე გადავზომავთ ჰაერის ტემპერატურებს, ხოლო ორდინატაზე წყლის ტემპერატურებს და მათ შესაბამისად ავიღებთ წერტილებს, მაშინ ისინი წაგრძელებული ფორმით განლაგდებიან კოორდინატთა სისტემის მიმართ. ამ წერტილებზე შეგვიძლია გავავლოთ წრფე, რომელიც ამ წერტილების საშუალო მნიშვნელობებზე გაივლის და რაღაც კუთხით იქნება დახრილი აფცისთა ღერძის მიმართ. ეს წრფე გვაძლევს ერთ-ერთის ტემპერატურულ მნიშვნელობას, [1,2] როდესაც ვიცით მეორე. გარდა ამისა ამ წრფის განტოლებას აქვს სახე:

$$t_{\text{წყ}} = at_{\text{ჰა}} \pm b$$

სადაც a და b შემდეგი პარამეტრებია: a იმ კუთხის ტანგენსია, რომელსაც მოცემული წრფე ადგენს აფცისთა ღერძთან, ხოლო b ის მნიშვნელობაა მონაკვეთისა, რომელიც ამ წრფით ჩამოიკვეთება კოორდინატთა ღერძზე. როცა ვიცით ჰაერის ტემპერატურა, მაშინ ზემოთ ხსენებული ფორმულით შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ წყლის ტემპერატურა და შევადაროთ იგი გაზომილს. [Hydrometeorology Publishing 1970, 1976. G. Pipia, S. Gorgijanidze 2025]

მდინარე ენგურის ტემპერატურის ცვალებადობა და თავისებურება სათავიდან შესართავისაკენ

აქ უნდა ავღნიშნოთ: მდინარის ტემპერატურა სიგრძის მიხედვით ცვალებადი, რაზედაც მკვეთრ გავლენას ახდენს საზრდოობის წყარო, შენაკადები, ლანდშაფტი და ა.შ. ეს ცვალებადობაც შეგვიძლია განვიხილოთ მდ. ენგურის ტემპერატურის ცვალებადობის მაგალითზე სოფ. ხაიშთან მდინარის შესართავამდე. ამისათვის აფცისთა ღერძზე გადავზომავთ მანძილებს შესართავიდან სოფ. დარჩელამდე, ჯვარამდე და ხაიშამდე. ამის შემდეგ კოორდინატთა ღერძზე - ტემპერატურებს. რამდენიმე თვისათვის (კერძოდ I, IV, VI, VIII, IX, XI თვეებისათვის) ვიღებთ ტემპერატურების მნიშვნელობებს შესაბამისი სოფლისათვის და ვსვამთ გრაფიკებზე შესაბამისი წერტილებს. ამ წერტილების შეერთებით მივიღებთ ტეხილს ხაზს. ტემპერატურის მატება შესართავისაკენ კანონზომიერებას წარმოადგენს ამ მდინარეებისათვის. გრაფიკზე ხაზები ერთმანეთს არსად არ კვეთს და წლის ყველა დროისათვის მოქმედებს ეს კანონზომიერება - წყლის ტემპერატურის მატება შესართავისაკენ. [Vladimirov, 1957, Ukleba 1967, Kikilashili 1974].

დასკვნა

მდინარის თერმული რეჟიმის ფორმირებას და მისი თერმული რეჟიმის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც ზემოთ არსებული მონაცემების საფუძველზე განვიხილეთ. არსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია ამა თუ იმ წყლის თერმული რეჟიმი, მაშინ ყოველთვის ვიცით წინასწარ ამ წყლის უმაღლესი სიმკვრივის მდგომარეობა; ვიცით მისი 10°C ტემპერატურის დადგომის და ხანგრძლივობის პერიოდი - ტემპერატურა, რომლის ზემოთაც გვაქვს სიცოცხლის და ვეგეტაციისათვის ხელშემწყობი პირობები; ეს გვეხმარება როგორც ბუნებრივი სახეობების გაზრდაში, ასევე სასოფლო დასახლებებში სამეურნეო საქმიანობის ვეგეტაციის უფრო ეფექტიან წარმართვაში. გარდა ამისა ვიცით ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია წყლის ტემპერატურა გავიგოთ მაშინ, როდესაც ვიცით ჰაერის ტემპერატურა. ამ უკანასკნელ პერიოდში წყლის თერმულ რეჟიმს მიაქცეის დიდი ყურადღება, რადგანაც ატივინარებული მასალის დალექვა და მისი ვარდნის სიჩქარე დამოკიდებულია სოწრედ სიბლანტეზე. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ კავშირში იმყოფება ტემპერატურასთან. ამრიგად წყლის თერმული რეჟიმის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურა - REFERENCES

1. V. Vladimirov - Rivers of Georgia. Tbilisi 1957
2. N. Ukleba - General Hydrology. Tbilisi 1967
3. L. Maruashvili - Physical Geography of Georgia. Tbilisi 1964
4. Geography of Georgia part I. Physical Geography „METSNIEREBA“ Tbilisi. 2000. p. 313.
5. Khazaradze R. On the Glaciers of the Central Caucasus. Tbilisi 1977.
6. <https://ka.wikipedia-dia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98>.
7. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90>
8. Maruashvili L. Physical Geography of Georgia. Vol. I., TSU Publishing House. Tbilisi, 1968., pp. 16-168.
9. Kikilashili T., Kochiashvili D. Practicum of Land Hydrology. Tbilisi University Publishing House. Tbilisi 1974. pp. 177- 185.
10. Hydrology Estimates. Hydrometeorology Publishing House. L., 1970., p. 206 – 227.
11. Hydrology of the Land. Hydrometeorology Publishing House. L., 1976., p. 356-375
12. **Intraannual distribution of the Iori River runoff. G. Pipia, S. Gorgijanidze, G. Grigolia, Z. Gulashvili, T. Chitadze.** Transactions IHM, GTU. -2025. -vol.136. -pp.30-34

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-29-36

UDC: 551.556.5

Features of the formation of the thermal regime of rivers on the example of the Enguri River S. Gorgijanidze, G. Pipia, G. Jincharadze, T. Chitadze, N. Kobakhidze, G. Grigolia, G. Gachechiladze Transactions IHM, GTU. -2025. -vol.136. -pp.29-36. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

The formation of the thermal regime of a river and knowledge of its thermal regime are of great importance. In the case when the thermal regime of a particular water is established, then we always know in advance the state of the highest density of this water; we know the period of its occurrence and duration of 10°C temperature - the temperature above which we have conditions conducive to life and vegetation; in addition, we know the formula by which we can understand the temperature of the water when we know the air. In the latter period, much attention has been paid to the thermal regime of water, since the sedimentation of suspended matter and the speed of its fall depend on viscosity, and the latter is directly related to temperature. Therefore, knowledge of the thermal regime of water is of great importance.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-29-36

უკ:551.556.5

მდინარეთა თერმული რეჟიმის ფორმირების თვისებები მდინარე ენგურის მაგალითზე/ს. გორგიჯანიძე, გ. ფიფია, გ.ჯინჭარაძე, თ. ჩიტაძე, ნ. კობახიძე, გ.გრიგოლია, გ. გაჩეჩილაძე/სტუ-ის ჰმ-ის შრომათა კრებული-2025.-ტ.136, გვ.29-36

მდინარის თერმული რეჟიმის ფორმირებას და მისი თერმული რეჟიმის ცოდნას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია ამა თუ იმ წყლის თერმული რეჟიმი, მაშინ

ყოველთვის ვიცით წინასწარ ამ წყლის უმაღლესი სიმკვრივის მდგომარეობა; ვიცით მისი 10°C ტემპერატურის დადგომის და ხანგრძლივობის პერიოდი - ტემპერატურა, რომლის ზემოთაც გვაქვს სიცოცხლის და ვეგეტაციისათვის ხელშემწყობი პირობები; გარდა ამისა ვიცით ფორმულა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია წყლის ტემპერატურა გავიგოთ მაშინ, როდესაც ვიცით ჰაერის. ამ უკანასკნელ პერიოდში წყლის თერმულ რეჟიმს მიაქცევენ დიდი ყურადღება, რადგანაც ატივინარებული მასალის დალექვა და მისი ვარდნის სიჩქარე დამოკიდებულია სიბლანტეზე და ეს უკანასკნელი კი პირდაპირ კავშირში იმყოფება ტემპერატურასთან. ამრიგად წყლის თერმული რეჟიმის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-29-36

УДК: 551.556.5

Особенности формирования термического режима рек на примере реки Энгури. С. Горгиджанидзе, Г. Пипия, Г. Джинчарадзе, Т. Читадзе, Н. Кобахидзе, Г. Григолия, Г. Гачечиладзе./Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2025. - том 136. - с.29-36. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

Формирование термического режима реки и знание его термического режима имеют большое значение. В случае установления термического режима конкретного водоема мы всегда заранее знаем состояние максимальной плотности этой воды; мы знаем период и продолжительность температуры 10°C — температуры, выше которой существуют условия, благоприятные для жизни и растительности; кроме того, мы знаем формулу, по которой можно понять температуру воды, зная температуру воздуха. В последний период большое внимание уделяется термическому режиму воды, поскольку осадение выпавшего материала и скорость его выпадения зависят от вязкости, а последняя напрямую связана с температурой. Поэтому знание термического режима воды имеет большое значение.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-37-42

უკ.551.556.5

**მდინარე იორის აუზის მართვის სტრატეგიული დაგეგმვის საკითხისათვის
გულაშვილი, ზ., ტრაპაიძე, ვ., ფიფია, გ., ჯინჭარაძე, გ., ჩიტაძე, თ., კობახიძე, ნ.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
zaza.gulashvili@tsu.ge

რეზიუმე

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შემუშავება 1896 წლიდან იწყება და საფუძველი იაპონიაში ჩაეყარა. წყალი არა მხოლოდ ცალკე ობიექტი, არამედ ბუნებრივი გარემოს სხვა კომპონენტებთან ურთიერთკავშირში და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებთან ერთობლივად განიხილება. წყლის რესურსების მართვის საბოლოო დოკუმენტი ევროპაში 2000 წელს მიღებული ჩარჩო-დირექტივა (სხვა შესაბამის დირექტივებთან ერთად), რომელსაც საქართველო 2016 წლიდან არის მიერთებული, რითაც სახელმწიფომ ვალდებულია აიღოს დანერგოს მასში მითითებული რეკომენდაციები და პრინციპები, რაც განაპირობებს ცალკეული აუზის გარემოსა და სოციალური სფეროს მდგრად თანაარსებობას გრძელვადიან პერიოდში, ამავდროულად წყლის, როგორც ბუნებრივი რესურსის დაცვისა და შენარჩუნების კუთხით. მდინარეთა აუზების მართვის ახალი მიდგომა სტრატეგიული მართვის პრინციპების შემუშავება, რასაც ამა თუ იმ მდინარის აუზის მეცნიერულად დასაბუთებული კვლევა უდევს საფუძვლად. ნაშრომში ასახულია მდინარე იორის აუზის წინასწარი მოკვლევის ანალიზი, კლიმატის თანამედროვე ცვლილებით გამოწვეული შესაძლო პრობლემები და სტრატეგიული მართვის დაგეგმარებისთვის საჭირო კვლევის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: წყლის რესურსების მართვა, გვალვა, ირიგაცია

შესავალი

საქართველო 2016 წლიდან შეუერთდა წყლის ევროპულ ჩარჩო-დირექტივას. შესაბამისად, საქართველოში ახალი დაწყებულია წყლის რესურსების მართვის პრინციპებზე მუშაობა, რომლის პირველი ეტაპი 2030 წლისთვის უნდა დასრულდეს. აუზის სიტუაციური ანალიზით იდენტიფიცირდება დაინტერესებული ჯგუფები, მათ შორის ურთიერთკავშირები და პრობლემები. ყველა ამ საკითხის ბუნებასთან კომპლექსში განხილვით შემუშავდება რეგიონის განვითარებისთვის საჭირო საუკეთესო სტრატეგია და დამუშავდება აუზის მართვის გეგმებში გრძელვადიანი პერსპექტივით ადაპტირებადი მეთოდები ადგილობრივ პირობების გათვალისწინებით. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა უზრუნველყოფს ქვეყნის ამა თუ იმ აუზის ეფექტურ მართვას. წყლის რესურსების მართვის გარდა, სტრატეგიული დაგეგმარება გულისხმობს ასევე მიწათსარგებლობის სწორ მართვას, მსგავსი გეგმების შემუშავება იძლევა დროში გახანგრძლივებულ ეფექტს და მეტად მოქნილი ადაპტაციური ღონისძიებების დაგეგმვას.

მდინარეთა აუზების დაგეგმვა კომპლექსური პროცესია და წინაპირობად მოიაზრებს მრავალკომპონენტურ კვლევას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით შესწავლას მოიცავს. ძირითადი კვლევის საგანია მდინარეთა ჩამონადენის თანამედროვე რეჟიმის შესწავლა, აუზის სამეურნეო აქტივობების კვლევა და აქედან გამომდინარე წყლის რესურსებზე მოთხოვნისა და შემდგომ მათი ეფექტური მართვის გეგმვის ჩამოყალიბება. ეს კვლევები თავის მხრივ დაკავშირებულია აუზის კლიმატური პირობების და მათი დროში ცვლილების, ბუნებრივი და ფიზიკური გარემოს მდგომარეობის, ასევე სოციალური და ეკონომიკური ასპექტების კვლევასთან, რაც გამოავლენს აუზის რესურსულ პოტენციალს და მისი წლის მანძილზე ათვისების შესაძლებლობებს.

წყლის რესურსების მართვის ევროპული ჩარჩო დირექტივის დანერგვის შემდგომ, ბოლო ორ ათწლეულში ჩამოყალიბდა აუზების და დელტების სტრატეგიული მართვის პრინციპები. მათ ტრადიციული დაგეგმვის მიდგომებთან შედარებით განსხვავებული მიდგომები ახასიათებთ (ცხრ. 1):

ცხრილი 1. განსხვავებები ტრადიციულ და სტრატეგიულ დაგეგმვის პრინციპებს შორის

	დაგეგმვის ტრადიციული მიდგომები	სტრატეგიული დაგეგმვის მიდგომები
მიზანი	ადმინისტრაციული და ნორმატიული გადაწყვეტილებებით ხელმძღვანელობა	აუზის მდგრადი განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიული გადაწყვეტილებები
გავლენა	გეგმა, როგორც აუცილებლად შესასრულებელი მონახაზი	რბილი გავლენა, არაპირდაპირი ზემოქმედება უფრო დეტალურ გეგმებსა და პოლიტიკაზე
მასშტაბი	ერთი ან ორი სფერო, აქცენტი ტექნიკურ გადაწყვეტებზე	პოლიტიკის მრავალი სფერო, რომლებიც მოიცავს სოციალურ და ფინანსურ საკითხებს
დროითი ჰორიზონტი	10-30 წლიანი დაგეგმვის ჰორიზონტი	50-100 წლიანი დაგეგმვის ჰორიზონტი, სტრატეგიები ფოკუსირებულია როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაზე
სიხშირე	დაგეგმვის 5-10 წლიანი ციკლი	დაგეგმვის 20-50 წლიანი ციკლი, რომელიც ასახავს „იმ დროის“ სტრატეგიულ პრიორიტეტებს

წყლის რესურსების მდგრადი მართვა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც ეხება არა მხოლოდ გარემოს ხარისხს, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებსაც [1], რაც სტრატეგიული გეგმის შედგენის წინაპირობაა. სტრატეგიული დაგეგმვა - ესაა პროცესი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია განვითარების გრძელვადიანი ხედვები და სტრატეგიული ქმედებები [2].


ძირითადი ნაწილი

მდგრადი განვითარების საქმეში პრიორიტეტული ადგილი უკავია მართვის გრძელვადიანი გეგმების არსებობას. გეგმების შემუშავებამდე აუცილებელია იმის ცოდნა თუ რა მიმართულებით უნდა იმოძრაონ დაინტერესებულმა მხარეებმა (იორის აუზის მომავლის სტრატეგიული ხედვა), ასევე გრძელვადიან სცენარებზე მოქმედი იმ კონტექსტუალური ფაქტორების ცოდნაც, რომლებიც გავლენას ახდენენ განვითარებაზე (ჰიდროლოგიური პროცესების, კლიმატური სცენარების, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ტენდენციების ჩათვლით). სტრატეგიული დაგეგმვის კვლევის მიზანია ადაპტაციის თანამედროვე მეთოდებისა (ცვლადი გარემოს მიმართ) და განვითარების სტრატეგიული ალტერნატივების ჩამოყალიბება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ აუზის მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი მართვა. წყლის მართვის საკითხებთან დაკავშირებით 2000 წელს შემუშავდა წყლის ჩარჩო დირექტივა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების პრინციპების შემუშავება [3].



მდ. იორი. ფოტო: wikipedia.org

იორის აუზი წყლის რესურსით დარიბად ითვლება, იგი ვერ უზრუნველყოფს რეგიონის მეურნეობის წყლით სათანადო უზრუნველყოფას, ამიტომ გასულ საუკუნეში გადაწყდა რომ წყლის მარაგის ნაწილი მდ. ალაზნიდან გადმოეყვანათ [4]. მდინარე იორი საქართველოს ერთ-ერთ დარეგულირებულ მდინარედ ითვლება. არსებული ჰიდროტექნიკური ობიექტები (ნახ. 1) სარწყავი და ენერგეტიკული მიზნებით აიგო. წყალსაცავები ჩართულია სამგორის მაგისტრალური სისტემების ქსელში და გამიზნულია ქვემო ქართლის სამხრეთი ტერიტორიების ირიგაციისთვის. შექმნილი სისტემის წყალობით, მდ. იორი საქართველოს ერთ-ერთ კარგად რეგულირებად მდინარედ იქცა და მისი წყლის რესურსები დიდი ქალაქების თბილისის და რუსთავის, ასევე მათი შემოგარენის სასმელი წყლით მომარაგებას ხმარდება, რაც თანამედროვე დროს დეფიციტს უქმნის კალაპოტის ბუნებრივ მინიმალურ ჩამონადენს. აღსანიშნავია, რომ სამგორის წყალსაცავების კასკადი ასევე არეგულირებს მდ.მდ. აძეძის, გომბორის, გორანას და სხვა შენაკადებსაც, რომლებიც სიონის წყალსაცავსა და სოფ. პალდოს შორის ტერიტორიაზე უერთდებიან იორს [5].



ნახ. 1. მდ. იორის წყლის რესურსების გამოყენების სქემა [5]

განსაკუთრებით რთული კლიმატური პირობებით ხასიათდება იორის აუზის ქვემო წელის ტერიტორია - აქ მშრალი კონტინენტური ჰავაა, რის გამოც ზამთარი შედარებით ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი, ნალექებიც უმნიშვნელო რაოდენობით მოდის. საქართველოს ეს ტერიტორია სხვა რეგიონებს შორის ყველაზე მშრალ ტერიტორიად მოიაზრება. ამ პირობებში იქმნება წყლის რესურსების დეფიციტი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში [6].

კვლევა ახალია საქართველოს მდინარეების, ეკოსისტემების და კლიმატის ცვლილების ურთიერთკავშირის გამოსავლენად, ხოლო ინტერდისციპლინურობას განსაზღვრავს ნიადაგმცოდნეობის, კლიმატოლოგიის, ჰიდროლოგია-ოკეანოლოგიის, ეკოლოგიისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებების ერთობლიობა.

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

პროექტის საკვლევი თემაა მდინარეთა აუზებში მიმდინარე ბუნებრივი პროცესები და მათი გრძელვადიანი დაგეგმარების სტრატეგიების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება მდინარე იორის აუზის მაგალითზე. მდ. იორის ქვემო დინების ტერიტორიაზე განლაგებულია, როგორც საქალაქო-სასოფლო დასახლებები ისე სასოფლო-სამეურნეო მიწები. მდინარის აუზის ქვემო წელის რელიეფი საშუალებას იძლევა განვითარდეს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა - სატრანსპორტო დერეფნები და კვანძები, სამეურნეო-ეკონომიკური არეალები.

წყლის რესურსების მდგრადი მართვა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც ეხება არა მხოლოდ გარემოს ხარისხს, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებსაც, რაც სტრატეგიული გეგმის შედგენის წინაპირობაა.


კვლევა გულისხმობს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- მდინარე იორის აუზის ჰიდროლოგიური რეჟიმის წარსული და თანამედროვე მონაცემების, სტატისტიკური მახასიათებლების მოძიება და ანალიზი, აუზის ჰიდროტექნიკური ინფრასტრუქტურის შესწავლა;
- მდინარის ქვევის თავისებურებებზე კლიმატის თანამედროვე ცვლილების გავლენის შესწავლა;
- აუზის ტერიტორიის სიტუაციური ანალიზი და პრობლემების ფორმულირება;
- გარემოს ცვლილებებისადმი სტრატეგიული მიდგომებისა და ადაპტაციის ერთობლივი შემუშავება.

კვლევის ეტაპები ითვალისწინებს სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას: პირველ ეტაპზე იკრიბება მასალები აუზში არსებული ჰიდროტექნიკური ინფრასტრუქტურის, მათი ფუნქციური დატვირთვის და თანამედროვე

მდგომარეობის შესახებ. ჰიდროლოგიური საგუშაგოების მიერ აღწერილი სხვადასხვა პარამეტრები (მდინარეთა ხარჯები, სიჩქარეები, მორფომეტრული მახასიათებლები). აუზის კლიმატური პარამეტრების დაკვირვებების მოსაძიებლად გამოიყენება გასული საუკუნის 90-იან წლებამდე გამოცემული წელიწადელები, რომლებშიც ასახულია მდინარის აუზში დაკვირვების პუნქტებზე გაზომილი მონაცემები, ხოლო თანამედროვე მონაცემების მიღება ხდება საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოდან, და აუზში ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურის ადმინისტრაციებიდან. დამატებით, კლიმატის მრავალწლიური მონაცემების გაანალიზება სრულდება კლიმატის გაცვლის ევროპული სერვისის ვებგვერდის e-OBS 0.1 გრადუსიანი დანაყოფიანი ბადიდან¹ ნალექების და ტემპერატურების მსვლელობის შესახებ გრძელვადიანი პერიოდის დაკვირვების მონაცემებით. ამ მონაცემთა ინტერპოლაციით (კრიგინგის მეთოდი) იგება ტემპერატურების და ნალექების რუკები, ასევე გრაფიკები მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური ტემპერატურების და ნალექების ჯამების საშუალო მრავალწლიური მონაცემების გამოყენებით. ანგარიშდება კომპონენტების ცვლილებათა ტრენდები და ნალექი-ჩამონადენის კორელაციური კავშირები. მუშავდება რეგიონის კლიმატური სცენარები სხვადასხვა კომპონენტებისთვის. მიმდინარე კვლევების მასალებზე დაყრდნობით ვლინდება მდინარის აუზის გარემოს ფორმირების ხასიათი დროსა და სივრცეში, რაც იძლევა აუზში არსებული ეკოსისტემების მდგომარეობის და მათზე მდინარეთა რეჟიმების გავლენის სურათს. ეკოსისტემების დროსა და სივრცეში ფორმირების დინამიკის ანალიზში გამოიყენება თანამგზავრული გამოსახულებები, როგორცაა Landsat-ის არქივი, Sentinel 2-ის გამოსახულებები, PlanetScope-ის მაღალი გარჩევადობის სურათები, ასევე წარსული აეროფოტომასალები.

ტერიტორიის სიტუაციურ ანალიზი მოიცავს აუზის სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მხარეების, მიწათსარგებლობის და მიწის მართვის თანამედროვე პროცესების შესწავლას. ამ ეტაპზე იდენტიფიცირდება აუზში ჩართული ურთიერთკავშირში მყოფი ჯგუფები (ნახ. 2) - ბუნებრივი გარემო, ინფრასტრუქტურა და საზოგადოება. მათი გათვალისწინება აუცილებელია აუზის მართვის სტრატეგიების სწორი ფორმულირებისთვის, ანალიზდება რეგიონის სიტუაციური რუკები ბუნებრივი და სოციალური პირობების მონაცემების მიხედვით [7]. **აუზის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდების** ადაპტირებისას გამოყენებული იქნება აუზის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა შესაძლო სცენარები და სავარაუდო შედეგები. რეგიონის სტრატეგიული განვითარების სიტუაციური ანალიზი და ლოგიკური სცენარების შედეგები განიხილება მონაწილეობითი სცენარების დაგეგმვისას [8]. შემდგომ მუშავდება სცენარების ადაპტაციის გზები, რომლებიც სხვადასხვა ადაპტაციური განვითარების გზებსა და საკვანძო წერტილებს წარმოადგენენ კონკრეტული სტრატეგიული სცენარების რეალიზაციის პროგრესში გარემოს ცვლილებებისადმი ადაპტირებისას [9]. ადაპტაციების გზების შემუშავებაზე დაფუძნებული მიდგომა საშუალებას იძლევა გამოკვლევული და განსაზღვრული იქნეს შესაძლო ქმედებების თანმიმდევრობა დროში მომხდარი სხვადასხვა ცვლილებების კონტექსტში.



ნახ. 2. აუზის ურთიერთკავშირში მყოფი ჯგუფები

შედეგები

სიტუაციის პირველადი ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ თანამედროვე კლიმატის ცვლილების ფონზე განსაკუთრებით დეფიციტს განიცდის იორის აუზის ქვემო წელის ტერიტორიები (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხრეთი არეალები), რადგან არსებული ჰიდროტექნიკური ინფრასტრუქტურის

¹ https://surfobs.climate.copernicus.eu/dataaccess/access_eobs_chunks.php

მუშაობის შედეგად მდინარის კალაპოტში არ რჩება საკმარისი რაოდენობის რესურსი, რითაც მოხდებოდა სასმელი წყლით უზრუნველყოფა. აუზის სისტემური ანალიზისას გამოვლინდა ის მონაწილე მხარეები, რომლებზეც იქონიებს გავლენას დაგეგმვის შემდგომ მართვის პროცესები. ძირითადი პრიორიტეტული სამეული ასეთია: 1. მოსახლეობა (საზოგადოებრივი ჯგუფი), 2. სოფლის მეურნეობა (ბუნებრივი გარემოს ჯგუფი) და 3. წყალსამეურნეო სისტემა (ინფრასტრუქტურის ჯგუფი) – ის, რაც მეტად არის წარმოდგენილი საკვლევ არეალში და რაზეც ყველაზე მეტი გავლენა აქვს ჰიდროლოგიური ქსელის სწორ მართვას.

დასკვნა

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მკაცრი გვალვები მეორდება ყოველ 4-5 წელიწადში. წყლის დეფიციტი იწვევს ერთწლიანი კულტურების განადგურებას, ხეხილის ბაღებისა და ვენახების ფიზიოლოგიურ დაკნინებას, ხოლო ტენის დეფიციტის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ეცემა 30-40%-ით. წარსული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მიერ აღებული რესურსი თანამედროვე დროში მხოლოდ წყლის ჩამონადენის რეგულირების საქმედ შეიძლება მოვიაზროთ, არადა გეგმიური ეკონომიკიდან საბაზროზე გადმოსვლამ და კერძო მეურნეობების გაჩენამ გაამრავაფეროვნა დაინტერესებული მხარეები. ასევე კლიმატის კომპონენტების მიმდინარე ცვლილებები მუდმივ გავლენას ახდენს აუზის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მდინარეთა აუზების მართვის თანამედროვე სტრატეგიების მეთოდების შემუშავება, რომელიც უფრო გრძელვადიან პერიოდზე იქნება გათვლილი, საჭიროებს დროულ მეცნიერულ კვლევას და დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

ლიტერატურა - REFERENCES

1. Bakalar, T., Pavlova, H., & Tokarčik, A. (2021). Analysis and Model of River Basin Sustainable Management by SWOT and AHP Methods. *Water*, 13(17). doi:10.3390/w13172427
2. Seijger, C., Douven, W., van Halsema, G., Hermans, L., Evers, J., Phi, H., . . . Hoang, V. (2017). An analytical framework for strategic delta planning: negotiating consent for long-term sustainable delta development. *Journal of Environmental Planning and Management*.
3. Directive 2000/60/EC. (2000, 12 22). Retrieved from EUR-Lex: https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:5c835afb-2ec6-4577-bdf8-756d3d694eeb.0004.02/DOC_1&format=PDF.
4. Ukleba, N. (1977) Complex use of Georgian SSR water resources in public agriculture. 394 pages, TSU Publishing (in Georgian)
5. Metreveli, G., (1985) Water reservoirs of Caucasus. p. 13, Gidrometeoizdat (in Russian)
6. Geladze, V., Bolashvili, N., Matchavariani, N., Karalashvili, T. (2016) Water Resources of Kakheti. 132 p., "Universali" (in Georgian)
7. Gulashvili, Z. (2024) Assessment and Management of Water Resources of the Colchis Lowland Wetlands. The thesis work. 130 p. (in Georgian)
8. Evers, J., W. Douven, J. Van der Stroom, S. Hasan, C. Seijger, and H. L. Phi. (2019) "A Framework to Assess the Performance of Participatory Planning Tools for Strategic Delta Planning." *Journal of Environmental Planning and Management* 62 (9): 1636–1653. doi:10.1080/09640568.2019.1603843.
9. Haasnoot, M., Kwakkel, J. H., Walker, W. E., & Ter Maat, J. (2013). Dynamic adaptive policy pathways: A method for crafting robust decisions for a deeply uncertain world. *Global environmental change*, 23(2), 485-498.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-37-42

UDC: 551.556.5

On the issue of strategic planning for the management of the Iori River basin/Gulashvili, Z., Trapaidze, V., Pipia, G., Jincharadze, G., Chitadze, ნ. კობახიძე/ Transactions IHM, GTU. -2026. -vol.139. -pp.37-42. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

The development of the principles of integrated water resources management began in 1896 and was founded in Japan. Water is considered not only as a separate object, but also in its interaction with other components of the natural environment and in conjunction with various aspects of economic activity. The final document on water resources management is the framework directive adopted in Europe in 2000 (along with other relevant directives), to which Georgia has been a party since 2016, thus committing the state to implement the recommendations and principles specified therein, which determines the sustainable coexistence of the environment and social sphere of a particular basin in the long term, while at the same time protecting and preserving water as a natural resource. A new approach to river basin management is the development of strategic management principles, which are based on scientifically substantiated research of a particular river basin. The paper presents an analysis of the preliminary study of the Iori river basin, possible problems caused by modern climate change, and research methods needed for strategic management planning.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-37-42

უკ.551.556.5

მდინარე იორის აუზის მართვის სტრატეგიული დაგეგმვის საკითხისათვის/გულაშვილი, ზ., ტრაპაიძე, ვ., ფიფია, გ., ჯინჭარაძე, გ., ჩიტაძე, თ., კობახიძე, ნ./სტუ-ის ჰმი-ის შრომათა კრებული-2026.-ტ.139.-გვ.37-42. - ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების შემუშავება 1896 წლიდან იწყება და საფუძველი იაპონიაში ჩაეყარა. წყალი არა მხოლოდ ცალკე ობიექტი, არამედ ბუნებრივი გარემოს სხვა კომპონენტებთან ურთიერთკავშირში და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებთან ერთობლივად განიხილება. წყლის რესურსების მართვის საბოლოო დოკუმენტი ევროპაში 2000 წელს მიღებული ჩარჩო-დირექტივაა (სხვა შესაბამის დირექტივებთან ერთად), რომელსაც საქართველო 2016 წლიდან არის მიერთებული, რითაც სახელმწიფომ ვალდებულია აიღოს დანერგოს მასში მითითებული რეკომენდაციები და პრინციპები, რაც განაპირობებს ცალკეული აუზის გარემოსა და სოციალური სფეროს მდგრად თანაარსებობას გრძელვადიან პერიოდში, ამავდროულად წყლის, როგორც ბუნებრივი რესურსის დაცვისა და შენარჩუნების კუთხით. მდინარეთა აუზების მართვის ახალი მიდგომა სტრატეგიული მართვის პრინციპების შემუშავება, რასაც ამა თუ იმ მდინარის აუზის მეცნიერულად დასაბუთებული კვლევა უდევს საფუძველად. ნაშრომში ასახულია მდინარე იორის აუზის წინასწარი მოკვლევების ანალიზი, კლიმატის თანამედროვე ცვლილებით გამოწვეული შესაძლო პრობლემები და სტრატეგიული მართვის დაგეგმარებისთვის საჭირო კვლევის მეთოდები.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-37-42

УДК: 551.556.5

По вопросу стратегического планирования управления бассейном реки Иори/Гулашвили, З., Трапайдзе, В., Пипия, Г., Джинчарадзе, Г., Читадзе, Т., Кобахидзе, Н./Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2026. – том 139. - с.37-42. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

Разработка принципов комплексного управления водными ресурсами началась в 1896 году и зародилась в Японии. Вода рассматривается не только как отдельный объект, но и во взаимодействии с другими компонентами природной среды, а также в связи с различными аспектами экономической деятельности. Итоговым документом по управлению водными ресурсами является рамочная директива, принятая в Европе в 2000 году (наряду с другими соответствующими директивами), участником которой Грузия является с 2016 года, тем самым обязывая государство выполнять содержащиеся в ней рекомендации и принципы, определяющие устойчивое сосуществование окружающей среды и социальной сферы конкретного бассейна в долгосрочной перспективе, одновременно защищая и сохраняя воду как природный ресурс. Новый подход к управлению речными бассейнами заключается в разработке принципов стратегического управления, основанных на научно обоснованных исследованиях конкретного речного бассейна. В статье представлен анализ предварительного исследования бассейна реки Иори, возможных проблем, вызванных современным изменением климата, и методов исследования, необходимых для стратегического планирования управления.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-43-46

უკ.551.556

ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების როლი კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში და მათი აღდგენის მნიშვნელობა

მდივანი სოფიო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
sophio.mdivani@gtu.ge

რეზიუმე

ჭაობები და ჭარბტენიანი ტერიტორიები დედამიწის ზედაპირის უნიკალური ეკოსისტემებია. მათ ხშირად „კლიმატის თერაპიებს“ უწოდებენ, რადგან წყლის ბუნებრივი ფილტრაციის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლიმატის რეგულირებაში. ტორფის ჭაობები ორჯერ მეტ ნახშირბადს ინახავს, ვიდრე მსოფლიოს ყველა ტყე ერთად, რაც უმნიშვნელოვანესია გლობალური დათბობის შესამცირებლად. საქართველოში მრავლად გვხვდება უნიკალური ჭარბტენიანი ადგილები, რომელთა ნაწილი საერთაშორისო რამსარის კონვენციითაა დაცული. XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში და მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა იყო ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშრობა-დრენაჟირება, რაც ემსახურებოდა სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობების ზრდას, მეტად ნაყოფიერი ნიადაგების ათვისებას ან ტერიტორიის ურბანიზაციის მიზნებს. თუმცა XX საუკუნის ბოლოსთვის, გლობალური დათბობის პრევენციის საკითხებში ჭაობებმა, ჭარბტენიანმა ტერიტორიებმა და მათი აღდგენის პოლიტიკამ, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეითავსეს. წინა მდებარე სტატიაში განხილულია ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენისა და შენარჩუნების მნიშვნელობა საქართველოსთვის და მთელი მსოფლიოსთვის. **საკვანძო სიტყვები:** კლიმატის ცვლილება, ჭაობები, ჭარბტენიანი ტერიტორიები.

შესავალი

1992 წელს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ ხელი მოაწერა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას (UNFCCC), რომელიც ადგენს სათბურის გაზების ატმოსფერული კონცენტრაციების სტაბილიზაციის გრძელვადიან მიზანს. კონვენციის თითოეული მხარე ვალდებულია შეზღუდოს სათბურის გაზების გამოყოფა, დაიცვას და გააძლიეროს სათბურის აირების „შთანთქმელები“ და „რეზერვუარები“. აგრეთვე 1997 წლის დეკემბერში, იაპონიაში ხელი მოაწერეს კიოტოს პროტოკოლს. პროტოკოლი ავალდებულებს განვითარებულ ქვეყნებს, შეამცირონ ნახშირორჟანგის (CO₂) და ხუთი სხვა მნიშვნელოვანი სათბურის აირების გამოყოფა 1990 წლის დონესთან შედარებით მინიმუმ 5 პროცენტით.

ამ მიზნების მისაღწევად, პროტოკოლი განვითარებულ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, გაითვალისწინონ სათბურის აირების ემისიების კრედიტი ნახშირბადის ბუნებრივი შთანთქმის გზით. ნახშირბადი, ყველაზე მნიშვნელოვანი სათბურის გაზების ძირითადი კომპონენტი, ილექება (ან ინახება) ტყეებში, სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებსა და ჭაობებში.

დღემდე, პროტოკოლი იძლევა მხოლოდ ტყეებში შეწოვის კრედიტებს. ჭაობები არ აკმაყოფილებს კრედიტულ მოთხოვნებს. მიუხედავად ამისა, ჭაობიანი ტერიტორიებს (ტორფიანი მიწების ჩათვლით) ნახშირბადის გრძელვადიანი შენახვის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ. ჭაობები წარმოადგენენ გლობალური ხმელეთის ბიოსფეროს ნახშირბადის რეზერვუარის უდიდეს კომპონენტს (14 პროცენტს).

ჭარბტენიანი ტერიტორიების შესწავლა და მათი მნიშვნელობა

მთელ მსოფლიოში, ურბანიზაციის და სასოფლო სამეურნეო სავარგულების ათვისების პროცესში უამრავი დაჭაობებული და ჭარბტენიანი ტერიტორიის დაშრობა მოხდა, რამაც გამოიწვია ამ ტერიტორიებიდან შენახული ნახშირბადის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოთავისუფლება, თუმცა ჭაობების დიდი ნაწილის აღდგენა შესაძლებელია.

ჭაობიანი ტერიტორიების ნახშირბადის შთანთქმის უნარის აღმოჩენა არ ეკუთვნის კონკრეტულ მკვლევარს, ეს ცნება წარმოიშვა მეცნიერული გაგების განვითარების შედეგად. ფუნდამენტური კონცეფციები აღიარებული იქნა მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ინტენსიური კვლევები კი დაჩქარდა 1990-იან წლებში, როდესაც კლიმატის ცვლილებამ გლობალური ყურადღება მიიპყრო. მეცნიერებმა და ეკოლოგებმა პირველად გააცნობიერეს, რომ ტორფიანი და ჭაობიანი მიწების წყლით გაჯერებული, ჟანგბადის დაბალი შემცველობის პირობები ხელს უშლიდა მკვდარი მცენარეული მასალის სრულ დაშლას. ამ ნელმა დაშლამ გამოიწვია ნახშირბადით მდიდარი ნიადაგის (ტორფის) სქელი ფენების

დაგროვება. 1980-90 იან წლებში მკვლევრებმა დაიწყეს ფორმალური კვლევების ჩატარება იმის განსაზღვრისთვის, თუ რა სიჩქარით შთანთქვენ და ინახავენ ჭაობები და ჭარბტენიანი ტერიტორიები ნახშირბადს. 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩენილმა ინტერესმა და კიოტოს პროტოკოლით 1990 წლის საბაზისო ხაზად დადგენამ კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი იმის მიმართ, თუ რამდენ ნახშირბადს ინარჩუნებენ ხელუხლებელი ჭაობები დაშრობილ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებთან შედარებით. 2000-იანი წლების დასაწყისში, გლობალურმა ორგანიზაციებმა, როგორცაა ათასწლეულის ეკოსისტემის შეფასება, ჭაობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბუნებრივ მშთანთქმელად გამოავლინეს. დღეს ისინი ფართოდ არის აღიარებული, როგორც „ლურჯი ნახშირბადის“ ეკოსისტემები, რომლებიც დედამიწის ხმელეთის მცირე ნაწილს ფარავენ, მაგრამ არაპროპორციულად დიდი რაოდენობით ინახავენ ხმელეთიდან მიღებულ ნახშირბადს.

როგორც უკვე ითქვა, ჭაობები ნახშირბადის შთანთქმის მაღალეფექტური წყაროა, რომლებიც დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 6%-ს ფარავენ, მაგრამ გლობალური ორგანული ნიადაგის ნახშირბადის 20-30%-ს ინახავენ. ისინი ნახშირბადს შთანთქვენ ატმოსფერული ჰაერდან, მცენარეთა სწრაფი ზრდის გზით და ნახშირბადით მდიდარი ორგანული ნივთიერებების უზარმაზარი რაოდენობას, ათასობით წლის განმავლობაში აგროვებენ. წყლით მუდმივი გაჯერება ქმნის ანაერობულ პირობებს, ხელს უშლის ორგანული ნივთიერებების ლპობას, რაც ნახშირბადს იჭერს ადგილზე. კერძოდ კი ჭაობის მცენარეები (როგორცაა მანგროს ხეები, ლერწამი და ისლი) სწრაფად შთანთქვენ ატმოსფერულ CO₂-ს და გარდაქმნიან მას ბიომასად. როდესაც ეს მცენარეები იღუპებიან, ისინი იძირება წყლით გაჯერებულ ნალექში. იმის გამო, რომ ნიადაგს აკლია ჟანგბადი, მიკროორგანიზმებს არ შეუძლიათ ორგანული ნივთიერების სრულად დაშლა, რაც ხელს უშლის ნახშირბადის ატმოსფეროში დაბრუნებას. საუკუნეების განმავლობაში, ამ ნაწილობრივ დაშლილი ნივთიერების ფენები გროვდება ტორფის ან ლამის სახით და ინახება ნიადაგის ორგანული ნახშირბადის უზარმაზარი რაოდენობა.

აღსანიშნავია რომ, ჭაობები ნახშირბადს ინახავს როგორც ცოცხალ მცენარეულობაში, ასევე, ძირითადად, ტორფისა და ორგანული ნიადაგის სქელ ფენებში. ისინი ხასიათდებიან მაღალი ეფექტურობით, კრძოდ კი თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითვას რომ, ტორფიანი მიწები, მანგროს ტყეები და ზღვის ბალახები დედამიწაზე ნახშირბადის შთანთქმის ყველაზე ეფექტურ წყაროებს შორისაა, რომლებიც ნახშირბადს ორჯერ მეტს ინახავს, ვიდრე ყველა ტროპიკული ტყე ერთად. აღნიშნული ჰაბიტატების დარღვევა (დაშრობა დრენაჟირება) იწვევს დაგროვილი ნახშირბადის დაჟანგვას და ატმოსფეროში ბრუნდება ჟანგბადის და მეთანის (NH₄) სახით, რაც მათ მნიშვნელოვან სათბურის გაზების წყაროდ აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ ჭაობები ნახშირბადის შესანიშნავ შთანთქმას წარმოადგენს, მათი წყლით გაჯერებული ნიადაგები იდეალურ გარემოს ქმნის მეთანის წარმომქმნელი მიკრობებისთვის. აქედან გამომდინარე ხელუხლებელი ჭაობების ეფექტი კლიმატის ცვლილების შერბილების ძლიერ სარგებელს წარმოადგენს.

როგორც ჭაობები, ასევე ტროპიკული ტყეები ნახშირბადის სასიცოცხლო შთანთქმის ფუნქციას ასრულებენ, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმით, თუ სად ინახავს ნახშირბადს და რამდენად სწრაფად შთანთქვენ მას. ჭაობები უპირატესობაა ნახშირბადის ხანგრძლივი, მაღალი სიმკვრივის შენახვის შესაძლებლობა ნიადაგში, ხოლო ტროპიკული ტყეები გამოირჩევიან მიწისზედა ბიომასაში ნახშირბადის დიდი რაოდენობით სწრაფად შენახვის უნარით. კერძოდ: ჭაობები ნახშირბადის უმეტეს ნაწილს მიწისქვეშ ინახავენ გაჯერებულ, ჟანგბადით ღარიბ ნიადაგებში, ძალიან ნელი დაშლით, რაც ნახშირბადს ათასობით წლის განმავლობაში შეკავების საშუალებას აძლევს. ტროპიკული ტყეები კი ნახშირბადის უმეტეს ნაწილს ინახავს ტყიან ბიომასაში (ღეროები, ტოტები) და ნარჩენებში, მაღალი ფოტოსინთეზის სიჩქარე კი სწრაფ შეწოვას უწყობს ხელს. გამომდინარე აქედან სანაპირო ჭაობებს (მანგროს ტყეებს) შეუძლიათ ერთი და იგივე ფართობზე 4-10-ჯერ მეტი ნახშირბადის შენახვა, ვიდრე ტროპიკული ტყეებს, თუმცა ვინაიდან ტროპიკული ტყეების ფართობი ბევრად აღემატება ჭაობებით დაფარულ ტერიტორიას ხმელეთის ბიომასის ნახშირბადის უდიდეს მარაგს სწორედ ტროპიკული ტყეები შეიცავს.

არსებული ბუნებრივი ჭაობების კონსერვაცია ნახშირბადის მარაგების შენარჩუნების მთავარი სტრატეგიაა. დრენირებული ტორფიანი მიწების აღდგენა და დეგრადირებული სანაპირო ჭაობების აღდგენა და მცენარეული საფარის შექმნა, ხელს შეუწყობს ნახშირბადის შთანთქმის პროცესს განახლებს. როდესაც ჭაობები შრება, დეგრადირდება ან სოფლის მეურნეობისა და ურბანიზაციის მიზნით ვითარდება, წყლით გაჯერებული ნიადაგები შრება. ჟანგბადი კვლავ შედის ნიადაგში, რაც მიკრობებს საშუალებას აძლევს სწრაფად დაშალონ დაჭერილი ორგანული ნივთიერება და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ნახშირბადი ატმოსფეროში CO₂-ს სახით გამოყონ. ამიტომ, ჭაობების შენარჩუნება და აღდგენა კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტაა.

აღსანიშნავია რომ საქართველოში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობს კოლხეთის დაბლობისა და მისი ჭარბტენიანი ტერიტორიების ჰაბიტატების აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესწავლა და მათი აღდგენის გეგმის დეტალური გზამკვლელების შეგდენა, რასაც არამარტო გლობალური მნიშვნელობა გააჩნია არამედ დასავლეთ საქართველოს უნიკალური ჰაბიტატების აღდგენისა და შენარჩუნების საშუალებას მოგვცემს.

ლიტერატურა - REFERENCES

1. Prairie wetlands and carbon sequestration Assessing sinks under the Kyoto Protocol. David Wylynko, Editor, Westhawk Associates September 1999.
2. "Carbon sequestration in wetlands, from science to practice: An overview of the biogeochemical process, measurement methods, and policy framework" Villa J. A, Bernal B. Ecological Engineering Volume 114, 15 April 2018, Pages 115-128
3. Carbon Sequestration by Wetlands: A Critical Review of Enhancement Measures for Climate Change Mitigation. Were, D., Kansime, F., Fetahi. Earth Systems Environment vol. 3, 327–340 (2019). <https://doi.org/10.1007/s41748-019-00094>
4. "Assessment of the impact of wetland changes on carbon storage in coastal urban agglomerations from 1990 to 2035 in support of SDG15.1" Zhang Z, Jiang W, Peng K, Wu Z, Ling Z, Li Z. Science of The Total Environment, Volume 877, 15 June 2023, 162824

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-551.556

"The Role of Wetlands and Marshes in the Context of Global Warming and the Importance of Their Restoration"/Mdivani Sophio/ Transactions IHM, GTU. -2026.-vol.139-p.43-46.

Wetlands and marshes constitute unique ecosystems that serve as the "kidneys of the planet." Beyond their role in natural water filtration, these areas are vital for climate regulation; specifically, peatlands sequester twice as much carbon as the world's total forest biomass, making them indispensable for mitigating global warming. Georgia possesses diverse wetland ecosystems, several of which are protected under the international Ramsar Convention. While 20th-century policies in Georgia and globally prioritized the drainage of these territories for agricultural expansion and urbanization, a paradigm shift occurred by the 20th century end. Currently, wetland restoration is recognized as a cornerstone of environmental policy. This article examines the critical importance of preserving and restoring these ecosystems within the context of Georgia and the global climate agenda.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-43-46
უკ.551.556

ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების როლი კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში და მათი აღდგენის მნიშვნელობა/მდივანი სოფიო/სტუ-ის ჰმ-ის შრომათა კრებული-2026.-ტ.139,43-46

ჭაობები და ჭარბტენიანი ტერიტორიები დედამიწის ზედაპირის უნიკალური ეკოსისტემებია. მათ ხშირად „კლანეტის თირკმელებს“ უწოდებენ, რადგან წყლის ბუნებრივი ფილტრაციის გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლიმატის რეგულირებაში. ტორფის ჭაობები ორჯერ მეტ ნახშირბადს ინახავს, ვიდრე მსოფლიოს ყველა ტყე ერთად, რაც უმნიშვნელოვანესია გლობალური დათბობის შესამცირებლად. საქართველოში მრავლად გვხვდება უნიკალური ჭარბტენიანი ადგილები, რომელთა ნაწილი საერთაშორისო რამსარის კონვენციითაა დაცული. XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში და მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკა იყო ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების დაშრობა-დრენაჟირება, რაც ემსახურებოდა სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფართობების ზრდას, მეტად ნაყოფიერი ნიადაგების ათვისებას ან ტერიტორიის ურბანიზაციის მიზნებს. თუმცა XX საუკუნის ბოლოსთვის, გლობალური დათბობის პრევენციის საკითხებში ჭაობებმა, ჭარბტენიანმა ტერიტორიებმა და მათი აღდგენის პოლიტიკამ, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეითავსეს. წინა მდებარე სტატიაში განხილულია ჭაობებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენისა და შენარჩუნების მნიშვნელობა საქართველოსთვის და მთელი მსოფლიოსთვის.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-43-46

УДК.551.556

„Роль водно-болотных угодий и болот в условиях глобального потепления и важность их восстановления“/
Мдивანი Соფიო/ Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2026. – том 139.43-46.

Болота и водно-болотные угодья представляют собой уникальные экосистемы на поверхности Земли. Их часто называют «почками планеты», потому что, помимо естественной фильтрации воды, они играют важную роль в регулировании климата. Торфяные болота хранят вдвое больше углерода, чем все леса мира вместе взятые, что делает их крайне важными для смягчения последствий глобального потепления. В Грузии находится множество уникальных водно-болотных угодий, некоторые из которых находятся под защитой международной Рамсарской конвенции. Начиная с начала XX века, в Грузии и во всем мире практикуется осушение болот и заболоченных территорий, что служит цели расширения сельскохозяйственных угодий, использования высокоплодородных почв или урбанизации территории. Однако к концу XX века водно-болотные угодья, заболоченные территории и политика их восстановления приобрели все большее значение в предотвращении глобального потепления. В предыдущей статье обсуждалась важность восстановления и сохранения водно-болотных угодий и болот для Грузии и всего мира.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-47-51

უკ.551. 583

**აბასთუმნის შემოვლითი გზის გარემოს მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასება
ელიზბარაშვილი ელიზბარ*, ელიზბარაშვილი მარიამ**, დიასამიძე ციციანო*, ელიზბარაშვილი
შალვა*, სულხანიშვილი ნიკოლოზ *****

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
email:eelizbar@hotmail.com

** ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*** იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე. კვლევა ეხება აბასთუმანში შემოვლითი საავტომობილო გზის გაყვანის შედეგად გარემოს მიკროკლიმატურ ცვლილებებს. პროექტი განხორციელდა ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას გზის მონაკვეთზე და მოიცავდა ტყის გარკვეული ფართობის გაჩეხვას. ტყე ქმნის სპეციფიკურ მიკროკლიმატს: ამცირებს მზის პირდაპირ რადიაციას, ტემპერატურას, ქარის სიჩქარეს და აორთქლებას, ხოლო ზრდის ჰაერის შეფარდებით სინოტივეს. ტყის გაჩეხვა იწვევს ამ ბალანსის ნაწილობრივ დარღვევას. მრავალწლიანი (1961–2010 წწ.) მეტეოროლოგიური მონაცემების და მოდელური შეფასებების საფუძველზე დადგინდა, რომ: ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გაჩეხილ ტერიტორიაზე გაიზარდა დაახლოებით 1°C -ით; ყველაზე მნიშვნელოვანი მატება მოსალოდნელია ზაფხულში ($1.7-1.8^{\circ}\text{C}$), ხოლო ზამთარში ცვლილება უმნიშვნელოა ($0.5-0.7^{\circ}\text{C}$); შეფარდებითი სინოტივე შესაძლოა რამდენიმე პროცენტით შემცირდეს, ძირითადად ზაფხულში; ქარის სიჩქარე ოდნავ გაიზარდა; ნალექების წლიური რაოდენობა კლიმატური ნორმის ფარგლებში დარჩება; გზის ასფალტის საფარი დამატებით გააძლიერებს ზაფხულში ზედაპირული გათბობის ეფექტს. შეფასება აჩვენებს, რომ მოსალოდნელი ცვლილებები არ სცდება ბუნებრივი მრავალწლიური კლიმატური რყევების ფარგლებს (3-სიგმას კრიტერიუმის ფარგლებში) და ლოკალურ ხასიათს ატარებს. გზისგან რამდენიმე მეტრის დამორებით ტყისთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატი შენარჩუნდება. დასკვნის მიხედვით, პროექტი არ იწვევს არსებით კლიმატურ გარდაქმნებს და ზემოქმედება იქნება შეზღუდული და ლოკალიზებული.

საკვანძო სიტყვები: მიკროკლიმატი, ტყე, რადიაცია, ტემპერატურა, ქარი, აორთქლება

შესავალი. ტყე ქმნის თავის მიკროკლიმატს, რომელიც განსხვავებულია მიმდებარე ტერიტორიების გახსნილი ადგილებისათვის დამახასიათებელი კლიმატისგან. ტყის გვირგვინის (ვარჯის) ქვეშ, მზის რადიაცია შესუსტებული სახით ვრცელდება, ხშირი ტყის შემთხვევაში კი პირდაპირი რადიაცია დედამიწამდე ვერ აღწევს და მხოლოდ გაბნეული რადიაციის სახით მოდის, ხოლო ინტენსივობა მცირეა. შესაბამისად ტყეში შემცირებულია როგორც განათებულობა, ისე ტემპერატურაც [1, 2].

ტემპერატურა დღისით მაქსიმალურია ტყის ვარჯის ზედა საზღვარზე, სადაც ის მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე იმავე სიმაღლეზე ღია ადგილას. შიგნით ტყეში, ზაფხულში, ტემპერატურა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ტყის ზედა საზღვარზე. ღამით ტყის ვარჯი გამოსხივების გამო ცივდება, ამიტომ მაქსიმალური ტემპერატურა მისგან ვერტიკალურად ზემოთ 1-2მ სიმაღლეზე გადაინაცვლებს, ხოლო მინიმალური ტემპერატურა შიგნით ტყეში აღინიშნება, რადგანაც ცივი ჰაერი სიმაღლიდან ძირს ეშვება.

ზაფხულში დღისით ტყეში მინდორთან შედარებით ცივა, ხოლო ღამით -თბილა. ზამთარში უფრო რთული პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ საერთო ჯამში ტემპერატურათა სხვაობა ტყესა და მინდორს შორის მცირდება, ზოგჯერ კი თითქმის არ აღინიშნება. წლიურ ჭრილში საშუალოდ ტყე რამდენადმე ცივია მინდორთან შედარებით.

ჰაერის შეფარდებითი სინოტივე ტყეში მხოლოდ რამდენიმე პროცენტით მაღალია ღია მინდორთან შედარებით. ზაფხულში ეს სხვაობა უდიდესია, ზამთარში კი თითქმის არ არსებობს. როგორც შეფარდებითი, ისევე აბსოლუტური სინოტივე ზაფხულში უდიდესია ვარჯებთან.

ჰაერის ნაკადი ზემოდან გადაუვლის ტყეს, ამიტომ ქარის სიჩქარე მეტია, ვიდრე იმავე სიმაღლეზე ღია მინდორში. ტყის შუაგულში ქარის სიჩქარე მინიმალურია, ხოლო უშუალოდ დედამიწის ზედაპირთან მისი სიჩქარე ნულს უტოლდება.

აორთქლება ტყეში შედარებით ნაკლებია, ვიდრე მდელოს მცენარეებში და მინდვრის კულტურებში. თუმცა აორთქლება ტყის ვარჯისგან უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს. ნიადაგიდან აორთქლება უმნიშვნელოა. მთავარი როლი ტყის ვარჯით შეკავებული ნალექების აორთქლებას მიეკუთვნება. ნიადაგის ზედა ფენები ტყეში შედარებით ნოტიოა, ვიდრე მინდორში. ყოველ შემთხვევაში ტყეს არ შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს შიდა ტენზიონა და ამ გზით გაზარდოს ნალექების რაოდენობა მიმდებარე

ტერიტორიებზე. თუმცა ნალექები შესაძლოა გაიზარდოს უშუალოდ ტყის ტერიტორიაზე სხვა მიზეზით. კერძოდ, მინდვრიდან ტყეზე გადასვლით წარმოიქმნება ჰაერის აღმავალი მოძრაობა, რაც ზრდის ტურბულენტობას და შესაბამისად აძლიერებს კონდენსაციურ პროცესებს. ზოგიერთი გათვლების თანახმად ტყის გავლენით შესაძლოა წელიწადში ნალექების რამოდენიმე ათეული მილიმეტრით მომატება. ამასთან, რაც უფრო კუნძულოვანია ტყის განაწილება, ანუ რაც უფრო არაერთგვაროვანია ტყე, მით უფრო დიდია მისი გავლენა ნალექიანობაზე [2].

თოვლი ტყეში უფრო თანაბრად ნაწილდება, ვიდრე ღია ადგილას, და მისი სიმკვრივეც ნაკლებია ქარის შესუსტების გამო. თოვლის დნობა ტყეში შენელებულია, ხოლო ნიადაგი უფრო ნაკლებ სიღრმეზე იყინება ვიდრე მინდორში.

მასალები და მეთოდები. აბასთუმნის შემოვლითი საავტომობილო გზის გაყვანა განხორციელდა ქუთაისი (სალორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის მონაკვეთის ფარგლებში. განხორციელებელი პროექტის მიმდებარე ტერიტორიების კლიმატური ფონი წარმოდგენილია მრავალრიცხოვან ლიტერატურაში [3.4 და სხვ.].

ამ გამოკვლევების თანახმად თვით აბასთუმანში და იმ ტერიტორიაზე სადაც განხორციელდა შემოვლითი გზის გაყვანა საშუალო წლიური ტემპერატურა ძირითადად 6-8⁰ ფარგლებში, ხოლო ნალექების წლიური ჯამი 700-1000 მმ ფარგლებში მერყეობს. უფრო დეტალური კლიმატური ინფორმაცია შესაძლებელია მივიღოთ ცხრილ 1-დან, სადაც წარმოდგენილია ტემპერატურის და ნალექების საშუალო და ექსტრემალური მონაცემების წლიური სვლა აბასთუმნის მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებების მიხედვით და აგრეთვე საშუალო ტემპერატურის საშუალო კვადრატული გადახრები (s), რომელიც ახასიათებს ტემპერატურის მრავალწლიურ რყევადობას.

ცხრილი 1. ჰაერის ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების მნიშვნელობები აბასთუმნის მეტეოსადგურის მონაცემებით მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული პერიოდისათვის (1961-2010წწ) [5]

ელემენტი	სიდიდე	თვე												წელი
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ტემპერატურა	საშ.	-4.7	-3.7	0.9	6.3	10.9	13.9	17.4	17.2	13.1	7.8	2.2	-2.7	6.5
	მაქს.	1.2	1	4.5	9.8	12.6	17.2	19.6	21.2	15.6	10.7	5.1	0.8	8.4
	მინ.	-11.2	-11.7	-3.1	1.7	8.8	11	15.2	14.7	10.8	4.6	-1.7	-6.2	4.9
	s	2.9	2.9	2.5	1.8	1.0	1.2	1.2	1.3	1.4	1.9	2.1	2.6	0.8
ნალექები	საშ.	47	45	39	50	88	100	70	55	50	51	50	47	700
	მაქს.	115	174	85	135	146	232	175	201	103	164	207	110	972
	მინ.	20	19	18	27	52	56	34	21	26	20	20	21	550

ცხრილის თანახმად 50-წლიანი პერიოდის განმავლობაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობდა 4.9-8.4⁰ ფარგლებში, ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამები მერყეობდა 550-972მმ ფარგლებში. შესაბამის ცვლილებებს განიცდიდა ტემპერატურის და ნალექების საშუალო თვიური მნიშვნელობები.

აბასთუმნის შემოვლითი გზის გაყვანასთან დაკავშირებით მოხდა ტყის მასივის გაჩეხვა, რაც, ბუნებრივია, გამოიწვევს გარკვეულ მიკროკლიმატურ ცვლილებებს. ეს ცვლილებები დაექვემდებარება ზემოდ განხილულ ზოგადი ხასიათის ცნობებს ტყის გაჩეხვის შესაძლო გავლენის შესახებ მიკროკლიმატზე. თუ როგორი იქნება მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები ეს დამოკიდებულია არსებულ ადგილობრივ კლიმატურ პირობებზე, გაჩეხილი ტყის მასშტაბებზე, გასაყვანი გზის ხასიათზე, მის საფარზე. მოსალოდნელი მიკროკლიმატური ცვლილებები მიახლოებით შეიძლება შევაფასოთ ანალოგიის მეთოდის გამოყენებით [6-9].

შედეგების განხილვა. გზის გაყვანასთან დაკავშირებით ტყის გაჩეხვა უპირველეს ყოვლისა გამოიწვევს პირდაპირი რადიაციის გაზრდას და შესაბამისად ტემპერატურის მომატებას. ტემპერატურის რაოდენობრივი ცვლილების შეფასება შესაძლებელია ნ.ბერუჩაშვილის [6] მოდელური ექსპერიმენტების საფუძველზე. ამ ექსპერიმენტების თანახმად კავკასიის პირობებისათვის საშუალო წლიური ტემპერატურა ტყის ლანდშაფტებში დაახლოებით 1⁰-ით ნაკლებია, ხოლო ნალექების წლიური ჯამი 100-150 მმ-ით მეტი უტყეო ლანდშაფტთან შედარებით. ტემპერატურათა სხვაობა უდიდესია აღმოსავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის პირობებში და 1-1.5⁰-ს შეადგენს, თუმცა ტემპერატურათა სხვაობას წლიური სვლა

გაჩნია. ტყის და უტყეო ლანდშაფტს შორის მოდელურ ტემპერატურათა სხვაობები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. ტემპერატურათა სხვაობა ტყის და უტყეო ლანდშაფტს შორის მოდელური ექსპერიმენტების თანახმად, °C

თვე												წელი
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
-0.7	-0.5	-0.6	-0.8	-1.1	-1.7	-1.8	-1.7	-1.4	-1.0	-0.9	-0.7	-1.1

ცხრილში 2 წარმოდგენილი სიდიდეები ფაქტიურად გვიჩვენებენ, თუ რამდენი გრადუსით შეიძლება გაიზარდოს ჰაერის ტემპერატურა ტყის გაჩეხვის შემთხვევაში. თუ ამ ცვლილებებს შევადარებთ ცხრილ 1-ში წარმოდგენილ ტემპერატურის საშუალო კვადრატულ გადახრებს, დავრწმუნდებით, რომ ყველა თვეში და საშუალოდ წელიწადში ტემპერატურის ცვლილება ნაკლებია სამმაგ საშუალო კვადრატულ გადახრაზე, რაც მათემატიკურ სტატისტიკაში ცნობილი 3-სიგმას კრიტერიუმს აკმაყოფილებს და იმას ნიშნავს, რომ ტემპერატურის ეს ცვლილება 99.73%-შემთხვევაში მისი კლიმატური ნორმის ფარგლებში ვარირებს.

ცხრილი 2-ის თანახმად ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გაჩეხილი ტყის ადგილას მოიმატებს დაახლოებით 1⁰-ით. ცხრილი 1-ის თანახმად კი ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების დიაპაზონი 3.5⁰-ია, ანუ 8.4-3.9=3.5, რაც 3-ჯერ და მეტი ადმატება ტყის გაჩეხვის შედეგად მიღებულ მოსალოდნელ ცვლილებას. წლის განმავლობაში ტემპერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელია ზაფხულის თვეებში. მაგალითად ივლისში საშუალო თვიური ტემპერატურა გაიზრდება 1.8⁰-ით, მაშინ როდესაც ცხრილი 1-ის თანახმად საშუალო თვიური ტემპერატურის ცვლილების დიაპაზონია 4.4⁰ (19.6-15.2=4.4). ტემპერატურა უმნიშვნელოდ შეიცვლება ზამთარში, თებერვალში ტემპერატურა გაიზრდება 0.5⁰-ით, ხოლო მისი ბუნებრივი რყევადობის დიაპაზონი 2.9⁰-ს ადმატება. ამრიგად მოსალოდნელი ცვლილება საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურების ექსტრემალური მნიშვნელობების ფარგლების მხოლოდ მცირე დიაპაზონშია. ამდენად ეს შეფასებები ადასტურებს, რომ მოსალოდნელი ცვლილებები ტემპერატურის ბუნებრივი მრავალწლიური რყევადობის ფარგლებში რჩება.

ტყის გაჩეხვის შედეგად ჰაერის შეფარდებითი სინოტივე შესაძლოა მხოლოდ რამოდენიმე პროცენტით შემცირდეს, ძირითადად ზაფხულის ხარჯზე, ზამთარში კი მისი ცვლილება მოსალოდნელი არ არის, ქარის სიჩქარის რამდენადმე გაიზრდება. ტყის გაჩეხვა, მისი მცირე ფართობის გამო, ვერ მოახდენს გავლენას ადგილისათვის დამახასიათებელი ჰაერის აღმავალი მოძრაობების შესუსტებაზე, ტურბულენტობის შემცირებაზე, კონდენსაციური პროცესების შესუსტებასა და ნალექების შემცირებაზე. ნალექების რაოდენობა დარჩება კლიმატური ნორმების ფარგლებში.

გზის მოასფალტების შემდეგ წარმოიქმნება დამატებითი ეფექტი: ასფალტი შთანთქავს მზის ენერჯიას, ხურდება და თვითონ ასხივებს სითბოს. ამის შედეგად ზაფხულის ცხელ დღეებში ტემპერატურა უფრო მეტი სიდიდით გაიზრდება, ხოლო შეფარდებითი სინოტივე შესაძლოა რამოდენიმე პროცენტით შემცირდეს.

აღნიშნული ცვლილებები მოსალოდნელია უშუალოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გაჩეხება ტყე და გაყვანილი იქნება გზა. გზისგან დაშორებით, ტყის პირობებში შენარჩუნებული იქნება ტყისთვის დამახასიათებელი რადიაციული რეჟიმი და არსებული კლიმატური პირობები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბუნებრივ ლანდშაფტებში ძლიერაა გამოხატული კომპენსაციური მექანიზმები, ამიტომ ტყის გაჩეხვა დიდ ფართობზეც კი არ იწვევს ბუნებრივი გარემოს კარდინალურ გარდაქმნას. მითუმეტეს, როდესაც საუბარია შედარებით მცირე ფართობზე, აქ არსებითი კლიმატური ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. შემოვლითი გზიდან მოშორებით კი, რამოდენიმე მეტრ მანძილზე, ტყეში და დასახლებაში, კლიმატური ელემენტების რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება, ისინი მრავალწლიური ნორმის ფარგლებში დარჩებიან [10].

ძირითადი შედეგები:

1. აბსოლუტური შემოვლითი გზის გაყვანასთან დაკავშირებით ტყის გაჩეხვა უპირველეს ყოვლისა გამოიწვევს პირდაპირი რადიაციის გაზრდას და შესაბამისად ტემპერატურის მომატებას. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გაჩეხილი ტყის ადგილას მოიმატებს დაახლოებით 1⁰-ით. ტემპერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი მატება მოსალოდნელია ზაფხულის თვეებში 1.7-1.8⁰-ით, ხოლო უმნიშვნელო ზამთარში 0.5-0.7⁰. ეს ცვლილებები ტემპერატურის ბუნებრივი მრავალწლიური რყევადობის ფარგლებში რჩება.

2. ტყის გაჩეხვის შედეგად ჰაერის შეფარდებითი სინოტივე შესაძლოა მხოლოდ რამოდენიმე პროცენტით შემცირდეს, ძირითადად ზაფხულის ხარჯზე, ზამთარში კი მისი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. მოსალოდნელია ქარის სიჩქარის რამდენადმე გაზრდა.
3. ტყის გაჩეხვა, მისი მცირე ფართობის გამო, ვერ მოახდენს გავლენას ადგილისათვის დამახასიათებელი ჰაერის აღმავალი მოძრაობების შესუსტებაზე, ტურბულენტობის შემცირებასა, კონდენსაციური პროცესების შესუსტებასა და ნალექების შემცირებაზე. ნალექების რაოდენობა დარჩება კლიმატური ნორმების ფარგლებში.
4. გზის მოასფალტების შემდეგ წარმოიქმნება დამატებითი ეფექტი: ასფალტი შთანთქავს მზის ენერგიას, ხურდება და თვითონ ასხივებს სითბოს. ამის შედეგად ზაფხულის ცხელ დღეებში ტემპერატურა უფრო მეტი სიდიდით გაიზრდება, ხოლო შეფარდებითი სინოტივე შესაძლოა რამოდენიმე პროცენტით შემცირდეს.
5. აღნიშნული ცვლილებები მოსალოდნელია უშუალოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გაჩეხება ტყე და გაყვანილი იქნება გზა. გზისგან დაშორებით, ტყის პირობებში და დასახლებაში შენარჩუნებული იქნება ტყისთვის დამახასიათებელი რადიაციული რეჟიმი და არსებული კლიმატური პირობები. კვლევა შესრულებულია სახელმწიფო დაკვეთის შესაბამისად.

ლიტერატურა - REFERENCES

1. Molchanov A. A. The impact of forests on the environment. 1973, 188 p.(RUS).
2. Lashchinsky, N.N. Structure and dynamics of pine forests .- Novosibirsk: Nauka, 1981, 220 p. (RUS).
3. Climatic and Agroclimatic Atlas of Georgia. Tbilisi, 2011, 190 p. .(GEO).
4. Elizbarashvili E. The Climate of Georgia, Tbilisi, 2017, 361 p. (GEO).
5. Hydrometeorological Institute's satellite bases.(GEO)..
6. Beruchashvili N.L. Caucasus-landscape, models, experiments, 1996,350P (RUS).
7. Runova EM, Savchenkova VA Influence of felling on microclimate features. 1989,250 P(RUS).
8. .Elizbarashvili E. Climatology, Sokhumi University, 2020, 215 p.(GEO).
9. Elizbarashvili E., Kheladze T. On the influence of the Inguri reservoir on the local climate. Reports of the Academy of Sciences of the Georgian SSR, v. 136, no. 2, 1989, pp. 321-324. (RUS)
10. Elizbarashvili E. Sh., Elizbarashvili M.E., Elizbarashvili Sh. E., Kutaladze N.B. Tropical Nights in Georgia. Russian Meteorology and Hydrology , 2018, 43(9): p.625-631 DOI:10.3103/S1068373918090091

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-47-51

უაკ:551.583

აბასთუმნის შემოვლითი გზის გარემოს მიკროკლიმატზე ზემოქმედების შეფასება/ელიზბარაშვილი ე., ელიზბარაშვილი მ., დიასამიძე ც., ელიზბარაშვილი ., სულხანიშვილი ნ./სტუ-ის ჰმი-ის შრომათა კრებული-2026.-ტ.139.-გვ.47-51. -ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

კვლევა ეხება აბასთუმანი-ში შემოვლითი საავტომობილო გზის გაყვანის შედეგად გარემოს მიკროკლიმატურ ცვლილებებს. პროექტი განხორციელდა ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას გზის მონაკვეთზე და მოიცავდა ტყის გარკვეული ფართობის გაჩეხვას.

ტყე ქმნის სპეციფიკურ მიკროკლიმატს: ამცირებს მზის პირდაპირ რადიაციას, ტემპერატურას, ქარის სიჩქარეს და აორთქლებას, ხოლო ზრდის ჰაერის შეფარდებით სინოტივეს. ტყის გაჩეხვა იწვევს ამ ბალანსის ნაწილობრივ დარღვევას.

მრავალწლიანი (1961–2010 წწ.) მეტეოროლოგიური მონაცემების და მოდელური შეფასებების საფუძველზე დადგინდა, რომ: ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გაჩეხილ ტერიტორიაზე გაიზრდება დაახლოებით 1°C -ით; ყველაზე მნიშვნელოვანი მატება მოსალოდნელია ზაფხულში ($1.7-1.8^{\circ}\text{C}$), ხოლო ზამთარში ცვლილება უმნიშვნელოა ($0.5-0.7^{\circ}\text{C}$); შეფარდებითი სინოტივე შესაძლოა რამდენიმე პროცენტით შემცირდეს, ძირითადად ზაფხულში; ქარის სიჩქარე ოდნავ გაიზრდება; ნალექების წლიური რაოდენობა კლიმატური ნორმის ფარგლებში დარჩება; გზის ასფალტის საფარი დამატებით გააძლიერებს ზაფხულში ზედაპირული გათბობის ეფექტს.

შეფასება აჩვენებს, რომ მოსალოდნელი ცვლილებები არ სცდება ბუნებრივი მრავალწლიური კლიმატური რყევების ფარგლებს (3-სიგმას კრიტერიუმის ფარგლებში) და ლოკალურ ხასიათს ატარებს. გზისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით ტყისთვის დამახასიათებელი მიკროკლიმატი შენარჩუნდება.

დასკვნის მიხედვით, პროექტი არ იწვევს არსებით კლიმატურ გარდაქმნებს და ზემოქმედება იქნება შეზღუდული და ლოკალიზებული.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-47-51

UDC:551.583

Assessment of the impact of the Abastumani bypass road on the microclimate of the environment/Elizbarashvili E., Elizbarashvili M., Diasamidze Ts., Elizbarashvili . , Sulkhanishvili N./Transactions of the IHM, GTU. -2026. -vol.139. -pp.47-51. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

The study concerns the microclimatic changes in the environment as a result of the construction of the bypass road in Abastumani. The project was implemented on the Kutaisi-Baghdati-Abastumani-Benara road section and included the felling of a certain area of forest. The forest creates a specific microclimate: it reduces direct solar radiation, temperature, wind speed and evaporation, and increases the relative humidity of the air. Deforestation leads to a partial disruption of this balance. Based on long-term (1961–2010) meteorological data and model estimates, it was determined that: the average annual air temperature in the cleared area will increase by approximately 1°C; the most significant increase is expected in summer (1.7–1.8°C), while the change in winter is insignificant (0.5–0.7°C); relative humidity may decrease by several percent, mainly in summer; wind speed will increase slightly; annual precipitation will remain within the climatic norm; asphalt road surface will additionally enhance the effect of surface heating in summer. The assessment shows that the expected changes do not go beyond the limits of natural long-term climatic fluctuations (within the 3-sigma criterion) and are of a local nature. A microclimate characteristic of the forest will be maintained a few meters away from the road. According to the conclusion, the project will not cause significant climate changes and the impacts will be limited and localized.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-47-51

УДК: 551.583

Оценка воздействия Абастуманской объездной дороги на микроклимат окружающей среды/Элизбарашвили Е., Элизбарашвили М., Диасамидзе Ц., Элизбарашвили, Сулханишвили Н./Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2026. – том 139. - с.47-51. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

Исследование посвящено микроклиматическим изменениям окружающей среды в результате строительства объездной дороги в Абастумани. Проект был реализован на участке дороги Кутаиси-Багдати-Абастумани-Бенара и включал вырубку определенного участка леса. Лес создает специфический микроклимат: он снижает прямое солнечное излучение, температуру, скорость ветра и испарение, а также повышает относительную влажность воздуха. Вырубка леса приводит к частичному нарушению этого баланса. На основе долгосрочных (1961–2010 гг.) метеорологических данных и модельных оценок было установлено, что: среднегодовая температура воздуха на расчищенной территории повысится примерно на 1°C; наиболее значительное повышение ожидается летом (1,7–1,8°C), тогда как зимой изменение незначительно (0,5–0,7°C); относительная влажность может снизиться на несколько процентов, главным образом летом; скорость ветра незначительно увеличится; годовое количество осадков останется в пределах климатической нормы; асфальтовое покрытие дороги дополнительно усилит эффект нагрева поверхности летом. Оценка показывает, что ожидаемые изменения не выходят за пределы естественных долгосрочных климатических колебаний (в пределах критерия 3-сигма) и носят локальный характер. Микроклимат, характерный для леса, будет поддерживаться в нескольких метрах от дороги. По заключению, проект не вызовет значительных климатических изменений, а его воздействие будет ограниченным и локализованным.

**Современные тенденции изменения экстремальных температур в Самцхе-Джавахеги
Элибарашвили Элибар*, Элибарашвили Мария**, Диасамидзе Цицино*, Элибарашвили
Шалва*, Челидзе Нана***

* Институт Гидрометеорологии Грузинского Технического Университета

** Тбилисский Государственный Университет им. Джавахишвили

Резюме. В статье рассмотрены современные тенденции изменения экстремальных температур в регионе Самцхе–Джавахеги в условиях интенсивного глобального потепления. Исследование выполнено на основе данных трех метеорологических станций — Ахалкалаки (1717 м), Ахалцихе (962 м) и Боржоми (789 м) — за период 1961–2020 гг. Используются климатические индексы экстремальных температур, рекомендованные ВМО и МГЭИК (Тхх, Тnn, Тхп, Тпх, Тх90р, Тn10р). Статистическая значимость трендов оценивалась по р-критерию (уровень значимости 0,05). Установлено, что изменения суточных максимумов температуры (Тхх) носят разнонаправленный характер: в Ахалцихе и Боржоми отмечен положительный тренд, в Ахалкалаки — отрицательный, однако во всех случаях изменения статистически незначимы. Аналогичная картина наблюдается для абсолютных минимумов температуры (Тnn), при этом в Ахалцихе выявлен статистически значимый рост (0,7 °С за десятилетие). Более выраженные изменения характерны для индекса Тпх (максимум абсолютных минимумов температуры): в Ахалцихе и Боржоми зафиксирован статистически значимый рост (0,4 и 0,3 °С за десятилетие соответственно), что свидетельствует о смягчении холодных экстремумов. В Ахалкалаки изменения носят отрицательный, но статистически незначимый характер. Анализ процентильных индексов показал снижение числа дней с экстремально высокими температурами (Тх90р) в Ахалкалаки (статистически значимо), тогда как в Ахалцихе и Боржоми изменения незначительны. В то же время изменения холодных экстремумов (Тn10р) имеют разнонаправленный характер: в Ахалкалаки отмечен рост числа таких дней, а в Ахалцихе и Боржоми — их уменьшение; последние изменения статистически значимы. Ключевые слова: экстремальные температуры, тренд, статистическая значимость

Введение. Проведенные за последние годы исследования некоторых климатических индексов Грузии [1-7 и др.], рекомендованных экспертной группой мониторинга и индексов Межгосударственной комиссии экспертов по изменению климата (МГЭИК) Всемирной Метеорологической Организации (ВМО) для оценки региональных климатических изменений в условиях глобального потепления [8,9], расширили наши представления о климате и изменении климата Грузии в условиях глобального потепления. В частности было установлено, что наиболее чувствительными индикаторами изменения климата являются экстремальные температуры, жаркие дни, тропические ночи и морозные дни.

В [1] исследованы ежегодные изменения индексов экстремальных климатических явлений в Грузии за период 1971–2010 гг с использованием гомогенизированных рядов суточных минимальных и максимальных температур и осадков. В [2,3] по материалам наблюдений 50 метеорологических станций за период 1936–2013 годы исследованы динамика числа жарких дней, их повторяемость, интенсивность, и продолжительность на территории Грузии, определены периоды наступления жарких дней в течении года и их максимальная интенсивность в различных физико-географических условиях, выполнено районирование территории Грузии по скорости изменения числа жарких дней. В [4] по материалам наблюдений 30 метеорологических станций Грузии за период 1936–2013 годы исследована география, статистическая структура, интенсивность, продолжительность и динамика тропических ночей, построена геоинформационная карта числа тропических ночей за базовый период ВМО, определены период наступления и повторяемости их различных градаций, установлены закономерности многолетнего изменения. В [5] по материалам наблюдений 25 метеорологических станций за период 1936–2013 годы исследована статистическая структура морозов и морозных дней в горных районах Грузии, определены непрерывная продолжительность морозов, период наступления и повторяемости различных градаций числа морозных дней, установлены закономерности их многолетнего изменения.

В настоящей статье исследованы современные тенденции изменения экстремальных температур в Самцхе-Джавахеги в условиях интенсивного глобального потепления.

Материалы и методы. В исследовании использованы материалы наблюдений трех метеорологических станций-Ахалкалаки (1717м н.у.м), Ахалцихе(962м н.у.м), и Боржоми(789м н.у.м) за период 1961-2020 годы. Климат региона: умеренно континентальный, сравнительно сухой, с холодной зимой. Ландшафты: высокие плато, горные луга, степные участки, вулканические формы, среднегорные хребты, густые леса, перевалы. Рассмотрены следующие климатические индексы экстремальных температур (см.табл.1)


Таблица 1. Индексы экстремальных температур


Индекс	Название	Определение	Единица
T _{хх}	суточный максимум температуры	суточный максимум температуры за период исследования	°C
T _{нн}	суточный минимум температуры	суточный минимум температуры за период исследования	°C
T _{хп}	минимум абсолютных максимумов температуры	минимум из абсолютных максимумов температуры	°C
T _{пх}	максимум абсолютных минимумов температуры	максимум из абсолютных минимумов температуры	°C
T _{х90р}	90%-аяпроцентиль максимумов температуры	число дней, когда максамальная температура воздуха превышает пороговое значение, 90%-ую процентиль максимумов температуры	число дней за год
T _{п10р}	10%-аяпроцентиль минимумов температуры	число дней,когда минимальная температ воздуха ниже порогового значения, 10%-ного процентиля минимумов температуры.	число дней за год

Тренд многолетнего изменения климатических индексов оценивался с помощью p –вероятности ошибки первого рода при отклонении нулевой гипотезы (уровень значимости). В качестве нулевой гипотезы было принято, что многолетнее изменение индексов экстремальных температур (тренд) за период 1961-2020 гг имеет случайный характер. Соответственно алтернативная гипотеза, исключающая нулевую, означала истинность изменения этих характеристик во времени (значимость тренда). Если значение p мало (менее или равно 0.05) нулевая гипотеза отвергалась и тренд считался значимым [10].

Обсуждение результатов.

О тенденциях многолетнего изменения некоторых температурных индексов можно судить по графикам (см рис.1).





რის.1. ტენდენციები მრავალწლიანი ცვლილების რამდენიმე ინდექსში ექსტრემალური ტემპერატურის, შესაბამისი წრფივი რეგრესიის განტოლებები და დეტერმინაციის კოეფიციენტი (R^2): 1-ახალკალაკი, 2-ახალციხე, 3-ბორჯომი

Из рис.1 следует, что динамика суточного максимума температуры (T_{xx}) за исследуемый период имел положительный тренд в Ахалцихе и Боржоми, а в Ахалкалаки имел отрицательный тренд. однако эти изменения статистически незначимы.

Аналогичная тенденция отмечается в изменении абсолютных минимумов температуры (T_{nn}). В Ахалцихе и Боржоми температуры увеличивались соответственно со скоростью 0.7 и 0.2 °C за декаду, вкладом тренда в их изменчивость соответственно 10% и 2%.. Вклад тренда статистически значим для Ахалцихе. В Ахалкалаки абсолютный минимум температуры также уменьшалась со скоростью 0.3 °C, однако это изменение статистически также незначимо.

В изменении минимумов абсолютных максимумов температуры (T_{xn}) в Ахалцихе и Боржоми отмечается незначительный тренд, а в Ахалкалаки температура уменьшалась со скоростью 0.5 °C за декаду, вкладом тренда в их изменчивость 12%, что статистически значимо.

Изменения максимумов абсолютных минимумов температуры (T_{nx}) более значительны. Так, в Ахалцихе и Боржоми температуры увеличивались соответственно со скоростью 0.4 и 0.3 °C за декаду, вкладом тренда в их изменчивость соответственно 28% и 19%. Эти изменения статистически значимы. В Ахалкалаки максимумы из абсолютных минимумов температуры уменьшались со скоростью 0.2 °C за декаду, вкладом тренда в их изменчивость всего 5%, вследствие чего это изменение статистически незначимо.

В таблице 2 представлены уравнения линейной регрессии за период 1961-2020гг. и соответствующие коэффициенты детерминации (R^2) для 90%-ых перцентилей годовых максимумов температуры и 10%-ых перцентилей годовых минимумов температуры, жирным шрифтом выделены статистически значимые значения

Таблица 2 Уравнения линейной регрессии и соответствующие коэффициенты детерминации (R^2)

Пункт	Уравнение 90%-ая перцентиль максимумов	R^2	Уравнение 10%-ая перцентиль минимумов	R^2
Ахалкалаки	$y=-0.459x+954$	0.15	$y=0.296x-555$	0.14
Ахалцихе	$y=-0.214x+461$	0.05	$y=-0.402x+831$	0.23
Боржоми	$y=-0.169x+379$	0.03	$y=-0.2795x+600$	0.11

Из таблицы следует, что скорости изменения 90%-ых перцентилей годовых максимумов температуры отрицательны и составляют 1-5 дней, вклад тренда в их изменчивость в Ахалкалаки составляют 15%, что статистически значимо. Изменения в Ахалцихе и Боржоми статистически незначимы.

Скорость изменения 10%-ых перцентилей годовых минимумов температуры в Ахалкалаки положительна и составляет около 3 дней за декаду, вкладом тренда в их суммарную изменчивость 14%, а скорости изменения 10%-ых перцентилей годовых минимумов температуры в Ахалцихе и Боржоми отрицательны и составляют 3-4 дня за декаду. Вклад тренда в суммарную изменчивость перцентилей температуры составляет соответственно 23% и 11%. Эти изменения статистически значимы.

Заключение. Проведённое исследование позволило выявить особенности современных изменений экстремальных температур в регионе Самцхе–Джавахети за период 1961–2020 гг. в условиях интенсивного глобального потепления.

Установлено, что наибольшие и статистически значимые изменения связаны с трансформацией холодных температурных экстремумов, особенно в Ахалцихе и Боржоми. Рост максимумов абсолютных минимумов температуры (T_{nx}), а также уменьшение числа дней с экстремально низкими температурами (T_{n10p}) в этих пунктах свидетельствуют о смягчении зимних условий и снижении суровости холодного периода.

В то же время динамика экстремально высоких температур выражена слабее и носит преимущественно статистически незначимый характер. Снижение 90%-ых перцентилей максимумов температуры (T_{x90p}) в Ахалкалаки является единственным статистически значимым изменением среди показателей жарких экстремумов.

Выявлена пространственная неоднородность климатических изменений: в высокогорной зоне (Ахалкалаки) тенденции выражены слабее и отличаются по направлению от низкогорных районов (Ахалцихе, Боржоми). Это подчёркивает важную роль высотной поясности и физико-географических условий в формировании регионального отклика на глобальное потепление.

В целом полученные результаты подтверждают продолжающуюся трансформацию температурного режима региона, прежде всего за счёт ослабления холодных экстремумов, что имеет существенное значение для природных экосистем, сельского хозяйства и социально-экономического развития Самцхе–Джавахети.

ЛИТЕРАТУР-REFERENCES

1. Keggenhoff I., Elizbarashvili M., Amiri-Farahani A., King L. Trends in daily temperature and precipitation extremes over Georgia, 1971–2010. *Weather and Climate Extreme*, 2014, 4(2014)75–85
2. Elizbarashvili E. Sh., Kutaladze N. B., Keggenhoff I., Elizbarashvili M. E., Kikvadze B. M., Gogiya N. M. Climate Indices for the Moistening Regimen in the Territory of Georgia amidst Global Warming. - *European Researcher*, Vol. (66), № 1-1, 2014, p. 102-107
3. Elizbarashvili E. Sh., Elizbarashvili M. E., Kutaladze N. B., Elizbarashvili Sh. E., Chelidze N. Z. Long-term Changes in the Number and Temperature of Hot Days in Georgia under Global Warming *Russian Meteorology and Hydrology*, 2017, Vol. 42, No. 10, pp. 665–670. DOI: 10.3103/S1068373917100065
4. [Elizbarashvili E. Sh., Elizbarashvili M. E., Elizbarashvili Sh. E., Kutaladze N. B. Tropical Nights in Georgia. *Russian Meteorology and Hydrology*, 2018, 43\(9\): p. 625-631 DOI: 10.3103/S1068373918090091](#)
5. Elizbarashvili E. Sh., Elizbarashvili M. E., Elizbarashvili Sh. E., Kutaladze N. B., Gogiya N. M. Characteristics of Frost Days in the Mountain Regions of Georgia *Russian Meteorology and Hydrology*, 2019, Vol. 44, No. 2, pp. 145–151. DOI: 10.3103/S1068373919020080
6. Elizbarashvili E. Sh., Elizbarashvili M. E., Kutaladze N. B., Keggenhoff I., Kikvadze B. M., Gogiya N. M. Geography and dynamics of some temperature indices for assessing the climate change in Georgia. — *Russian Meteorology and Hydrology*, Volume 40, Issue 1, 2015. DOI: 10.3103/S1068373915010069
7. Elizbarashvili E. Sh., Elizbarashvili M. E., Kutaladze N. B., Keggenhoff I., Elizbarashvili Sh. E., Kikvadze B. M., Gogiya N. M. Spatiotemporal Variations in Climate Moisture Indices in Georgia under Global Warming *Russian Meteorology and Hydrology*, 2016, Vol. 41, No. 4, pp. 261–267. DOI: 10.3103/S1068373916040051
8. <http://etccdi.pacificclimate.org/indices.shtml>
9. Peterson, T.C. [Climate Change Indices](#). *WMO Bulletin*, 2005, 54 (2), 83-86
10. Rumshiskii L.Z. *Mathematical processing of experimental results*. Moscow, Nauka, 1971, 192 p. (Rus)

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-52-57

უკ:551.583

ექსტრემალური ტემპერატურების თანამედროვე ცვლილების ტენდენციები სამცხე-ჯავახეთში. ელიზბარაშვილი ე., ელიზბარაშვილი მ., დიასამიძე ც., ელიზბარაშვილი შ., ჭელიძე ნ. სტუპ-ის ჰმი-ის შრომათა კრებული-2026.-ტ.139.-გვ.52-57. -ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატია განიხილავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ექსტრემალური ტემპერატურის მიმდინარე ტენდენციებს ინტენსიური გლობალური დათბობის პირობებში. კვლევა ეფუძნება სამი მეტეოროლოგიური სადგურის - ახალქალაქის (1717 მ), ახალციხის (962 მ) და ბორჯომის (789 მ) მონაცემებს 1961-2020 წლების პერიოდისთვის. გამოყენებული იქნა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) და IPCC-ის მიერ რეკომენდებული ექსტრემალური ტემპერატურის კლიმატური ინდექსები (Txx, Tnn, Txn, Tnx, Tx90p, Tn10p). ტენდენციების სტატისტიკური მნიშვნელობა შეფასდა p-ტესტის გამოყენებით (მნიშვნელობის დონე 0.05). აღმოჩნდა, რომ დღიური ტემპერატურის მაქსიმუმის (Txx) ცვლილებები მრავალმხრივია: ახალციხესა და ბორჯომში დადებითი ტენდენცია დაფიქსირდა, ხოლო ახალქალაქში უარყოფითი. თუმცა, ყველა შემთხვევაში, ცვლილებები სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურისთვის (Tnn), ახალციხეში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზრდით (0.7°C ათწლეულში) დაფიქსირებული. უფრო გამოხატული ცვლილებები შეინიშნება Tnx ინდექსში (მაქსიმალური აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა): ახალციხესა და ბორჯომში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა (შესაბამისად, 0.4 და 0.3°C ყოველ ათწლეულში), რაც მიუთითებს ცივი ექსტრემუმების შერბილებაზე. ახალქალაქში ცვლილებები უარყოფითია, მაგრამ სტატისტიკურად უმნიშვნელო. პერცენტილური ინდექსების ანალიზმა აჩვენა, რომ ახალქალაქში უკიდურესად მაღალი ტემპერატურის დღეების რაოდენობა (Tx90p) შემცირდა (სტატისტიკურად მნიშვნელოვანი), ხოლო ახალციხესა და ბორჯომში ცვლილებები უმნიშვნელოა. ამასობაში, ცივი ექსტრემუმების ცვლილებები (Tn10p) გასხვავებულია: ასეთი დღეების რაოდენობა გაიზარდა ახალქალაქში, ხოლო შემცირება - ახალციხესა და ბორჯომში; ეს უკანასკნელი ცვლილებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-52-57

UDC:551.583

Current Trends of Extreme Temperature Changes in Samtskhe-Javakheti. Elizbarashvili, E., Elizbarashvili, M., Diasamidze, T., Elizbarashvili, Sh., Chelidze, N. Transactions of the IHM, GTU. -2026. -vol.139. -pp52-57. - Georg., Summ. Georg., Eng.Rus.

This article examines current trends of extreme temperatures in the Samtskhe-Javakheti region under conditions of intense global warming. The study is based on data from three meteorological stations—Akhalkalaki (1,717 m), Akhaltsikhe (962 m), and Borjomi (789 m) – for the period of 1961–2020. Climate indices of extreme temperatures

recommended by the WMO and IPCC (Txx, Tnn, Txp, Tnx, Tx90p, Tn10p) were used. The statistical significance of trends was assessed using the p-test (significance level 0.05). It was found that changes in daily temperature maxima (Txx) are multidirectional: a positive trend was observed in Akhaltsikhe and Borjomi, while a negative trend was observed in Akhalkalaki. However, in all cases, the changes are statistically insignificant. A similar trend is observed for absolute minimum temperatures (Tnn), with a statistically significant increase (0.7°C per decade) recorded in Akhalkalaki. More pronounced changes are observed for the Tnx index (maximum absolute minimum temperatures): in Akhaltsikhe and Borjomi, statistically significant increases (0.4 and 0.3°C per decade, respectively) were recorded, indicating a mitigation of cold extremes. In Akhalkalaki, the changes are negative, but statistically insignificant. Analysis of percentile indices revealed a decrease in the number of days with extremely high temperatures (Tx90p) in Akhalkalaki (statistically significant), while in Akhaltsikhe and Borjomi, the changes are insignificant. Meanwhile, changes in cold extremes (Tn10p) are mixed: an increase in the number of such days was observed in Akhalkalaki, while a decrease was observed in Akhaltsikhe and Borjomi; the latter changes are statistically significant

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-52-57

УДК: 551.583

Современные тенденции изменения экстремальных температур в Самцхе-Джавахеги. Элизбарашвили Е., Элизбарашвили М., Диасамидзе Т., Элизбарашвили Ш., Челидзе Н. Сб. Трудов ИГМ ГТУ. - 2026. – том 139. - с.52-57. - Груз.; Рез: Груз., Англ., Рус.

В статье рассмотрены современные тенденции изменения экстремальных температур в регионе Самцхе–Джавахеги в условиях интенсивного глобального потепления. Исследование выполнено на основе данных трех метеорологических станций — Ахалкалаки (1717 м), Ахалцихе (962 м) и Боржоми (789 м) — за период 1961–2020 гг. Используются климатические индексы экстремальных температур, рекомендованные ВМО и МГЭИК (Txx, Tnn, Txp, Tnx, Tx90p, Tn10p). Статистическая значимость трендов оценивалась по р-критерию (уровень значимости 0,05). Установлено, что изменения суточных максимумов температуры (Txx) носят разнонаправленный характер: в Ахалцихе и Боржоми отмечен положительный тренд, в Ахалкалаки — отрицательный, однако во всех случаях изменения статистически незначимы. Аналогичная картина наблюдается для абсолютных минимумов температуры (Tnn), при этом в Ахалцихе выявлен статистически значимый рост (0,7 °C за десятилетие). Более выраженные изменения характерны для индекса Tnx (максимум абсолютных минимумов температуры): в Ахалцихе и Боржоми зафиксирован статистически значимый рост (0,4 и 0,3 °C за десятилетие соответственно), что свидетельствует о смягчении холодных экстремумов. В Ахалкалаки изменения носят отрицательный, но статистически незначимый характер. Анализ процентильных индексов показал снижение числа дней с экстремально высокими температурами (Tx90p) в Ахалкалаки (статистически значимо), тогда как в Ахалцихе и Боржоми изменения несут незначительный характер. В то же время изменения холодных экстремумов (Tn10p) имеют разнонаправленный характер: в Ахалкалаки отмечен рост числа таких дней, а в Ахалцихе и Боржоми — их уменьшение; последние изменения статистически значимы.

doi.org/10.36073/1512-0902-2026-139-58-66

უაკ 551.583

მტკვრის წყალსაცავების კასკადის ექსპლუატაციის მოსალოდნელი გავლენა მიკროკლიმატურ ცვლილებებზე

ელიზბარაშვილი ელიზბარ*, ელიზბარაშვილი მარიამ**,
დიასამიძე ციცილო*, ელიზბარაშვილი შალვა*

* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
email: eelizbar@hotmail.com

** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეიუმე. შეფასებულია მტკვრის წყალსაცავების მშენებარე კასკადის ექსპლუატაციის მოსალოდნელი გავლენა მიკროკლიმატურ ცვლილებებზე. საპროექტო წყალსატევების მცირე ზომები ვერ მოახდენს არსებით გავლენას ადგილის კლიმატის ცვლილებაზე და მის შესაძლო გავლენაზე ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე. ამასთანავე წყალსაცავების მაქსიმალური გავლენა იქნება შეგუბების ზონაში და გავლენის ეფექტი შემოსაზღვრება წყლის კიდედან 500მ მანძილით და მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით იქნება სუსტი გამაგრებელი, წლის დანარჩენ თვეებში კი წყალსატევს ეფექტი ფაქტიურად არ ექნება. ვირტუალური წყალსატევის, რომელიც წარმოადგენს ცალკეული წყალსაცავების გაერთიანებას, გავლენის ეფექტი ტემპერატურის ველზე ნიშნადი შეიძლება იყოს წყლის კიდედან 1 კმ მანძილამდე დაშორებით. წყალსატევის გამაგრებელი გავლენის პერიოდში აპრილი-ოქტომბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების შემცირების სიდიდემ აბსოლუტური მნიშვნელობით წყლის კიდედან 100მ მანძილამდე შეიძლება მიაღწიოს 0.7⁰-ს, ხოლო 500 მ დაშორებით 0.5⁰-ს.


საკვანძო სიტყვები: წყალსაცავი, მიკროკლიმატი, მოდელირება

შესავალი. წყალსაცავი ქმნის თავის საკუთარ მიკროკლიმატს. წყალსაცავის აკვატორიაზე და მიმდებარე ტერიტორიაზე. ძირითადი კლიმატური ელემენტების ცვლილებების სიდიდეები დამოკიდებულია წყალსაცავის სიბურთი ბალანსის, კერძოდ, მისი მთავარი მდგენელის-რადიაციული ბალანსის მკვეთრ ცვლილებებთან, რაც წყლის მასის დიდი სიბურთეობით არის გამოწვეული. მეტეოელემენტების ცვლილებების სიდიდეები კი თავის მხრივ დამოკიდებულია წყალსაცავის ზომებზე, კერძოდ წყლის სარკის ფართობზე, მოცულობაზე, განფენილობაზე და სხვ.[1-4].

პირველი ნაშრომი საქართველოს წყალსაცავების მიკროკლიმატზე გავლენის შესახებ გამოქვეყნდა 1989 წელს [5]. მასში განხილული იყო ჯვრის (ენგურის) წყალსაცავის გავლენა ადგილობრივ კლიმატზე. დადგენილი იყო ამ გავლენის რაოდენობრივი მახასიათებლები.

დღეისათვის, არსებული გამოკვლევების თანახმად, დადგენილია რომ საქართველოს წყალსაცავები წლის თბილი პერიოდის განმავლობაში არეგულირებენ მიმდებარე ტერიტორიის სიბურთ რეჟიმს. სიბურთ გადატანა წყლის ზედაპირიდან ატმოსფეროში ხორციელდება მოლეკულური სიბურთგამტარობის, ტურბულენტური ცვლის სიბურთი კონვექციის, რადიაციული სიბურთგამტარობის და აორთქლების გზით. ეს პროცესები ქმნიან წყლის და ჰაერის ტემპერატურის გარკვეულ თანაფარდობებს, რაც მჭიდრო კავშირშია კლიმატურ პირობებთან.

კვლევის ობიექტი. მტკვრის წყალსაცავების პროექტის განხორციელება დაგეგმილია შიდა ქართლის რეგიონში. საპროექტო ტერიტორია განლაგებულია ზღვის დონიდან 450-720 მეტრ სიმაღლეთა ინტერვალში, მისი კლიმატური ფონი შეიძლება დახასიათდეს აშკარად მომქმედი მეტეოსადგურების ხაზურისა და გორის მონაცემებით, რომლებიც მდებარეობს საპროექტო ობიექტების კლიმატურ ზონაში ზღვის დონიდან შესაბამისად 690 და 588 მეტრ სიმაღლეზე. ნახ 1-ზე წარმოდგენილია წყალსაცავების განლაგების სქემა. როგორც სქემიდან ჩანს აქ წარმოდგენილია წყალსაცავების 2 დაჯგუფება, ერთი ქვიშეთი 1 დან სკრას ჩათვლით, ხოლო მეორე გრაკალიდან ძეგვის ჩათვლით. ამ 2 ჯგუფს შორის მანძილი რამოდენიმე ათეული კილომეტრია. თვითონ წყალსაცავებს შორის უდიდესი მანძილი მეტეხის და კასპის წყალსაცავებს შორის არის და აღემატება 8 კმ-ს, ხოლო ახალსოფლის და ქარელის წყალსაცავებს შორის მანძილი შეადგენს 3 კმ-ს. დანარჩენ წყალსაცავებს შორის მანძილი შეადგენს მხოლოდ რამოდენიმე ასეულ მეტრს.



ნახ.1 წყალსაცავების კასკადის მტკვარზე განლაგების სქემა

მ.კორძაიას [6] მიერ საქართველოს კლიმატური დარაიონების თანახმად, რასაც მან საფუძვლად კიოპენის ჰავათა კლასიფიკაცია დაუდო საკვლევი რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ჰავის ოლქში და მოიცავს კლიმატურ რაიონს ზომიერად ნოტიო ჰავით ცივი ზამთრით და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით.

მასალები და მეთოდები. წყალსატევის მიკროკლიმატზე გავლენის შეფასების შესახებ დღეისათვის სხვადასხვა მიდგომა არსებობს. ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ 3 ჯგუფად;

1. წყალსაცავის გავლენის შეფასება გეოგრაფიული ანალოგის მეთოდის გამოყენებით:

გეოგრაფიული ანალოგის მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ, რომ შევადაროთ სხვა, მსგავს ადგილებში არსებულ წყალსაცავებსა და მათ მიკროკლიმატზე გავლენას. გეოგრაფიული ანალოგი უკეთ წარმოადგენს ისეთ ზონებს, სადაც წყალსაცავები უკვე არსებობს და იქ არსებული მიკროკლიმატური ცვლილებები, მაგალითად, ტემპერატურის და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების ცვლილებები, უკვე განსაზღვრულია [2,7,8 და სხვ].

2. წყალსაცავიდან აორთქლების შეფასება წყლის ბალანსის, სითბური ბალანსის და სხვადასხვა ემპირიული მეთოდების გამოყენებით;

ამ მეთოდების გამოყენებით, შესაძლებელია დეტალურად შევისწავლოთ, როგორ ახდენს წყალსაცავიდან წყლის აორთქლა (დამატებითი ორთქლის წარმოქმნა) გავლენას გარემო პირობებზე.

მიდგომა ითვალისწინებს წყალსაცავის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური პარამეტრების გაანგარიშებას წყლის ბალანსის განტოლების საფუძველზე, ან ამ განტოლებიდან გამომდინარე სპეციალური ნომოგრამების დახმარებით [9-11].

3. წყალსაცავის გავლენის შეფასება მოდელირების მეთოდით. მოდელირების მეთოდებს შორის ყველაზე აღიარებულია ა.ვოეიკოვის სახელობის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში დამუშავებული სპეციალური მეთოდი. მეთოდი ეფუძვნება წყალსატევის და მისი მოსაზღვრე ხმელეთის ტერიტორიაზე განვითარებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებს, ის ითვალისწინებს წყალსაცავის და ხმელეთის ატმოსფეროსთან სითბო და ტენციის პროცესებს და ასახავს სისტემის “წყალი-ატმოსფერო-ხმელეთი“ მეტეოროლოგიური რეჟიმის ფორმირების ძირითად კანონზომიერებებს, რაც განპირობებულია წყლის და ხმელეთის თვისებებს შორის არსებული განსხვავებებით (სითბოტევადობა, შთანთქმა, აორთქლება, რადიაციული ბალანსი, სითბური ბალანსი და ა.შ.).

მოდელირების მეთოდი უფრო გრძელვადიანი, კომპლექსური და ზუსტი მიდგომაა, სადაც გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მიკროკლიმატზე. ასეთი მიდგომით შეიძლება შეიქმნას კომპლექსური ციფრული მოდელები, რომლებიც ასახავს წყალსაცავის მოქმედებას[3,12]:

ამ მეთოდის თანახმად ჰაერის ტემპერატურისა და პარციალური წნევის ცვლილება ჰაერის ნაკადის წყალსატევიდან ხმელეთზე გადაადგილებისას განისაზღვრება ფორმულებით:

$$\begin{aligned}\Delta T &= T_1 - T' = (T_n - T')(1 - F(T))\varphi, \\ \Delta E &= E_1 - E' = (E_n - E')(1 - F(E))\varphi,\end{aligned}\quad (1)$$

სადაც:

- T_1 და E_1 – ტემპერატურისა და პარციალური წნევის საძიებო მნიშვნელობებია ხმელეთზე წყლის კიდედან მოცემულ მანძილზე;
- T' და E' – ტემპერატურა და პარციალური წნევა ხმელეთზე წყალსაცავის შექმნამდე;
- T_n და E_n – წყალსაცავის ზედაპირის ტემპერატურა და ამ ტემპერატურაზე წყლის ორთქლის გაჯერებული პარციალური წნევა;
- $F(T)$ და $F(E)$ – უგანზომილებო ფუნქციებია, რომლებიც ითვალისწინებენ წყალსაცავის ატმოსფეროსთან სითბო და ტენციის მახასიათებლებს;
- φ – უგანზომილებო ფუნქციაა, რომელიც ითვალისწინებს ხმელეთის ატმოსფეროსთან სითბო და ტენციის მახასიათებლებს.

ფუნქციები $F(T)$, $F(E)$ და φ დამოკიდებული არიან ტურბულენტობის კოეფიციენტებზე, ქარის სიჩქარეზე, სიხისტის პარამეტრებზე და წყალსაცავის ზომებზე. $F(E)$ - არის ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს წყალსაცავის ატმოსფეროსთან ტენზიონებს. ფუნქციების $(1-F(T))\varphi$ და $(1-F(E))\varphi$ მნიშვნელობები 2მ სიმაღლისათვის მოცემულია [12]-ში. ამ მეტეოროლოგიური პარამეტრების ცვლილებების გამოსათვლელ მოცემულ განტოლებებში საწყის მონაცემებად ითვლება მეტეოსადგურების ინფორმაცია 2მ სიმაღლეზე. ქვეფენილი ზედაპირიდან სხვადასხვა დონეზე წყალსაცავის გავლენით გამოწვეული ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის სიდიდეების ცვლილების გამოსავლენად გამოიყენება პარამეტრები

α და β ,

რომლებიც წარმოდგენილია აგრეთვე ცხრილების სახით [12]. ამ გამოსახულებებში $(1-F(T))\varphi$ და $(1-F(E))\varphi$ არიან ამ ფუნქციების მნიშვნელობები 2მ სიმაღლეზე, ხოლო $(1-F(T))\varphi^2$ და $(1-F(E))\varphi^2$ - ამავე ფუნქციების მნიშვნელობები ქვეფენილი ზედაპირიდან 2მ სიმაღლეზე წყალსაცავის ზომებისა და წყლის ხაზიდან მოცემულ წერტილამდე. α და β მნიშვნელობები მოყვანილია სპეციალურ ცხრილში [12]. წყალსაცავის სანაპიროზე ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებების გამოთვლის დროს მხედველობაში მიიღება შესწორებები, რომლებიც განპირობებულია წყალსაცავის განლაგების გეომორფოლოგიური პირობებით, ქვეფენილი ზედაპირის თავისებურებებითა და გარემოს ლანდშაფტზე ზემოქმედების შედეგებით. ტემპერატურისა და ტენიანობის მაქსიმალური ცვლილებები აღინიშნება წყალსაცავის ცენტრში:

$$\begin{aligned}\Delta T &= T_1 - T' = (T_n - T') F(T) \\ \Delta E &= E_1 - E' = (E_n - E') F(E)\end{aligned}$$

უნდა აღინიშნოს, რომ წყალსაცავების გარემოს კლიმატზე გავლენის შეფასებას ხშირ შემთხვევაში ართულებს წყლის ზედაპირის ტემპერატურის შესახებ ინფორმაციის არარსებობა და მისი მიღება რეგიონისათვის შესაბამისი ფუნქციონალური დამოკიდებულებით წარმოდგენს გარკვეულ სიძნელეებს.

განგარიშებებში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს და კლიმატური ცობარების მოაცემები, აგრეთვე ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მოაცემთა ბაზები და ლიტერატურული წყაროები [1,7,8].

შედეგების განხილვა. თითოეული მიდგომის საშუალებით თანმიმდევრობით შევაფასოთ წყალსაცავების კომპლექსის გავლენა მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე.

1. **წყალსაცავის გავლენის შეფასება გეოგრაფიული ანალოგის მეთოდის.** გულისხმობს შეფასებას ანალოგ წყალსაცავების გარემოზე ზემოქმედების მრავალწლიანი დაკვირვების და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე. ასეთი მონაცემების საფუძველზე გამოვლენილია სტატისტიკური კავშირები წყალსაცავის სხვადასხვა პარამეტრებს შორის [2,7,8].

თუ საპროექტო წყალსაცავების წყლის სარკის ზედაპირის სიმაღლის ნიშნულს მივიღებთ ცხრილ 1-ში წარმოდგენილი შეტბორვის დონეების შესაბამისად, წყალსაცავებზე გამოთვლილი ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და წლიური აორთქლების ფენა იქნება ამავე ცხრილში მოცემული სიდიდეების შესაბამისი. ისინი კარგად შეესაბამება რეალურ სიდიდეებს.

ცხრილი 1. საპროექტო წყალსაცავების პარამეტრები და დაანგარიშებული მეტეოროლოგიური სიდიდეები ანალოგის მეთოდით

წყალსაცავის დასახელება	სარკის ზედაპირი, ჰა	ნორმალური შეტბორვის დონე, მ	ჰაერის ტემპერატურა (T), გრად	აორთქლება (E) მმ, 1კვ.მ	აორთქლება წყალსაცავიდან, მოცულობა (ათასი კუბ.მ) ან წონა (ათასი ტონა)
ქვიშხეთი-1	32	711	9	600	192
ქვიშხეთი-2	34.2	698	9	600	205,2
ოსიაური	29.8	685	10	600	148.8
გომი-1	38.9	672	10	600	233.4
გომი-2	51.2	659	10	600	307.2
ახალსოფელი	46.6	646	10	600	279.6
ქარელი	52.9	629	10	600	317.4
ურბნისი	48.7	616	10	600	292.2
სკრა	38.8	603	11	600	232.8
გრაკალი	14.8	547	11	650	96.2
მეტეხი	25	535	11	650	162.5
კასპი	43.1	502	11	650	280.2
ქსანი-1	39.1	482	12	700	273.7
ქსანი-2	64.8	471	12	700	453.6
მეგვი	40	460	12	700	280
ზაპესი (მომქმედი)	58	448	12	700	406

ანალოგის მეთოდების გამოყენებით [2,7,8] გამოანგარიშებული ცხრილ 1-ში მოცემული ჰაერის წლიური ტემპერატურა კარგად შეესაბამება რეალურ მონაცემებს. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით განლაგებულ წყალსაცავებზე ჰაერის ტემპერატურა იზრდება 9 დან 12 გრადუსამდე.

რაც შეეხება აორთქლებას წყალსაცავებიდან, ანალოგის მეთოდის თანახმად მათ პირველ ჯგუფში ქვიშხეთი-1 დან სკრას ჩათვლით წლიური აორთქლება იქნება 600 მმ-ს 1 კვ.მ წყლის ზედაპირიდან, ხოლო მეორე დაჯგუფების წყალსაცავებში გრაკალიდან ზაპესის ჩათვლით წლიური აორთქლება მოსალოდნელია 700 მმ 1 კვ.მ წყლის ზედაპირიდან. ცხრილის ბოლო სვეტში მოყვანილია წყლის აორთქლების სიდიდეები თითოეულ წყალსაცავიდან გამოსახული კუბ.მ-ში(მოცულობა) ან ტონაში(წონა). როგორც ცხრილიდან ჩანს აორთქლებული წყლის მოცულობა პროპორციულია წყალსაცავის სარკის ფართობისა და იცვლება 96 ათასიდან (გრაკალი) 453.6 ათასი კუბ.მ (ტონა)-მდე (ქსანი-2).

ანალოგის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია აგრეთვე ქარის სიჩქარის და რეჟიმის ცვლილების შეფასება. წყალსაცავის შექმნის შემდეგ ხმელეთისა და წყლის უთანაბრო გათბობისა და გაცივების გამო განვითარდება ადგილობრივი ცირკულაცია. წყალსაცავი აღმოჩნდება მთახეობის ცირკულაციის პირობებში. ამ ქარის მოქმედება გააძლიერებს სიჩქარეს. საშუალო წლიურ მონაცემებში ქარის სიჩქარის გაზრდა დაახლოებით 0,7მ/წმ- სიდიდით ფასდება. ამრიგად საპროექტო წყალსაცავების მიდამოებში მოსალოდნელია ისედაც გაბატონებული დასავლეთის, აღმოსავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების განმეორადობის გაზრდა და მათი სიჩქარის დაახლოებით 0,7მ/წმ-ით მომატება. ისე, რომ ქარის საშუალო თვიური სიჩქარემ ზაფხულში შესაძლოა მიაღწიოს 3.2-3.6 მ/წ-ს.

ადგილობრივი ცირკულაცია შეაფერხებს ჰაერის აღმავალი დინებების განვითარებას და კონვექციური ღრუბლების წარმოქმნას.

2. წყალსაცავიდან აორთქლების შეფასება წყლის ბალანსის, სითბური ბალანსის და სხვადასხვა ემპირიული მეთოდების გამოყენებით.

პატარა ფართობის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების პროცესების შესწავლა ბუნებრივ პირობებში წარმოადგენს პრობლემას, რომელიც განპირობებულია ატმოსფეროში მიმდინარე რთული თერმოჰიდროდინამიკური მოვლენების დიდი კომპლექსის არსებობასთან. მცირე წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების ხვედრითი სიდიდე წყალსაცავების წყლის ბალანსის ფორმირებაში უმნიშვნელოა, მაგრამ იგი თავისი აბსოლუტური სიდიდით შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი.

მიდგომა ითვალისწინებს წყალსაცავის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური პარამეტრების განზომილებას წყლის ბალანსის განტოლების საფუძველზე, ან ამ განტოლებიდან გამომდინარე სპეციალური ნომოგრამების დახმარებით [9-11].

ასეთი ნომოგრამების დახმარებით გამოაგარიშებულია აორთქლება საპროექტო წყალსაცავებიდან და მათ შექმნამდე ნიადაგიდან (ცხრილი 2).

ცხრილი 2. აორთქლება საპროექტო წყალსაცავებიდან და მათ შექმნამდე ნიადაგიდან

წყალსაცავის დასახელება	სარკის ზედაპირი, ჰა	აორთქლება წყალსაცავიდან (E) მმ 1კვ.მ	აორთქლება ნიადაგიდან (E) მმ 1კვ.მ ემპირიული მეთოდით	აორთქლება ნიადაგიდან (E) მმ 1კვ.მ წყლის ბალანსის და რადიაციული ბალანსის გამოყენებით	სხვაობა. მმ წყალსაცავიდან და ნიადაგიდან აორთქლებულ ტენს შორის, 1კვ.მ ფართობზე	სხვაობა. წყალსაცავიდან და ნიადაგიდან აორთქლებულ ტენს შორის, ცალკეულ წყალსაცავზე, მოცულობა (ათასი კუბ.მ) ან წონა (ათასი ტონა)
ქვიშხეთი-1	32	600	600	550	50	16
ქვიშხეთი-2	34.2	600	600	550	50	17.1
ოსიაური	29.8	600	600	550	50	14.9
გომი-1	38.9	600	600	550	50	19.4
გომი-2	51.2	600	600	550	50	25.6
ახალსოფელი	46.6	600	600	550	50	23.3
ქარელი	52.9	600	600	550	50	26.4
ურბნისი	48.7	600	600	550	50	24.4
სკრა	38.8	600	600	550	50	19.4
გრაკალი	14.8	650	600	500	50-150	7.4-22.2
მეტეხი	25	650	600	500	50-150	12-37.5
კასპი	43.1	650	600	500	50-150	21.5-64.6
ქსანი-1	39.1	700	550	450	150-250	58.6
ქსანი-2	64.8	700	550	450	150-250	97.2
მეგვი	40	700	550	450	150-250	60
ზაჰესი (მომქმედი)	58	700	550	450	150-250	87

როგორც ცხრილი 2 დან ჩანს სხვადასხვა მეთოდებით გამოანგარიშებული ნიადაგიდან აორთქლებული ტენი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. გამონაკლისია ცხრილში წარმოდგენილი ბოლო 4 წყალსაცავი-ქსანი-1, ქსანი-2, მეგვი და ზაჰესი, რომელთათვისაც წყლის ბალანსის და რადიაციული ბალანსის მეთოდის გამოყენებით გამოანგარიშებული აორთქლება ჩვენის აზრით რეალურთან შედარებით შემცირებულ შედეგს იძლევა, ამიტომაც ცხრილის შემდეგი სვეტის, ანუ წყალსაცავიდან და ნიადაგიდან აორთქლებულ ტენს შორის სხვაობის გამოსაანგარიშებლად ცალკეულ წყალსაცავზე ის მხედველობაში არ მიიღება. შესაბამისად ცხრილი 2-ის ბოლო სვეტში მოყვანილია სხვაობა. წყალსაცავიდან და ნიადაგიდან აორთქლებულ ტენს შორის, ცალკეულ წყალსაცავზე, გამოსახული მოცულობით (კუბ.მ) და წონით (ტონა). ამ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ წყალსაცავების ექსპლუატაციის პირობებში უმრავლეს წყალსაცავებზე დაწყებული ქვიშხეთი-1 დან დამთავრებული სკრა-თი წლიური აორთქლება მოიმატებს 50 მმ-ით. გრაკალის, მეტეხის და კასპის წყალსაცავებზე აორთქლების ნაზრდი 50-150 მმ-ს შეადგენს, ხოლო გამოთვლების თანამად ქსანი-1, ქსანი-2, მეგვის და ზაჰესის წყალსაცავებზე აორთქლება სავარაუდოდ 150-250 მმ-ით მოიმატებს ერთ კვ. მეტრზე. თითოეული წყალსაცავიდან კი აორთქლებული წყლის მოცულობა დამოკიდებულია ამ წყალსაცავის სარკეზე, რაც კარგად ჩანს ცხრილი 2-ის ბოლო სვეტში წარმოდგენილი ციფრებიდან, და მერყეობს 7 ათასი-დან (გრაკალი) 97.2 ათასი (ქსანი-2) კუბ.მ ან ტონა ფარგლებში.

ეს ცვლილებები აისახება ატმოსფერული ნალექების მნიშვნელობაში და შესაძლებელია მათი გაზრდა დაახლოებით 50-200 მმ-ით.

3. წყალსაცავის გავლენის შეფასება მოდელირების მეთოდით. მეთოდი კლასიკურია, აპრობირებულია ანალოგიურ შეფასებებში და დღესაც წარმატებით გამოიყენება წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მიერ [3,12].

ამ მეთოდური მიდგომის საფუძველზე შეფასდა დასაპროექტებელი წყალსაცავების მოსალოდნელი გავლენა მიკროკლიმატზე. წყალსატევების მცირე ზომები საფუძველს იძლევა აგრეთვე ვუზღუდვებელყოთ მისი გრძივი და განივი მიმართულებით განფენილობის სიგრძეები, თუმცა ცხადია, რომ წყალსაცავის მაქსიმალური გავლენა იქნება შეგუბების ზონაში. თავიდანვე ცხადია, რომ რადგანაც წყალსაცავები განლაგებულია მსგავს კლიმატურ პირობებში და მათი ზომები მცირეა და ახლოსაა ერთმანეთთან, მათი გავლენა მიკროკლიმატზე მსგავსი იქნება.

ცხრილი 3 თანახმად წყალსატევების საპროექტო ტერიტორიაზე ზამთრის, გაზაფხულის და შემოდგომის თვეებში ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა უარყოფითია და ზამთარში აღწევს თითქმის მინუს 30 გრადუსს. ამიტომ ზოგიერთ წლებში შესაძლოა წყალსატევის ზედაპირი ყინულით დაიფაროს და მისი მიკროკლიმატზე გავლენა ამ პერიოდის განმავლობაში ნომინალური იქნება. წყალსატევების აქტიური გავლენა კი როგორც წესი მოსალოდნელია გაუყინავი პერიოდისათვის აპრილიდან ნოემბრამდე.

(1) მოდელის გამოყენებისათვის საჭიროა საწყისი კლიმატური მონაცემები. ამისათვის გამოყენებულია საკვლევი ტერიტორიის კლიმატური ფონი[7]. ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობები გრადიენტების საშუალებით მიიყვანებოდა საპროექტი ტერიტორიის დონეზე. წყლის ზედაპირის ტემპერატურები გამოითვლება ანალოგის მეთოდით, როგორც ადგილის სიმაღლის ტემპერატურის ფუნქცია. ამავე ტემპერატურებისათვის გამოითვლება წყლის ორთქლის გაჯერებული პარციალური წნევა სპეციალური ცხრილებიდან. ამის შემდეგ მოდელის (1) საშუალებით აღწერილი მეთოდიკის საფუძველზე გამოითვლება წყალსაცავების ეფექტი. მიღებული შედეგების მსგავსების მიხედვით წყალსაცავები შეგვიძლია გავაერთიანოთ 3 ჯგუფში:

ა. გომი-2, ქარელი, ქსანი-2, ზაჰესი, ახალსოფელი, ურბნისი ანუ შედარებით დიდი სარკის მქონე წყალსაცავები, მათი ფართობი დაახლოებით 50 ჰა, ან მეტია.

ბ. ქვიშხეთი-1, ქვიშხეთი-2, ოსიაური, გომი-1, სკრა, კასპი, ქსანი-1, ძეგვი, შუალედური ფართობის წყალსაცავები.

გ. გრაკალი და მეტეხი, უმთავრესად მცირე ფართობის ფართობის წყალსაცავები. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 3.

ცხრილი 3. ჰაერის ტემპერატურისა და წყლის ორთქლის პარციალური წნევის ცვლილება წყლის კიდედან მანძილზე დამოკიდებულებით:

- ა) პირველი ჯგუფის წყალსაცავებისათვის (გომი-2, ქარელი, ქსანი-2, ზაჰესი, ახალსოფელი, ურბნისი);
- ბ) მეორე ჯგუფის წყალსაცავებისათვის (ქვიშხეთი-1, ქვიშხეთი-2, ოსიაური, გომი-1, სკრა, კასპი, ქსანი-1, ძეგვი);
- გ) მესამე ჯგუფის წყალსაცავებისათვის (გრაკალი და მეტეხი).

თვე	ტემპერატურა °C.									წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ჰპა								
	მანძილი, კმ									მანძილი, კმ								
	0,1			0,5			1,0			0,1			0,5			1,0		
	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ
IV	0.1	0.1	0.1	0.2	0.2	0.2	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
V	-0.2	-0.2	-0.2	-0.2	-0.2	-0.2	-0.1	-0.1	-0.1	0.3	0.3	0.3	0.2	0.2	0.2	-	-	-
VI	-0.3	-0.3	-0.3	-0.2	-0.2	-0.2	-0.1	-0.1	-0.1	0.3	0.3	0.3	0.2	0.2	0.2	-	-	-
VII	-0.5	-0.4	-0.3	-0.3	-0.3	-0.2	-0.1	-0.1	-0.1	0.3	0.3	0.3	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2
VIII	-0.5	-0.5	-0.4	-0.4	-0.3	-0.3	-0.1	-0.1	-0.1	0.3	0.3	0.3	0.2	0.2	0.2	0.1	0.1	0.1
IX	-0.5	-0.5	-0.4	-0.4	-0.3	-0.3	-0.2	-0.2	-0.2	0.3	0.3	0.3	0.2	0.2	0.2	0.1	0.1	0.1
X	-0.4	-0.4	-0.4	-0.3	-0.3	-0.3	-	-0.1	-0.1	0.3	0.3	0.3	0.2	0.2	0.2	0.1	0.1	0.1
XI	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	0.2	-0.1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

შენიშვნა: ცხრილში 3 მუქი შრიფტით წარმოდგენილი ციფრები ნიშნავს ცვლილებებს, ტირე აღნიშნავს, რომ არავითარი ცვლილება არ აღინიშნება.

ცხრილი 3-ის თანახმად წყალსატევების გავლენის ეფექტი ტემპერატურის ველზე ნიშნადი შეიძლება იყოს წყლის კიდედან 500 მ მანძილამდე დაშორებით. ამასთანავე წყალსატევების გავლენის ეფექტი მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით უარყოფითი იქნება, ანუ წყალსატევებს ექნებათ გამაგრილებელი ეფექტი. ნოემბრიდან აპრილამდე წყალსატევს გამათბობელი ეფექტი ექნება.

წყალსაცავის მაქსიმალური გავლენა იქნება შეგუბების ზონაში. წყლის კიდედან 100 მეტრამდე მანძილზე წყალსატევების გამაგრილებელი გავლენის პერიოდში მაის-ოქტომბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების შემცირების სიდიდე აბსოლუტური მნიშვნელობით პირველი ჯგუფის წყალსაცავებში (გომი-2, ქარელი, ქსანი-2, ზაჰესი, ახალსოფელი, ურბნისი) არ აღემატება 0.5⁰-ს, ასევე მეორე ჯგუფის წყალსაცავებში (ქვიშხეთი-1, ქვიშხეთი-2, ოსიაური, გომი-1, სკრა, კასპი, ქსანი-1, ძეგვი) -0.5⁰-ს, ხოლო მესამე ჯგუფის წყალსაცავებში (გრაკალი და მეტეხი) -0.4⁰-ს. წყლის კიდედან 500 მ მანძილზე გათბობის პერიოდში ეფექტი ფაქტიურად ნივლირდება, ხოლო აგრილების ეფექტი არ აღემატება 0.3-0.4⁰-ს. წყლის კიდედან 1კმ - ით დაშორებულ მანძილზე ტემპერატურის ცვლილება მისი გაზომვის ცდომილების ფარგლებშია. მიღებული შედეგები კარგ თანხვედრაშია რ.სამუკაშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებთან, რომლის თანახმად ჯვრის წყალსაცავის გამაგრილებელი ეფექტი ზახულის თვეებში და შემოდგომის პირველ ნახევარში 2-3⁰-ს, ხოლო მცირე ზომის ურავის წყალსაცავის გამაგრილებელი ეფექტი ზაფხულის თვეებში მხოლოდ 0.2-0.3⁰-ს შეადგენს [6].

ანალოგიური ცვლილებებია მოსალოდნელი სინოტივის ველში, კერძოდ წყლის კიდედან 100 მ დაშორებულ მანძილზე წყლის ორთქლის პარციალური წნევის მაქსიმალური მომატება ყველა წყალსაცავზე მოსალოდნელია მაის-ოქტომბერში და შეადგენს 0.3 ჰპა-ს. 500 მ დაშორებულ მანძილზე მისი მნიშვნელობა კლებულობს 0.2 ჰპა-მდე, ხოლო 1 კმ-ზე ფაქტიურად ცვლილებები არ აღინიშნება. თუ გავიღვალისწინებთ, რომ წყლის ორთქლის პარციალური წნევის საშუალო კვადრატული გადახრა 1-1.5 ჰპა -ია, მაშინ ცხადია, რომ ასეთი ცვლილებები არ არის მნიშვნელოვანი და ისინი მისი მრავალწლიური ცვალებადობის ფარგლებში ჯდება.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალკეული წყალსაცავების აქტიური ზემოქმედების ზონის სიდიდე არ აღემატება წყლის კიდედან 500მ მანძილს. ეს შედეგი კარგ თანხმობაშია ანალოგიური ზომების მოქმედ წყალსაცავებზე ჩატარებულ ექსპერიმენტულ გაზომვებთან.

თუ წარმოვიდგინებთ ვირტუალურ წყალსატევს, რომელიც წარმოადგენს ცალკეული წყალსაცავების გაერთიანებას, შეფასების თანახმად მისი გავლენის ეფექტი ტემპერატურის ველზე ნიშნადი შეიძლება იყოს წყლის კიდედან 1 კმ მანძილამდე დაშორებით. წყალსატევების გამაგრილებელი გავლენის პერიოდში აპრილი-ოქტომბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების შემცირების სიდიდემ აბსოლუტური მნიშვნელობით წყლის კიდედან 100მ მანძილამდე შეიძლება მიაღწიოს 0.7⁰-ს, ხოლო 500 მ დაშორებით 0.5⁰-ს.

ძირითადი შედეგები:

1. მთავარი შედეგი არის ის, რომ ცალკეული წყალსაცავების აქტიური ზემოქმედების ზონის სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 500მ წყალსაცავის კიდედან, რაც კარგ თანხმობაშია ანალოგიური ზომების მოქმედ წყალსაცავებზე ჩატარებულ ექსპერიმენტულ გაზომვებთან. თუ წარმოვიდგინებთ ვირტუალურ წყალსაცავს, რომლის ფართობიც იქნება ცალკეული წყალსატევების ფართობის ჯამი, მაშინ მისი ზემოქმედების ზონის სიდიდე შესაძლოა გაიზარდოს 1კმ-მდე.

2. გეოგრაფიული ანალოგის მეთოდის გამოყენებით წყალსაცავებზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით იქნება 9 დან 12 გრადუსამდე. წყალსაცავების პირველ ჯგუფში ქვიშხეთი-1 დან სკრას ჩათვლით წლიური აორთქლება შეადგენს 600 მმ-ს, ხოლო მეორე დაჯგუფების წყალსაცავებში გრაკალიდან ზაჰესის ჩათვლით წლიური აორთქლება მოსალოდნელია 700მმ ერთი კვ. მეტრიდან. აორთქლებული წყლის მოცულობა პროპორციულია წყალსაცავის სარკის ფართობისა და იცვლება 96 ათასიდან (გრაკალი) 453.6 ათასი კუბ.მ (ტონა)-მდე (ქსანი-2).

3. წყალსაცავის შექმნის შემდეგ ხმელეთისა და წყლის უთანაბრო გათბობისა და გაცივების გამო განვითარდება ადგილობრივი ცირკულაცია. წყალსაცავები ერთდროულად აღმოჩნდება აგრეთვე მთახეობის ცირკულაციის პირობებში. ამ ქარების კომბინირებული მოქმედება გააძლიერებს სიჩქარეს. საშუალო წლიურ მონაცემებში ქარის სიჩქარის გაზრდა დაახლოვებით 0,7მ/წმ- სიდიდით ფასდება. მოსალოდნელია გაბატონებული დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის ქარების განმეორადობის გაზრდა და მათი სიჩქარის დაახლოვებით 0,7მ/წმ-ით მომატება. ისე, რომ ქარის საშუალო თვიურ სიჩქარემ ზაფხულში შესაძლოა მიაღწიოს 3.2-3.6 მ/წ-ს.

4. წყალსაცავის შექმნა გამოიწვევს აორთქლების მომატებას 50-დან 250მმ-ფარგლებში. აორთქლებული ტენის უდიდესი რაოდენობა გადაადგილდება გაბატონებული ქარების, ანუ დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით. თითოეული წყალსაცავიდან აორთქლებული წყლის მოცულობა დამოკიდებულია ამ წყალსაცავის სარკის ფართობზე და მერყეობს 7 ათასიდან (გრაკალი) 97.2 ათას კუბ.მ ან ტონა (ქსანი-2) ფარგლებში .

5. წყალსაცავის მაქსიმალური გავლენა იქნება შეგუბების ზონაში. წყლის კიდედან 100 მეტრამდე მანძილზე. წყალსატევის გამაგრებელი გავლენის პერიოდში მათი-ოქტომბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების შემცირების სიდიდე აბსოლუტური მნიშვნელობით არ აღემატება 0,4-0,5⁰-ს, ხოლო წყალსატევის გამათბობელი გავლენის პერიოდში საშუალო თვიური ტემპერატურების ნაზრდი შეადგენს მხოლოდ 0,2-ს. წყლის კიდედან 500 მ მანძილზე გათბობის პერიოდში ეფექტი ფაქტიურად ნივლირდება, ხოლო აგრილების ეფექტი არ აღემატება 0,3⁰-ს. წყლის კიდედან 1კმ -ით დაშორებულ მანძილზე ტემპერატურის ცვლილება მისი გაზომვის ცდომილების ფარგლებშია.

6. წყლის კიდედან 100 მ დაშორებულ მანძილზე წყლის ორთქლის პარციალური წნევის მაქსიმალური მომატება მოსალოდნელია მათი-ოქტომბერში და შეადგენს 0.3 ჰპა-ს. 500 მ დაშორებულ მანძილზე მისი მნიშვნელობა კლებულობს 0.2-0.3 ჰპა-მდე, ხოლო 1 კმ-ზე ფაქტიურად ცვლილებები არ აღინიშნება. გაერთიანებულ ვირტუალურ წყალსაცავზე წყლის ორთქლის შესამჩნევი მომატება შესაძლებელია წყლის კიდედან 500 მ დაშორებულ მანძილზე

7. გლობალური დათბობის ეფექტი გაანიველირებს წყალსაცავის გამაგრებელ ეფექტს. გლობალური დათბობის პირობებში ნალექების წლიური ჯამები კლებულობს დაახლოებით 5-30 მმ-ის სიჩქარით 10 წელიწადში და 2050 წლისათვის შესაძლოა შემცირდეს 15-90 მმ-სიდიდით. რადგანაც წყალსაცავის გავლენით ნალექების ზრდა შეფასებულია 100-200მმ-ით, ჯამური ეფექტი შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს. თუ გავითვალისწინებთ ნალექების წლიური ჯამებისათვის დამახასიათებელ ვარიაციის მაღალ კოეფიციენტებს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნალექების ცვლილება უმნიშვნელო იქნება .

8. წყალსაცავების გამაგრებელი ეფექტი აღინიშნება აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. თუმცა აპრილში ტემპერატურის ცვლილება უმნიშვნელოა და მხოლოდ ივნისიდან არის ცვლილება ნიშნადი, ამიტომ გაზაფხულის წაყინვების გააქტიურება არ არის მოსალოდნელი. რაც შეეხება შემოდგომის წაყინვებს არ ვფიქრობთ, რომ მათი ინტენსივობა არსებითად გაიზრდება, რადგან გლობალური დათბობის ტენდენციები და წყალსაცავის მიკროკლიმატზე სავარაუდო გავლენის ჯამური ეფექტი, ერთმანეთს ანიველირებს. ამრიგად წყალსაცავების ფუნქციონირება არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საკვლევ ტერიტორიაზე წაყინვების განმეორადობის და ინტენსივობის ზრდაზე.

კვლევა შესრულებულია სახელმწიფო დაკვეთის შესაბამისად.

ლიტერატურა-REFERENCES

1. Elizbarashvili E. Climatology, Sokhumi University, 2020, 215 p.(GEO).
2. Adamenko V.N. Melioration Microclimatology. Leningrad, Gidrometeoizdat, 1980, 183 p. (RUS).
3. Timofeev M.P. Meteorological Regime of Reservoirs. Leningrad, Gidrometeoizdat, 1963, 291 p. (RUS).
4. W e b E. K. -A pan-lake evaporation relationship.— “J. Hydrol.”, 1966, vol 4, p. 1— 11.
5. Elizbarashvili E., Kheladze T. On the influence of the Inguri reservoir on the local climate. Reports of the Academy of Sciences of the Georgian SSR, v. 136, no. 2, 1989, pp. 321-324. (RUS).
6. Kordzakhia M. The Climate of Georgia. Tbilisi, 1961., 220p. (GEO).
7. Elizbarashvili E. The Climate of Georgia, Tbilisi, 2017, 361 p. (GEO).
8. Elizbarashvili E., Kereselidze D. Meteorological regime of reservoirs in Georgia and their adjacent territories, Caucasian Geographical Journal, 11, 2011, pp. 32-38. (RUS).
9. Methods for calculating water balances. Leningrad, Gidrometeoizdat, 1976, 120 p. (RUS).
10. Guidelines for calculating evaporation from the surface of reservoirs. Leningrad, Gidrometeoizdat, 1969, 82 p. (RUS).
11. WMO. Measurement and estimation of evaporation and evapotranspiration. Geneva, WMO. (Tech. Note N 83). (RUS).
